ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ირაკლი კაკაბაძე

კონფლიქტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

ტრანსფორმაციული შემოქმედების როლი ძალადობრივი კონფლიქტის მოგვარებისას

ხელმძღვანელი - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

გუგული მაღრაძე

თბილისი - 2025

განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი კაკაბაძე

3.02.2025

აბსტრაქტი

დღევანდელი დღის, ისევე, როგორც უკანასკნელი 5 ათასწლეულის, ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა გახლავთ მასობრივი ძალმომრეობისა და, ზოგადად, ძალადობის პრევალირება მთელ მსოფლიოში - ყველა კონტინენტზე. ადამიანები შეიარაღებულნი ებრძვიან ერთმანეთს არასაკმარისი რესურსებისა თუ ონტოლოგიური ძალაუფლების მისატაცებლად (Artaud,1994). ამავე დროს, ჩვენ ბევრი მაგალითი გვაქვს იმის, რომ „სხვადასხვა“ ადამიანები ერთმანეთთან მტრობაზე უარს ამბობენ სწორედ იმის გამო, რომ მათ საერთო-ჰუმანისტური გრძნობები თუ იდეალები აკავშირებთ. ზოგი მეცნიერის აზრით, უკანასკნელი რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე, სიკეთე და მშვიდობა არის პოზიტიური გამონაკლისი, თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ საქმე ამის საპირისპიროდ არის. საინტერესოა, რომ ამ თემაზე აქამდე ბევრი კვლევა არ არის ჩატარებული - უფრო მეტიც, მასობრივი ძალმომრეობის გარდაუვალობას კითხვასაც პრაქტიკულად არავინ უსვამს. ამ საკითხს თითქოს ტაბუ აქვს დადებული (Mitchell & Banks, 1996). ამასობაში მსოფლიოში იმხელა რაოდენობით არის დაგროვილი „მასობრივი განადგურების იარაღი“, რომ ყოველდღე კაცობრიობა უცილობელი დაღუპვის რისკის ქვეშ იღვიძებს. მას შემდეგ, რაც 1945 წლის აგვისტოში იაპონიის ქალაქებში, ჰიროსიმასა და ნაგასაკში ატომური იარაღი იქნა გამოყენებული, კაცობრიობა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. 21-ე საუკუნეში ბირთვული იარაღის გარდა, კაცობრიობას ქიმიური, ბიოლოგიური და კიბერ საფრთხეებიც ემუქრება. დღევანდელი დღე გვკარნახობს შემდეგი ფუნდამენტური კითხვების დასმის აუცილებლობას:

რამდენად გარდაუვალია მასობრივი საომარი კამპანიები და მკვლელობა?

მართლა ისეთი ბოროტია თუ არა ადამიანის ბუნება, რომ მას მასობრივი მკვლელობის გარეშე არ შეუძლია არსებობა?

შეიძლება თუ არა თავისუფლება და თანასწორობა იყოს მშვიდობის გარანტი ნებისმიერ საზოგადოებაში?

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ფოკუსირებულია მშვიდობის მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტულ შესაძლებლობებზე. ძირითად საკვლევ საკითხს წარმოადგენს კრეატიული მიდგომის - მოცემულ

შემთხვევაში, დრამატული ნაწარმოების ეფექტის შეფასება ადამიანის განწყობაზე, ისეთი ეგზისტენციური მნიშვნელობის ატტიტუდების ფორმირებაზე, რომლებიც ადამიანის ბუნებისა და მშვიდობიანი თანაარსებობა vs მასობრივი ძალმომრეობა დილემის გაგებას უკავშირდება.

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მიზანია მშვიდობის მეცნიერების პოტენციალისა და იმ ეფექტის კვლევა, რასაც დრამატული ნაწარმოები (ტრაგედიის ისტორიული საწყისებიდან, თანამედროვე დრამის ჩათვლით) ახდენს **ადამიანის ბუნებისა და ძალმომრეობის მიმართ განწყობაზე** (რაც, თავის მხრივ, კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პროცესების განვითარების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს).

ამ სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო, გამოეკვლია სხვადასხვა დრამატული ნაწარმოების როლი მკითხველსა თუ მაყურებელში კონკრეტული განწყობის ჩამოყალიბების, სახელდობრ, მათი დამოკიდებულების ფორმირებისას ინდივიდუალური თუ კოლექტიური ძალმომრეობის ფენომენის მიმართ. ხელოვნების ნაწარმოებებს რომ გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის განწყობაზე, ეს დიდი ხნის ცნობილი ფაქტია (უზნაძე, 1940).

სწორედ ამ მიზნით, ნაშრომში დრამატული ხელოვნების 12 ნაწარმოების განხილვისას დაისვა კონკრეტული შეკითხვები მასობრივი ძალმომრეობის გარდუვალობისა და, აგრეთვე, ზოგადად ადამიანის ბუნების აგრესიულობის შესახებ. ამ კითხვებზე პასუხისას გამოყენებულ იქნა როგორც თეორიული, ასევე ემპირიული კვლევის მეთოდები (ექსპერიმენტული დიზაინი და ფოკუს-ჯგუფები). ჩვენ მომსწრენი ვართ ტექნოლოგიური ცვლილებებისა, მაგრამ პლანეტას ჯერ კიდევ უარი არ უთქვამს ომზე - ადამიანების მასობრივი გადადგურების მიღებულ ფორმაზე. უფრო მეტიც, ომი დღეს მსოფლიოს მრავალ წერტილში მძვინვარებს და კაცობრიობას მასობრივი განადგურების იარაღი ემუქრება (Sandole, 1999).

შეიძლება ითქვას, რომ ეს კვლევა პირველი ნაბიჯია იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უწყობს ხელს შემოქმედებითი/კრეატიული ნაწარმოებები აგრესიული ან მშვიდობიანი განწყობის ჩამოყალიბებას, ზოგადად, სოციუმშიც და კონკრეტულად თითოეულ ინდივიდშიც. ამ ნაშრომში, ექსპერიმენტული დიზაინის ფარგლებში, სტატისტიკური ტექნიკებით ფორმირებული და შემდგომ სიღრმისეულად

განხილული **“მშვიდობიანი განწყობის ინდექსი“** სწორედ აღნიშნულ მაჩვენებელს ზომავს, დამაიმედებელ, პოზიტიურ ტენდენციებს გვიჩვენებს და ეს დიდი და ხანგრძლივი მუშაობის მხოლოდ დასაწყისია.

Abstract

One of the greatest problems of today, as well as the last 5 millennia, is the prevalence of mass violence and, in general, violence throughout the world - on all continents. People are fighting each other with weapons in order to seize scarce resources or ontological power. At the same time, we have many examples of "different" people refusing to be hostile to each other precisely because they are connected by common humanistic feelings or ideals. According to some scientists, over the past few millennia, goodness and peace have been a positive exception, although some researchers believe that the opposite is true. It is interesting that not much research has been conducted on this topic so far - moreover, practically no one even asks the question of the inevitability of mass violence. This issue seems to be taboo. Meanwhile, so many "weapons of mass destruction" have accumulated in the world that every day humanity wakes up under the risk of inevitable death. Since the atomic bombings of Hiroshima and Nagasaki, Japan, in August 1945, humanity has been facing the threat of physical annihilation. In addition to nuclear weapons, the 21st century also faces the threat of chemical, biological, and cyber weapons. Today, we must ask ourselves the following fundamental questions:

How inevitable are mass war campaigns and killings?

Is human nature really so evil that it cannot exist without mass murder?

Can freedom and equality guarantee peace in any society?

The presented dissertation focuses on the specific possibilities of applying the achievements of peace science in practice. The main research question is the assessment of the effect of a creative approach - in this case, a dramatic work - on a person's mood, on the formation of existentially significant attitudes that are related to the understanding of human nature and the dilemma of peaceful coexistence vs. mass violence.

The main goal of the presented work is to study the potential of peace science and the effect that a **dramatic work (from the historical origins of tragedy, including modern drama) has on the mindset of a person towards human nature and violence** (which, in turn, is an important contributing factor in the development of conflict prevention and peaceful transformation processes).

One of the main tasks of this dissertation was to investigate the role of various dramatic works in the formation of a specific mindset in the reader or viewer, namely, in the formation of their attitude towards the phenomenon of individual or collective violence**. It has long been known that works of art can influence general mindset of human beings.**

For this purpose, in the discussion of 12 works of dramatic art, specific questions were raised in the work about the inevitability of mass violence and, as well as, about the aggressiveness of human nature in general. Both theoretical and empirical research methods (experimental design and focus groups) were used to answer these questions. We are witnessing technological changes, but the planet has not yet abandoned war - the accepted form of mass destruction of people. Moreover, war is raging in many parts of the world today, and humanity is threatened by weapons of mass destruction.

It can be said that this study is the first step in determining the extent to which creative works contribute to the formation of aggressive or peaceful set of mind, both in society in general and in each individual in particular. **In this paper, the "Peaceful Mindset Index", formed using statistical techniques and subsequently discussed in depth within the framework of an experimental design, measures precisely this indicator, shows encouraging, positive trends, and this is only the beginning of a large and long-term work**.

შინაარსი

თავი 1. შესავალი 12

1.1 საკვლევი საკითხი, კვლევის მნიშვნელობა და ინოვაციურობა 12

1.2 კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვები და ამოცანები 13

1.3 ძირითადი საკვლევი კითხვები: 14

1.4 კვლევის ამოცანები: 14

1.5 ნაშრომის სტრუქტურის მოკლე შინაარსობრივი მიმოხილვა 15

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია 16

2.1 კავშირი კვლევის ეტაპებს შორის 16

2.2 თეორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი 17

2.3 ფოკუს-ჯგუფები 19

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა 21

თავი 4. ჰომეროსის ეპიკური ნაწარმოებები, როგორც გმირული ლიტერატურის საწყისი 25

თავი 5. ტრაგედიის,როგორც ხელოვნების განსაკუთრებული ჟანრის საწყისები 30

თავი 6. არისტოტელეს "პოეტიკა" კონფლიქტისა და მასობრივი ძალმომრეობის პერსპექტივაში 33

თავი 7. ბერძნული ტრაგედიები მშვიდობის მეცნიერების პერსპექტივაში 38

თავი 8. ტრაგედიიდან ეპიკურ დრამამდე 39

თავი 9. კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინი: დრამატულ ნაწარმოებთა ეფექტის შეფასება ადამიანის ბუნებისა და ძალმომრეობის მიმართ განწყობაზე 48

9.1 კონცეპტუალური ჩარჩო 48

9.2 ინტერვენცია 54

9.3 ექსპერიმენტში მონაწილე ჯგუფის შერჩევა: 59

9.4 პროცედურული ნაწილი: 60

9.5 კლასტერული ანალიზი 84

თავი 10. თვისებრივი კვლევა: ფოკუს-ჯგუფები 90

10.1 ჰომეროსის „ილიადა" 91

10.2 ესქილეს "მიჯაჭვული პრომეთე" 95

10.3 სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" 99

10.4 ევრიპიდეს „მედეა" 103

10.5 უილიამ შექსპირის „მაკბეტი" 107

10.6 ჰენრიკ იბსენის "ხალხის მტერი" 111

10.7 ვაჟა ფშაველას "სტუმარ-მასპინძელი" 114

10.8 ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ 119
10.9 ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი” 123
10.10 ბერტოლტ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ 127
10.11 ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ 130
10.12 სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ 136
დასკვნა 142
ბიბლიოგრაფია 145
დანართი 153

დიაგრამების ნუსხა

დიაგრამა 1. მშვიდობიანი განწყობის ინდექსი 70

დიაგრამა 2. ინდექსის ზრდის ტენდენცია 71

დიაგრამა 3. მაკბეტი 72

დიაგრამა 4. მედეა 73

დიაგრამა 5. ოიდიპოს მეფე 74

დიაგრამა 6. სტუმარ-მასპინძელი 75

დიაგრამა 7. ილიადა 76

დიაგრამა 8. გოდოს მოლოდინში 77

დიაგრამა 9. ხალხის მტერი 78

დიაგრამა 10. მიჯაჭვული პრომეთე 79

დიაგრამა 11. პიგმალიონი 81

დიაგრამა 12. კავკასიური ცარცის წრე 82

დიაგრამა 13. განდეგილი 83

დიაგრამა 14. სამგროშიანი ოპერა 84

დიაგრამა 15. კლასტერული ანალიზი 85

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. ცენტრალური ტენდენციები 63
ცხრილი 2. კორელაცია 64
ცხრილი 3. ფაქტორული წონები.....66
ცხრილი 4. დეტერმინაციის კოეფიციენტი.....66
ცხრილი 5. წრფივი რეგრესიის მოდელი.....67
ცხრილი 6. მშვიდობიანი განწყობის ინდექსი.....68

თავი 1. შესავალი

1.1 საკვლევი საკითხი, კვლევის მნიშვნელობა და ინოვაციურობა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ფოკუსირებულია მშვიდობის მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტულ შესაძლებლობებზე. ძირითად საკვლევ საკითხს წარმოადგენს კრეატიული მიდგომის - მოცემულ შემთხვევაში, დრამატული ნაწარმოების ეფექტის შეფასება ადამიანის განწყობაზე, ისეთი ეგზისტენციური მნიშვნელობის ატტიტუდების ფორმირებაზე, რომლებიც ადამიანის ბუნებისა და მშვიდობიანი თანაარსებობა vs მასობრივი ძალმომრეობა დილემის გაგებას უკავშირდება (Sandole & van der Merwe, 1993).

დღევანდელი დღის, ისევე, როგორც უკანასკნელი 5 ათასწლეულის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა გახლავთ მასობრივი ძალმომრეობისა და, ზოგადად, ძალადობის პრევალირება მთელ მსოფლიოში - ყველა კონტინენტზე. ადამიანები შეიარაღებულნი ებრძვიან ერთმანეთს არასაკმარისი რესურსებისა თუ ონტოლოგიური ძალაუფლების მისატაცებლად. ამავე დროს, ჩვენ ბევრი მაგალითი გვაქვს იმის, რომ „სხვადასხვა“ ადამიანები ერთმანეთთან მტრობაზე უარს ამბობენ სწორედ იმის გამო, რომ მათ საერთო-ჰუმანისტური გრძნობები თუ იდეალები აკავშირებთ. ზოგი მეცნიერის აზრით, უკანასკნელი რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე, სიკეთე და მშვიდობა არის პოზიტიური გამონაკლისი, თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ საქმე ამის საპირისპიროდ არის. მეტად საინტერესოა, რომ ამ თემაზე აქამდე ბევრი კვლევა არ არის ჩატარებული - უფრო მეტიც, მასობრივი ძალმომრეობის გარდაუვალობას კითხვასაც პრაქტიკულად არავინ უსვამს. ამ საკითხს თითქოს ტაბუ აქვს დადებული. ამასობაში მსოფლიოში იმხელა რაოდენობით არის დაგროვილი „მასობრივი განადგურების იარაღი“, რომ ყოველდღე კაცობრიობა უცილობელი დაღუპვის რისკის ქვეშ იღვიძებს (Sandole et al., 2009). მას შემდეგ, რაც 1945 წლის აგვისტოში იაპონიის ქალაქებში, ჰიროშიმასა და ნაგასაკში ატომური იარაღი იქნა გამოყენებული, კაცობრიობა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. 21-ე საუკუნეში ბირთვული იარაღის გარდა, კაცობრიობას ქიმიური, ბიოლოგიური, კიბერ და

ელექტრო იარაღის საფრთხეებიც ემუქრება. დღევანდელი დღე გვკარნახობს შემდეგი ფუნდამენტური კითხვების დასმის აუცილებლობას:

რამდენად გარდაუვალია მასობრივი საომარი კამპანიები და მკვლელობა?

მართლა ისეთი ბოროტია თუ არა ადამიანის ბუნება, რომ მას მასობრივი მკვლელობის გარეშე არ შეუძლია არსებობა?

შეიძლება თუ არა თავისუფლება და თანასწორობა იყოს მშვიდობის გარანტი ნებისმიერ საზოგადოებაში?

სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად და მასობრივი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად დღეს აუცილებელია კაცობრიობის როგორც მეომარი, ასევე მშვიდობიანი წარსულის „ახალი ლინზებით" დანახვა და შესაბამისი ანალიტიკურ-პრაქტიკული იარაღის შექმნა (Galtung, 2010). ამ საკითხის აქტუალობაზე ყველაზე უკეთ მეტყველებს ის, რომ თუკი კაცობრიობა ამას მალე ვერ შეძლებს, მაშინ უკვე კარგად გამოცდილი და აპრობირებული „ომის ფილოსოფია" დიდი ხნის წინ დაწყებულ ძალმომრეობით ქმედებებს თავის ლოგიკურ ბოლომდე მიიყვანს (Burton, 1991).

ვინაიდან, წარმოდგენილი ნაშრომი არის მშვიდობის მეცნიერების თეორიული მიღწევების ემპირიულ-გაზომვით დონესთან დაკავშირების ერთ-ერთი პირველი მცდელობა, ნაშრომი საინტერესო იქნება როგორც შესაბამისი სფეროს აკადემიური წრეების წარმომადგენელთათვის, ისე - კონფლიქტების პრეევენციისა და მართვის პროცესებში ჩაბმული პრაქტიკოსებისათვის, შესაბამისი პროფილის მქონე საჯარო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთათვის.

1.2 კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვები და ამოცანები

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მიზანია მშვიდობის მეცნიერების პოტენციალისა და იმ ეფექტის კვლევა, რასაც დრამატული ნაწარმოები (ტრაგედიის ისტორიული საწყისებიდან, თანამედროვე დრამის ჩათვლით) ახდენს **ადამიანის ბუნებისა და ძალმომრეობის მიმართ განწყობაზე** (რაც, თავის მხრივ, კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პროცესების განვითარების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს).

კვლევის მიზნის შესაბამისად, განისაზღვრა ძირითადი საკვლევი კითხვები და კვლევის ამოცანები.

1.3 ძირითადი საკვლევი კითხვები:

- რამდენად რეალისტურია მშვიდობის მეცნიერების მიღწევათა გამოყენება და შემდგომი განვითარება კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობიანი ტრანსფორმაციის კონკრეტული მექანიზმების შემუშავების პერსპექტივაში?
- რა გავლენას ახდენს შემოქმედებითი მიდგომა - მოცემულ შემთხვევაში, დრამატული ნაწარმოები ადამიანის ბუნებისა და ძალმომრეობის მიმართ განწყობაზე?

1.4 კვლევის ამოცანები:

- მშვიდობის მეცნიერების ისტორიული წანამძღვრების იდენტიფიცირება;
- მშვიდობის მეცნიერების მიღწევათა კრიტიკული ანალიზი კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პროცესებში მათი პრაქტიკული გამოყენების პოტენციალის გამოვლენის მიზნით;
- ადამიანის ბუნებისა და ძალმომრეობის მიმართ განწყობის ცვლილების გაზომვის მიზნით, მათ შესახებ არსებული ძირითადი პარადიგმების იდენტიფიცირება და შესაბამისი ოპერაციული სისტემის (ინდიკატორებისა და პროცედურების) შემუშავება;
- დრამის სხვადსხვა ჟანრის ქრონოლოგიური ანალიზი კონფლიქტოლოგიის კონტექსტში;
- ტრაგედიის ისტორიული საწყისებიდან, თანამედროვე დრამის ჩათვლით, ხელოვნების კონკრეტულ ნაწარმოებთა შერჩევა და შერჩეულ ნაწარმოებთა ძირითადი მახასიათებლების ანალიზი ლიტერატურული კრიტერიუმების, ისტორიული კონტექსტის, ავტორისა და ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით;

- შერჩეულ ნაწარმოებთა ეფექტის შეფასება ადამიანის ბუნების გაგებისა და ძალმომრეობის მიმართ განწყობაზე კვაზი ექსპერიმენტული დიზაინის გამოყენებით;
- ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგების ახსნა ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით;
- ზოგადი მიგნებების ფორმულირება და რეკომენდაციების შემუშავება კვლევის ყველა ეტაპის გათვალისწინებით.

1.5 ნაშრომის სტრუქტურის მოკლე შინაარსობრივი მიმოხილვა

ნაშრომი შედგება საწყისი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილებისაგან.

საწყის ნაწილში, ტექნიკური ხასიათის ინფორმაციასთან ერთად, ინტეგრირებულია აბსტრაქტი, რომელიც მოიცავს არსებითი ხასიათის ინფორმაციას სადისერტაციო ნაშრომის შესახებ,

ძირითად ნაწილში აღწერილია კვლევის თითოეული ეტაპის დიზაინი, შედეგები და არგუმენტაცია, ცალკე პარაგრაფის სახით არის ფორმულირებული ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

პირველ პარაგრაფში ასახულია თეორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი, რომლის საფუძველზეც, თეორიულ-ანალიტიკურ დასკვნებთან ერთად, განხორციელდა კვლევის ემპირიული ნაწილის კონცეპტუალური ბაზისის მომზადება.

მეორე პარაგრაფში აღწერილია კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინი, შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომები და ტექნიკები, ექსპერიმენტის პროცედურები, მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია.

მესამე პარაგრაფში გადმოცემულია თვისებრივი მეთოდით, სახელდობრ, ფოკუს-ჯგუფებით ჩატარებული კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგიური მახასიათებლები და ძირითადი შედეგები.

მეოთხე პარაგრაფში ინტეგრირებულია კვლევის ძირითადი დასკვნები სამივე ეტაპის გათვალისწინებით და შესაბამისი რეკომენდაციები.

დასკვნით ნაწილში მოცემულია ბიბლიოგრაფია და დანართები.

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი საკითხის მრავალგანზომილებიანი ხასიათიდან გამომდინარე, კვლევის დიზაინის შემუშავებისას შეირჩა ტრიანგულაციური მიდგომა.

ტრიანგულაცია არის გაზომვის ტექნიკა, რომელიც ხშირად გამოიყენება გეოდეზისტების მიერ სივრცეში ობიექტის მდებარეობის („მესამე წერტილის“) განსასაზღვრად ორი ისეთი წერტილის მეშვეობით, რომელთა მდებარეობაც უკვე ცნობილია (Mertens & Hesse-Biber, 2012). ტრიანგულაციის ცნების გამოყენებას სოციალურ მეცნიერებებში ხანგრძლივი ისტორია აქვს და მოქცეულია იმ მკვლევართა ყურადღების ცენტრში, რომლებიც რაოდენობრივ, თვისებრივ თუ შერეულ მეთოდებს იყენებენ. რაოდენობრივ კვლევებში დ. ტ. კემპბელმა და ფისკმა შექმნეს მრავალ მახასიათებლიანი და მულტიმეთოდური მატრიცა განსხვავებული მეთოდებით მოპოვებულ მონაცემთა შესადარებლად. თუ განსხვავებულ მეთოდთა შედეგები იყო ურთიერთთანხვედრაში, ისინი მიიჩნევდნენ, რომ მკვლევრებს შეეძლოთ უფრო დარწმუნებულები ყოფილიყვნენ საკუთარი დასკვნების მართებულობაში (Campbell & Fiske, 1959).

ტრიანგულაციის გამოყენების პერსპექტივები მრავალფეროვანია. ის მნიშვნელოვანია, როგორც „დიალექტიკური“ პროცესი, რომლის მიზანია, მიაღწიოს კვლევის მიგნებების უფრო სიღრმისეულ ნიუანსურ გაგებას(Mertens & Hesse-Biber, 2012). სწორედ ეს უკანასკნელი პერსპექტივა უდევს საფუძვლად წარმოდგენილი კვლევის მრავალ ეტაპიანი დიზაინის შემუშავებას და სამ, თანმიმდევრულად გამოყენებულ ძირითად მეთოდს (შესაბამისად, ეტაპს) მოიცავს:

1. თეორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი;
2. კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინი: პრე და პოსტ ტესტების მეთოდი;
3. თვისებრივი კვლევა: ფოკუს-ჯგუფები.

2.1 კავშირი კვლევის ეტაპებს შორის

კვლევის პირველი ეტაპის - თეორიული წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა მეორე ეტაპის - ინტერვენციის შესაფასებლად კვაზი ექსპერიმენტული დიზაინის შემუშავება: მონაცემთა ანალიზის ტექნიკების, შერჩევის, ინსტრუმენტებისა და პროცედურის განსაზღვრა. მესამე ეტაპის - თვისებრივი

კვლევის (ფოკუს-ჯგუფების) ძირითად მიზანს წარმოადგენდა ინტერვენციის შედეგების ახსნა, განწყობის/ატტიტუდებისა და მათი ვარიაციების მოტივაციათა ფოკუსირებული კვლევა, შესაბამისად, ამ ეტაპის დიზაინისა და ინსტრუმენტის მომზადება მოხდა კვლევის მეორე ეტაპის შედეგების საფუძველზე. კვლევის დასკვნით ნაწილში განხორციელდა სამი ძირითადი ეტაპის მონაცემთა ტრიანგულაცია, ზოგადი შედეგების, ძირითადი მიგნებებისა და დასკვნების შემუშავება.

2.2 თეორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი

კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებული მიდგომა ხასიათდება მეთოდოლოგიური სიმკაცრით, რაც აუცილებელია ამ სფეროში მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად და გამოიყენება იმისგან დამოუკიდებლად, თუ ლიტერატურის მიმოხილვის კონკრეტულად რომელ მეთოდს იყენებს ავტორი. კრიტიკული ანალიზის ფარგლებში წარმოებული ლიტერატურის მიმოხილვის პროცესი სამი ფაზისგან შედგება: ა) დეკონსტრუქციის ეტაპი, რომელზეც ცალკე/დამოუკიდებლად განხილული კვლევები/წყაროები იყოფა დისკრეტულ მონაცემებად ან ცვლადებად; ბ) ანალიზის ეტაპი, რომელიც გულისხმობს როგორც შემთხვევათა შორის შედარებებს (cross-case comparisons), ისე - შემთხვევათა შიდა ანალიზს და გ) რეკონსტრუქციის ეტაპი, რომელიც მოიცავს ცვლადთა ურთიერთდაკავშირებასა და თვისებრივად ახალი ცოდნის სინთეზირებას, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე - მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილების მექანიკური ჯამი (Dodgson, 2021; Echtner & Ritchie, 1991; Toronto & Remington, 2020; Torraco, 2005).

თეორიული წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, თეორიულ-ანალიტიკურ დასკვნებთან ერთად, მოხდა კვლევის ემპირიული ნაწილის კონცეპტუალური ბაზისის მომზადება, სახელდობრ, გამოვლინდა, რომ დილემა - მშვიდობიანი თანაარსებობა vs მასობრივი ძალმომრეობა, ისევე, როგორც ადამიანის ბუნების გაგება, ძირითადად, ოთხი პარადიგმის (რეალ-პოლიტიკა, იდეალ-პოლიტიკა, მარქსი და მარქსისტული შეხედულებები, არამარქსისტული რადიკალური აზროვნება) კონტექსტში მოიაზრება, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინის ეტაპისათვის ჰიპოთეზის შემუშავება და გამოკითხვის ინსტრუმენტის კონსტრუირება.

კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინი. პრე და პოსტ ტესტების კვლევა კვაზი ექსპერიმენტული დიზაინის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში, პრე და პოსტ ტესტების მეთოდი ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა სფეროში, მედიცინის, საექთნო საქმის, ჯანდაცვის, მენტალური ჯანმრთელობისა და განათლების ჩათვლით. ეს მეთოდი დღესაც ფართოდ გამოიყენება, რადგან წარმოადგენს სამიზნე ჯგუფის (რომლის მიმართაც ხორციელდება ინტერვენცია) შეფასების სწრაფ და მოხერხებულ საშუალებას. პრე და პოსტ ტესტების შეფასებები, აგრეთვე, საშუალებას გვაძლევს, მომენტალურად განვსაზღვროთ ინტერვენციის ეფექტი და სწრაფად გავაუმჯობესოთ სწავლების ანდა მოდელირების მეთოდოლოგია. გარდა იმისა, რომ პრე და პოსტ ტესტების შეფასება კვლევის მოხერხებული მეთოდია, ის საშუალებას გვაძლევს, ჩავატაროთ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი აპრობირებული სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით (Stratton, 2019).

ინტერვენციული პროგრამების შეფასებისას, მკვლევარი განიხილავს მონაცემთა ორ ტალღას (პრე ტესტს და პოსტ ტესტს), რაც არსებით ზეგავლენას ახდენს მის მიერ სტატისტიკური ანალიზების შერჩევაზე. როგორც წესი, პრე და პოსტ ტესტების დიზაინის მეშვეობით ინტერვენციული პროგრამების შეფასება კლასიკური სტატისტიკური ტესტებით ხორციელდება (Alessandri et al., 2017).

პრე და პოსტ ტესტების დიზაინი გამოიყენება, აგრეთვე, ამა თუ იმ მოვლენის მიმართ მონაწილეთა დამოკიდებულების, ტრენინგზე გამოყენებული ინფორმაციის ან ახალი კონცეფციის შესაფასებლად. პრე და პოსტ ტესტების კვლევის დიზაინის უპირატესობას წარმოადგენს მოვლენებს შორის მიმართულების მქონე კავშირის დამყარების, ანუ, დამოკიდებული ცვლადის (ცოდნა ან დამოკიდებულება) კავშირის გამოვლენის შესაძლობა დამოუკიდებელ ცვლადთან (ტრენინგი ან ინფორმაციის წარმოდგენა) ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდეგ.

ინტერვენციის ძირითად საშუალებად შეირჩა დრამა/დრამატული ნაწარმოები, რადგან იგი მოიაზრება როგორც ერთ-ერთი უძველესი კრეატიული ფაქტორი, რომელიც ახლაც ინარჩუნებს უდიდეს მნიშვნელობას ადამიანის განწყობის ფორმირებისა თუ მასზე ზემოქმედების ეფექტურობის თვალსაზრისით. სახელდობრ, კვლევისთვის შერჩეული თორმეტი ნაწარმოები მოიცავს სხვადასხვა ჟანრის სპექტრს ტრაგედიის ისტორიული საწყისებიდან თანამედროვე დრამამის ჩათვლით. კვლევა ითვალისწინებდა ინტერვენციის ანუ მათი ზემოქმედების (დამოუკიდებელი ცვლადი) ეფექტის შეფასებას ადამიანის ბუნებისა და მშვიდობიანი თანაარსებობა vs

მასობრივი ძალმომრეობა დილემის მიმართ განწყობაზე (დამოკიდებული/ რეზულტატური ცვლადი). შესაბამისად, განხორციელდა კვლევის ამ ეტაპის ჰიპოთეზის ფორმულირებაც:

შერჩეული ნაწარმოებები ზეგავლენას ახდენს მშვიდობიანი თანაარსებობა vs მასობრივი ძალმომრეობა - დილემისა და ადამიანის ბუნების მიმართ ექსპერიმენტის მონაწილეთა/ჯგუფის განწყობაზე.

გამოკითხვის ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული კითხვარი. კითხვარის ძირითადი ნაწილი შედგება ხუთი დებულებისგან (ადამიანის ბუნება არის ბოროტი; ადრე თუ გვიან ინდივიდუალური ძალადობა არის გარდაუვალი; ადამიანებს შორის მშვიდობანი ურთიერთობა ყოველთვის/ნებისმიერ სიტუაციაში შესაძლებელია; ომი/მასობრივი ძალმომრეობა არ არის გარდაუვალი; თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა ერთად უდრის მშვიდობას). მათი გაზომვა მოხდა ლაიკერტის სკალით.

ექსპერიმენტში მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით[1].

2.3 ფოკუს-ჯგუფები

ტრადიციულად, ფოკუს-ჯგუფების მეთოდი გულისხმობს თვისებრივ მონაცემთა შეგროვებას ადამიანთა მცირე რაოდენობის ჩართვით არაფორმალურ ჯგუფურ დისკუსიაში, რომელიც „ფოკუსირებულია“ გარკვეულ თემაზე ან კითხვათა სიმრავლეზე(Wilkinson, 2004). ზოგადად, სოციალურ მეცნიერებათა მკვლევრები და, კერძოდ, ისინი, ვინც თვისებრივ მეთოდებს იყენებენ, ხშირად მიმართავენ ფოკუს-ჯგუფის მეშვეობით ერთდროულად რამდენიმე ადამიანისგან ინფორმაციის მოპოვებას. ფოკუს-ჯგუფები კვლევის ბევრი მონაწილისათვის ნაკლებად სახიფათოა და შექმნილი გარემო ეხმარება მონაწილეებს იმსჯელონ აღქმებზე, იდეებზე, თვალსაზრისებსა და აზრებზე (Krueger & Casey, 2000). მკვლევრები უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ფოკუს-ჯგუფებს იყენებენ. მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში ისინი ტარდებოდა იმისათვის, რომ მკვლევრებს დახმარებოდნენ გამოკითხვისთვის კითხვების შემუშავებაში (Morgan, 1998). 40-იანი წლების დასაწყისში, პოლ ლაზერსფელდმა და რობერტ მერტონმა, რომლებსაც ფოკუს-ჯგუფების მეთოდის

[1] დეტალურად მიზნობრივი შერჩევის პრინციპი აღწერილია კვლევის შედეგებში.

ფორმალიზაციას მიაწერენ (Madriz, 2000). ეს მეთოდი გამოიყენეს მეორე მსოფლიო ომში აშშ-ს ჩართვის მიმართ დამოკიდებულებაზე მასმედიის გავლენის კვლევაში, რომლის სპონსორსაც მთავრობა წარმოადგენდა (Onwuegbuzie et al., 2009).

თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ექსპერიმენტის შედეგების ახსნა - მათი გააზრება არგუმენტთა და მოტივაციათა კონტექსტში.

ფოკუსირებული დისკუსიის პროცესში რესპონდენტებს მიეცათ საკვლევ დებულებებზე **სიღრმისეულად და კრიტიკულად** კონცენტრირების საშუალება.

ერთი დისკუსია კონცენტრირებული იყო კვლევისთვის შერჩეულ ერთ ნაწარმოებზე. შესაბამისად, სულ ჩატარდა 12 ფოკუს-ჯგუფი.

პირველი ორი ფოკუს-ჯგუფის შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენდა ექსეპრიმენტის მონაწილეთა სია, მესამე ფოკუს-ჯგუფიდან დაწყებული, ხდებოდა შერჩევის ჩარჩოს ეტაპობრივი კორექტირება იმ მონაწილეთა ამოღებით, რომელთაც უკვე ორ ფოკუს-ჯგუფში მიიღეს მონაწილეობა. ასეთმა მიდგომამ საშუალება მოგვცა თვისებრივ კვლევაში ჩაგვერთო ექსპერიმენტის მონაწილეთა რაც შეიძლება დიდი ნაწილი. შერჩევის ჩარჩოდან მონაწილეთა ამორჩევა ხდებოდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

ფოკუს-ჯგუფების მოცულობა განისაზღვრა 8-10 რესპონდენტით.

თვისებრივი კვლევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო, რომელიც შედგებოდა შესავლის, 5 ძირითადი ნაწილისა და დასკვნისგან. სახელმძღვანელოს 5 ძირითადი ნაწილიდან თითოეული შეესაბამებოდა ერთ დებულებას იმ 5 საკვლევი დებულებიდან, რომელზეც ფოკუსირებული იყო ექსპერიმენტი და გულისხმობდა როგორც მის ხელახალ შეფასებას, ისე - არგუმენტაციას. დასკვნით ნაწილში რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ დაემატებინათ ინფორმაცია, დაეზუსტებინათ საკუთარი პოზიცია ან არგუმენტაცია, ემსჯელათ ისეთ ასპექტებზე, რომლებსაც მნიშვნელოვნად თვლიდნენ, მაგრამ მათი აზრით, დისკუსიის ფოკუსში არ მოექცა.

ფოკუს-ჯგუფების ხანგრძლივობის დიაპაზონს წარმოადგენდა 2-2.5 საათი.

კვლევა განხორციელდა პროფესიული ეთიკისა და ქცევის კოდექსის ნორმების დაცვით.

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა

წარმოდგენილი ნაშრომი, საკვლევი საკითხის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, სამეცნიერო თეორიებისა და კვლევების მრავალფეროვანი პერსპექტივების ფოკუსში გაიაზრება.

თუკი ჩვენ დავიწყებთ ევროპის კონტინენტზე ყველაზე მნიშვნელოვანი და ძველი შეიარაღებული კონფლიქტების ფაქტორების კვლევა-ძიებას, ლოგიკურად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ არსებობდა გარკვეული სოციო-ეკონომიკური თუ გეოპოლიტიკური ტრიგერები, რომლებიც გარკვეული დიდი დაპირისპირებების პროვოცირებას უწყობდა ხელს (Sandole, 1999).

ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ კულტურაში უხვად გვხვდება სხვადასხვა უმაღლესი კატეგორიის ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც უზადოდ მსჯელობს ძალმომრეობის სხვადასხვა ფორმის შესახებ და მნიშვნელოვან გზავნილებსაც გვაწვდის, თუმცა, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით, ძალმომრეობის ფართო კამპანიების პროპაგანდისტული ასპექტების საფუძვლიანი განხილვა არათუ ძველბერძნულ, არამედ, ბევრად უფრო თანამედროვე ლიტერატურაშიც არ გვხვდება (Herman & Chomsky, 1998)..

მშვიდობის მეცნიერება 1960-იანი წლების პირმშოა, როდესაც ჯერ მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში და შემდგომ უკვე დაარსდა "მშვიდობის კვლევის ჟურნალი" ზემოთ ხსენებული ინსტიტუტის მიერ. უფრო მოგვიანებით კი, ჯონ ბარტონი აყალიბებს "კონფლიქტების მოგვარებისა და ანალიზის ინსტიტუტს" ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში (Burton, 1990). ამერიკის შეერთებულ შტატებში. მხოლოდ ამ დროიდან იწყება მასობრივი ძალმომრეობის კამპანიების კვლევა ზემოთ ხსენებულ ინსტიტუციებთან ერთად მერილენდის უნივერსიტეტის, სირაკუზის უნივერსიტეტის, კორნელის უნივერსიტეტის, ბრაუნის უნივერსიტეტის, ჰარვარდის უნივერსიტეტის, ტორონტოს უნივერსიტეტისა და სხვა მკვლევართა ჯგუფების მიერ. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობის ინტერდისციპლინური მეცნიერება ახალი დარგია და, აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში ჯეროვნად არ დამდგარა მასობრივი ძალადობის პროპაგანდის უძველესი ძირების მოკვლევა ხელოვნების სფეროშიც კი. არაპირდაპირი გზით, ეს გაკეთებული

აქვთ კლასიკური მეცნიერების წარმომადგენლებს სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფებში. მათ შორის გამოირჩევა დოქტორ რისმაგ გორდეზიანის აწ უკვე კლასიკური კვლევები ბერძნული ცივილიზაციის შესახებ (გორდეზიანი, 2019). უაღრესად საინტერესოა ამ ანალიტიკური ჩარჩოების შესაბამისობა თანამედროვე მშვიდობის მეცნიერთა ნაშრომების პრაქტიკასთან და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კლასიკური და ისტორიული მეცნიერების კუთხიდან დანახული ეს ნაშრომები დღევანდელი კონფლიქტოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენლების ნაშრომებთან ბევრ საერთო ათვლის წერტილს მოიცავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ რისმაგ გორდეზიანის კვლევები არა მხოლოდ Pax Minoica-ს შესახებ (გორდეზიანი, 2019), არამედ ბერძნული ლიტერატურისა და ხელოვნების მისეული გარჩევებიც, შესაძლოა ჩაითვალოს ძალიან ღირებულ კვლევებად ამ ახალ მეცნიერებაშიც (გორდეზიანი, 2002), რომელმაც დღეს პასუხი უნდა გასცეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კითხვას: რამდენად შესაძლებელია "მინოსური მშვიდობის მოდელის" გამეორება ან რაიმე ფორმით მაინც რეპლიკაცია პოსტ-მოდერნულ ეპოქაში, სადაც "წმინდა ომებისა" და "გმირების" მეტა-ნარატივები უკვე აშკარა კრახს განიცდის და კაცობრიობა ბირთვული კატასტროფის წინაშე დგას (Hermiz, 2024).

წარმოდგენილ ნაშრომს საფუძვლად დაედო თანამედროვე კონფლიქტოლოგიის წამყვანი წარმომადგენლების ნაშრომები: ჯორჯ მეისონის კონფლიქტების მოგვარებისა და ანალიზის ინსტიტუტის დამაარსებლის, ავსტრალიელი დიპლომატისა და მეცნიერის, ჯონ ბარტონის ცნობილი ნაშრომი „კონფლიქტების მოგვარება როგორც პოლიტიკური სისტემა" (Burton, 1988). ოსლოს მშვიდობის ინსტიტუტის დამაარსებლის და მშვიდობის მეცნიერების მამის, იოჰან გალტუნგის „მშვიდობა მშვიდობიანი გზით" (Galtung, 1996). ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგისა და მათემატიკოსის, ერთ-ერთი პირველი კონფლიქტოლოგის ანატოლ რაპოპორტის „თამაშის თეორია" (Rapoport, 1989). დენის სანდოლეს „კონფლიქტის მოგვარება: თეორია და პრაქტიკა, ინტეგრაცია და გამოყენება" (Sandole, 1993). ქრისტოფერ მიტჩელის „საერთაშორისო კონფლიქტის სტრუქტურა" (Mitchell, 1981). კევინ ავრუხის „კულტურა და კონფლიქტის მოგვარება" (Avruch, 1998). რიჩარდ რუბინშტაინის „კონფლიქტის მოგვარება და კონფლიქტის სტრუქტურული

წანამძღვრები“ (Rubenstein, 2017). მეთიუ ევანგელისტას „შეუიარაღებელი ძალები“ და სხვა (Evangelista, 2002).

დილემის - მშვიდობიანი თანაარსებობა vs მასობრივი ძალმომრეობა, ისევე, როგორც ადამიანის ბუნების გააზრება, ძირითადად, ოთხი პარადიგმის კონტექსტში განხორციელდა:

1. რეალ-პოლიტიკის წამომადგენელთაგან აღსანიშნავია რაინჰოლდ ნიბურის, ჯორჯ კენანის, ჰენრი კისინჯერის, ჰანს მორგენთაუს და ნიკოლო მაკიაველის სხვა მიმდევრების ნაშრომები;

2. იდეალ-პოლიტიკის პარადიგმა, ძირითადად, განხილულია მაჰათმა განდის, ვუდრო უილსონისა და მათი მიმდევრების ნაშრომებზე დარდნობით (Gandhi, 1940).

3. მარქსიზმის, როგორც პარადიგმის თეორიულ ფუნდამენტს წარმოადგენს კარლ მარქსის „კაპიტალი“ (Marx, 1867).

4. არა-მარქსისტული რადიკალური აზროვნება, ძირითადად, მეოცე საუკუნის მოაზროვნეებით არის წარმოდგენილი. მათ შორის, აღსანიშნავია, იოჰან გალტუნგის, ჯონ ბარტონის, რიან აისლერის (Eisler, 1987), ჯუდით ბატლერის (Butler, 2004), ლუს ირიგარაის (Irigaray, 2021), ჯულია ქრისტევას (Kristeva, 1982), მიშელ ფუკოს (Foucault, 1979), ჟილ დელიოზის, ფელიქს გატარისა (Deleuze & Guattari, 1983) და სხვათა ნაშრომები, რომლებიც მასობრივი ძალმომრეობის ფენომენის გაჩენას პატრიარქატს უკავშირებენ.

კონკრეტული დრამატული ნაწარმოებების შერჩევის, ანალიზისა და კვლევის ემპირიული ნაწილის შედეგების ინტერპრეტაციის პროცესში გამოყენებულია ხელოვნების ფილოსოფოსთა, კრიტიკოსთა, ხელოვნებათმცოდნეთა და სოციალურ ფსიქოლოგთა ნაშრომები.

და ბოლოს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ მეცნიერთა ნაშრომები: დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია” (უზნაძე, 1994), რისმაგ გორდეზიანის „ბერძნული ცივილიზაცია გმირთა ეპოქიდან არქაიკამდე I” (გორდეზიანი, 2019), „ბერძნული ლიტერატურა, ელინური ეპოქის პოეზია და პროზა“ (გორდეზიანი, 2002), „მითების სიბრძნე“ (გორდეზიანი, 2005), „არგონავტები“ (გორდეზიანი, 2013), „ეტრუსკები, ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები“ (გორდეზიანი, კობახიძე, 2022), თითოეული მათგანი განიხილება როგორც წარმოდგენილი სადისერსატიო ნაშრომის

თეორიული ფუნდამენტის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და, ამასთან ერთად, როგორც ქართული მეცნიერებისა და აზროვნების ჭეშმარიტად ღირებული წვლილი კაცობრიობისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხთან მიმართებაში, რამაც არსებითი მაინსპირირებელი როლი შეასრულა საკვლევი საკითხისა და მეთოდოლოგიური მიდგომების განსაზღვრაში.

თეორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი

თავი 4. ჰომეროსის ეპიკური ნაწარმოებები, როგორც გმირული ლიტერატურის საწყისი

ჰომეროსი ევროპული მხატვრული ლიტერატურის მამად ითვლება. ამ გენიალური შემოქმედის მიერ აღწერილი მოვლენები მის ცხოვრებამდე დაახლოებით 4 საუკუნით ადრე ვითარდებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძველბერძნული ტრადიციიდან ჰომეროსის ეპოსთან ასოცირდება გმირობის, დიდებისა და ღირსების იდეალები. სწორედ ამ იდეის გასატარებლად არათუ შეიქმნა მისი ორი უდიდესი ნაწარმოები - „ილიადა“ და „ოდისეა“ არამედ ისინი დიდი რუდუნებით შემონახულ იქნა და ახლაც, მათი შექმნიდან დაახლოებით 3 ათასწლეულის შემდეგ, ეს ნაწარმოებები პრაქტიკულად პირველ ადგილს იკავებს ლიტერატურულ და დრამატულ შედევრებს შორის. **ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ჩამოყალიბებას იწყებს „სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსი“, რომელიც დიდი საომარი კამპანიებისა და მასობრივი ძალმომრეობის იარაღს უკვე სისტემატურად ამზადებს.** თუმცა, „გილგამეშის ეპოსის“ გარდა ჩვენთვის ცნობილია არაა რომელიმე ეპიკური თუ ტრაგიკული ნაწარმოები ბრინჯაოს ხანიდან. ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“ უკვე ძველ საბერძნეთში, გეომეტრიულ ხანაში იწერება. საინტერესოა ამ ნაწარმოებების შექმნის კონფლიქტოლოგიური ანალიზი და იმის განხილვა, თუ რამდენად არსებობდა და რას წარმოადგენდა ჰომეროსისა და ჰესიოდეს ეპოქაში ის “სოციალური დაკვეთა“ რომელიც ავტორებს შეიძლება ჰქონოდათ მაშინდელი საბერძნეთის მმართველი ან სამხედრო-ინდუსტრიული ელიტებისაგან.

ჰომეროსის მიერ „ილიადასა“ და „ოდისეაში“ აღწერილი მოვლენები, ფაქტობრივად, ემთხვევა ბრინჯაოს ხანის „დამსხვრევას“ და მის ადგილას კიდევ უფრო მილიტარისტული „რკინის ხანის“ დამკვიდრებას (Armstrong, 1958).

1. თუკი ბრინჯაოს ხანაში მილიტარისტული და მშვიდობიანი კულტურები მეტნაკლებად თანაარსებობდნენ (და ამის მაგალითია მინოსური საბერძნეთის, მილიტარისტული ეგვიპტისა და შუამდინარეთის პარალელური სამყაროები, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეულ კავშირშიაც შედიოდნენ), უკანასკნელი 3000 წლის განმავლობაში უკვე ცალსახად მეომარ ცივილიზაციებთან გვაქვს საქმე.

2. რკინის ხანის დაწყებიდან კი აშკარაა საბერძნეთში მიკენური ცივილიზაციის საბოლოო გამარჯვება, რომელსაც მოჰყვება გეომეტრიული ხანა და ეგრეთ წოდებული „ბნელი საუკუნეები“ საბერძნეთის ისტორიაში. „ბნელი საუკუნეები“ აღინიშნება ძალმომრეობის მკვეთრი მატებით და ახლა უკვე ბევრი ინდოევროპელი მომთაბარე ტომის შეჭრით პელოპონესის, ატიკის, თესალიის, ბიზანტიონის, კიკლადების, სიცილიის, კრეტის, კვიპროსის და სხვა ძველბერძნულ ტერიტორიებზე. „ახალი ცივილიზაციის“ ნიშანია ხმალმომარჯვებული მამაკაცი, რომელიც უკვე სტატუსით გაცილებით აღემატება ქალებს და, რომელიც ადგილობრივი თუ უცხო ტომელების „განადგურებით“, მოიპოვებს არა მხოლოდ ახალ ტერიტორიებს, სიმდიდრეს, ხარჭებს - არამედ უკვდავებასაც. „ომით უკვდავების მიღწევა“ მიკენურ ცივილიზაციაში და მის შემდგომაც იმპერატივი ხდება. ადვილი წარმოსადგენია, რომ ჰომეროსის გენიალური ეპოსის დაწერისას ამ სლოგანის უკვდავად ქცევა ნებისმიერი ლიტერატორის მთავარი ამოცანა იქნებოდა (Kullmann, 1985).

   ეს დრო - კერძოდ ძველი წელთაღრიცხვით მე-8 საუკუნე - „ბნელი საუკუნეების“ შემდგომი გეომეტრიული პერიოდია და ამის შემდეგ უკვე არქაული ელადა იწყებს პოლისების მქონე „ელადად“ ჩამოყალიბებას. იმპერიას კი მსხვერპლი სჭირდება, როგორც საკუთარი დაღუპული გმირების, ასევე მოკლული და „განადგურებული“ მტრების სახით. გალტუნგის ტერმონოლოგიით რომ ვისარგებლოთ, საჭიროა „პირდაპირი ძალადობის“ გამართლება „კულტურული ძალადობით“, რომელიც გულისხმობს „მტრების განადგურების“ პარადიგმის ლეგიტიმაციას პროპაგანდისტული საშუალებებით (Galtung, 2006).

3. იმის გათვალისწინებით, რომ არქაულ და შემდეგ უკვე ანტიკურ საბერძნეთში მთავარი პროპაგანდისტული საშუალება სწორედაც რომ დრამა და მასობრივი თეატრი იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ არქაული „სპონსორების“ ინტერესი სწორედაც რომ აქილევსის ცნობილი „უკვდავების ფორმულის“ დამკვიდრება იყო უკვე ელადის ინტერესების დამცველ მეომართა შორის (Neer, 2012). საინტერესოა, რომ აქილევსი თვით „ილიადაში“ ძალიან წინააღმდეგობრივი ფიგურაა - სავარაუდოდ ჰომეროსი, როგორც ყველა გენიალური ავტორი, შინაგანად ეწინააღმდეგებოდა „სპონსორების სოციალურ დაკვეთას“ და ამიტომაც აქაველთა

დიდი დამპყრობელი არმადის ყველაზე უფრო პოზიტიურ გმირად მას გამოჰყავს არა არგოსის მეფე აგამემნონი, რომელსაც „ხალხთა ბელადის“ წოდებით ამკობს, არა სპარტის მეფე მენელაუსი, რომელიც საბოლოოდ მის მოღალატე მეუღლეს, ელენეს დაიბრუნებს და არა ითაკელი „გაიძვერა ოდისევსი“, რომელიც უთუოდ ყველაზე მოხერხებული და „წარმატებულია“ გმირებს შორის - არამედ მირმიდონელი აქილევსი, რომელიც წარმოშობითაც კი არ უკავშირდება რაიმენაირად ატრევსის გვარის წარმომადგენელ აგამემნონსა და მის ძმა მენელაუსს (Carabatea, 2007). „ილიადა“ იმით არის აბსოლუტურად და პოზიტიურად გენიალური ნაწარმოები, რომ აქ ძალიან კარგად ჩანს ავტორის ადამიანური პოზიცია, მიუხედავად იმ დროისათვის გაბატონებული კონიუნქტურისა. მისი სიმპათია „დამარცხებული“ ტროელების მეფის, პრიამოსისა და უფროსი პრინცის, ჰექტორის მიმართ, ისევე, როგორც მთლიანად ტროელთა მშვიდობიანი კულტურის მიმართ (Snodgrass, 1998). ამავე დროს, კონიუნქტურის რჩეული აგამემნონი - ხალხთა ბელადი - არც ჰომეროსთან, არც ესქილესთან, არც ევრიპიდესთან (როგორც ამას ჩვენ შემდგომ თავებში ვნახავთ) სარგებლობს დიდი სიმპატიებით. აგამემნონი და მისი ოჯახი აგრეთვე გახლავთ ესქილეს „ორესტეას“ მთავარი პროტაგონისტი. მიუხედავად იმისა, რომ ჰომეროსი არ ახსენებს იფიგენიას ამბავს და აგამემნონს „შვილის მკვლელად“ არ მოიხსენიებს, „ილიადიდან“ კარგად ჩანს მისი გმირის ტრაიქოტომია ერთის მხრივ კეთილშობილი ტროელი პრინცის, ჰექტორის საპირისპიროდ და მეორეს მხრივ კი მისივე თანამებრძოლი გმირის, მირმიდონელი აქილევსის საპირისპიროდ. ორივე ამ დუელში, მკითხველისა და მაყურებლის თვალში აგამემნონი უიმედოდ მარცხდება. სწორედ ამიტომაცაა, რომ „ომით უკვდავების ფორმულას“ აყალიბებს აქაველებისთვის გმირად ქცეული აქილევსი (რომელსაც, ზოგიერთი ვერსიით, შესაძლოა პელაზგი წინაპრებიც კი ჰყავდეს) და არა სპარტის ან არგოსის აქაველი მმართველები (Homer, 1998). „ილიადას“ შესახებ მეტიც შეიძლება ითქვას - ნაწარმოების ბოლოს ჰომეროსი ტრაგიკოსისათვის შესაშური ოსტატობით აღწერს ჰექტორის სიკვდილს და მისი მამის პრიამოსის მასთან გამომშვიდობებას. პრიამოსისა და აქილევსის დიალოგი კი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა შედევრია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ეს „დიალოგი მტრებს შორის“ მშვიდობის მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი

წერტილია - სადაც მხარეები საკუთარი გრძნობების გამომჟღავნების შემდეგ ახერხებენ რეკონსილიაციას. „ილიადას“ ბოლო აბსოლუტურად უზადო ტრაგიკული ნაწარმოების ბოლოა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები მაინც ეპოსად არის მონათლული. აქ ჰომეროსი ერთი მხრივ „ომში უკვდავების ჰიმნის“ აქილევსისეული ვერსიის ჩამოყალიბებით ასრულებს აქაველთა სამხედრო-ინდუსტრიული ელიტის „სოციალურ დაკვეთას“ და მეორეს მხრივ კი „ილიადას“ ტრაგიკული დასასრულით საკუთარი შემოქმედებითი გენიის დემონსტრირებას ახდენს. როგორც წესი, შემოქმედი მაინც ყველა „სპონსორსა“ და „დაკვეთაზე“ ზემოთ დგას და ამის უზადო დემონსტრაციაა „ილიადა“ (Euripides, 2008). იგივეს თქმა რთულია ჰომეროსის მეორე ნაწარმოების „ოდისეას“ შესახებ, რომელიც აგრეთვე უდიდესი ოსტატის შესრულებულია. თუმცა, აქ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეპოსის ყველა წესი დაცულია (Homer, 2006). როდესაც არისტოტელე ამბობს, რომ ძალიან რთულია ეპოსის დასასრულის გარკვეული პერიოდით განსაზღვრა, რადგან მისი „წარმატებული გმირები“ პრაქტიკულად მუდამ ცოცხლობენ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ოდისევსისა და პენელოპეს ამბის გაგრძელება 60 ან 120 სერიანი ეპიკური სერიალითაც კი შეიძლებოდა (Finley, 1991). „ცბიერი ოდისევსი“ აქ უკვე „კეთილშობილ მეუღლედ“ იქცევა, რომელიც მართალია ნახევარ მსოფლიოს მოივლის საკუთარი სანუკვარი პენელოპეს ძიებაში, მაგრამ მაინც დაუბრუნდება თავის ითაკას, რათა იქ „ობივატელი ბიურგერის“ მსგავსად დაასრულოს თავისი გმირული ცხოვრება საკუთარ მეუღლესთან ერთად, რომელსაც მანამდე ბევრი „სასიძო“ აწუხებდა. ოდისევსის ისტორია მეტად საინტერესოც არის და, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ჰომეროსის მეორე ტრაგედიაში აღწერილი ამბავი ნამდვილად უზადოდ ასრულებს სამხედრო-პოლიტიკური ისტებლიშმენტის „სოციალურ დაკვეთას“ იმისათვის, რომ „ცბიერი ოდისევსი“ - მოხერხებული, ჭკვიანი, კარიერისტი მეომარი გამოიყვანოს Happy Ending-ის გამარჯვებულ პერსონაჟად. თუმცა, ამავე ეპოსის ნაწარმოებში ჰომეროსის შემოქმედებითი ნიჭი არაერთ ადგილას ბრწყინავს და იქაც იკვეთება მისი დამოკიდებულება ძალმომრეობისა და, კერძოდ, მასობრივი ძალადობის კამპანიების - ომების მიმართ. დიალოგები ჰადესში, ოდისევსის შეხვედრა

კიკლოპთან და რაღა თქმა უნდა, კირკეს ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს ავტორის პოზიციას (ნიჟარაძე, 2009).

4. შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსის „ოდისეა“ დროის მოთხოვნა იყო, „ილიადა“ კი -მარადიულობის. „გმირული ეპოსის“ ჟანრს საფუძველი ჩაეყარა და ეს სურდა იმ დროინდელ მმართველ ელიტას. რკინის ხანაში „სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსი“ კიდევ უფრო მეტად ორგანიზებულ ფორმას იღებს და პერმანენტულ სამხედრო მანქანად ყალიბდება (Snodgrass, 1998). ეს მანქანა კი უკვე თავად აყალიბებს მისთვის მომსახურე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ელიტებს და მას სჭირდება საკრალური ნიშანი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მანქანიდან გადმოსული ღმერთი“ – Deus Ex Machina ფაქტობრივად „სამხედრო-ინდუსტრიული მანქანიდან გადმოსული ღმერთია“ (Sophocles, 1994). სცენაზე განლაგებული მანქანა ტექნოლოგიური მნიშვნელობის მოვლენაა, რომლის უკანაც იმალება იდეოლოგიური და ზოგადად „ომის რელიგიის“ მანქანა, სადანაც უნდა გადმოვიდნენ ოლიმპოს მკვიდრი ღმერთები და ეს ღმერთები ისე წარმართავენ ტროას ომს, როგორც ეს იარაღის მწარმოებელ კომპლექსს სჭირდება. „ილიადაში“ ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს. ამ მოვლენების ძალიან კარგ ანალიზს გვთავაზობს ქართველი მეცნიერი ქეთი ნიჟარაძე ნაშრომში „ტროას მითოპოეტური და ისტორიული აღქმა ჰომეროსთან“. ამ ომის თემას ეძღვნება მრავალი საერთაშორისო ჰომეროლოგის, ლიტერატურის, კლასიკური მეცნიერების, ისტორიის სპეციალისტების ნაშრომები. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშვიდობის მეცნიერებამაც მიმართოს თავისი ანალიტიკური ჩარჩოები ევროპაში პირველი ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს (Murray, 2005).

თავი 5. ტრაგედიის,როგორც ხელოვნების განსაკუთრებული ჟანრის საწყისები

ჰომეროსის მიერ „გმირული ეპოსის“ ჟანრის დაფუძნებასთან ერთად, პოეზიის სხვადასხვა მიმართულებები სწრაფად ვითარდება ძველბერძნულ ცივილიზაციაში. ელეგიები, იამბური პოეზია, გნომური პოეზია და საგუნდო ლირიკა კარგად ავსებს იმ შუალედურ პერიოდს, რომელიც ჰომეროსსა და დიდი ბერძენი ტრაგიკოსების სამეულს შორისაა. ამ პაუზის პერიოდში განსაკუთრებით გამოირჩევა საფოს პოეზია, რომელშიაც აგრეთვე ძალიან კარგად ჩანს ისტორიული მეხსიერება არაძალადობრივ და მატრიარქატულ პერიოდებთან დაკავშირებით და, ამავე დროს, ირონიული დამოკიდებულება გაბატონებული მოძალადე სისტემის მიმართ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ტრაგედიის ჟანრის გაჩენის გარეშე ჩვენ მაინც სრულყოფილად ვერ შევიცნობდით ვერც წინაბერძნულ, ძველბერძნულ თუ ანტიკური სამყაროს შემოქმედებით სულს, რომელიც გაჟღენთილია დიდი ავტორების ძალმომრეობის მიმართ გამოხატული საოცარი ოპოზიციური განწყობით. ამ ავტორებს შორის, ცხადია, გამოსაყოფია სამი დიდი ბერძენი ტრაგიკოსი (ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე), რომელთაც თავისი განსაკუთრებული როლი აქვთ შესრულებული მსოფლიო ლიტერატურისა და თეატრის ისტორიაში. ანტიკურ ეპოქაში ტრაგედიის აუცილებლობა განპირობებული იყო იმ ფაქტორით, რომ არსებული პოლიტიკური წყობა უკვე მკვეთრად დაექვემდებარა სამხედრო-ინდუსტრიულ მანქანას და, მაშასადამე, როგორც დამყრობლის მიერ მკვლელობის, გაუპატიურების, ქალთა დამონების ინსტიტუტები, ბუნებრივია, ადამიანში მხოლოდ „გმირული ოდისეის“ შეგრძნებებს ვერ აღძრავდა (Gregory, 2005). დროის ასე შემოტრიალებასთან ერთად, აუცილებელი გახდა ადამიანებისთვის „ტრაგიკული რეალობის სარკის“ . ჩვენება - იმის დემონსტრირება, რომ ისინი გვერდს ვერ აუვლიან ძალმომრეობის ტრაგიკულ რეალობასა და დომინაციას (Aristotle, n.d.). ტრაგედიის წარმოშობის საკითხს ძალიან კარგად აღწერს არა მხოლოდ არისტოტელე, არამედ მრავალი საუკუნის შემდეგ, დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშეც, რომელიც აგრეთვე ძალიან მგრძნობიარედ ეკიდებოდა „ძალაუფლების ნების“ საკითხებს (Nietzsche, 2003). ძველი წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნისათვის ნიადაგი უკვე მყარად იყო მომზადებული

ტრაგედიის ჟანრისათვის. წინაბერძნული და პელაზგური ხანის თანასწორუფლებიანი, აგრარული, უხვი და მშვიდობიანი მინოსური ცივილიზაცია ძალმომრეობაზე და უკმარისობაზე დამყარებულმა მიკენურმა მოდელმა შეცვალა და ამის ლოგიკური დაბოლოება იყო "ელინური იმპერიალიზმი" ანტიკურ ხანამდე, ანტიკური ხანის დროს და არისტოტელეს მოწაფის, ალექსანდრე მაკედონელის მმართველობის ჟამს (van Wees, 2000). ბერძნული ტრაგედიების სული საუკეთესოდ ასახავს ამ დროის მიმდინარეობასაც და მის წინა პერიოდსაც. საოცარია, თუ როგორ იხატება ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაგიკულ ნაწარმოებებში მათი ეპოქის სული და დიდი ხელოვანების წინააღმდეგობა "გმირული ეპოსის" დამკვეთ სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე" და „მავედრებლები" (ესქილე, 1978). უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ტრაგედიები ეპოსთან და მითოლოგიასთან ერთად, ისტორიის საკმაოდ მართალ სურათს ხატავენ - ხშირად უფრო მართალსაც კი, ვიდრე ისტორიკოსები - ჰესიოდე, ჰეროდოტე, სტრაბონი და სხვები.

მთავარი, რაც ჩვენ ძველბერძნული ტრაგედიებიდან შეგვიძლია დავინახოთ, არის ის, რომ აქაველების და მიკენური ცივილიზაციის გაბატონების შემდგომ მიღებული სურათი გახლავთ იმის პრეკურსორი, რასაც დღეს ვხედავთ თანამედროვე საერთაშორისო და ზოგადად ადამიანურ ურთიერთობებში - ძალმომრეობასა და დომინაციაზე დამყარებული „წესრიგი" კატასტროფის მომასწავებელია და კაცობრიობამ თუ ამ წესრიგზე უარი არ თქვა და ახალი ფორმით არ დაუბრუნდა მინოსური ცივილიზაციის დინამიური კრეატიულობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპს, ოიდიპოს მეფის ან აგამემნონის ტრაგიკული ბედისწერა არ ასცდება. სოფოკლეს გენიალურად ჩამოყალიბებული პრინციპის არ იყოს, ადამიანის არჩევანი განაპირობებს მის ბედისწერას (Sophocles, 1994). იგივე შეიძლება ითქვას ცივილიზაციაზე და მთლიანად კაცობრიობაზეც. თუკი ჩვენი არჩევანია დაპყრობით ომში გამარჯვების სურვილით ატანილებმა საკუთარი უმანკო ქალიშვილი შევწიროთ "სამხედრო-ინდუსტრიული მანქანიდან გადმოსულ ღმერთებს" – Deus Ex Machina-ს, მაშინ ჩვენ არ აგვცდება აგამემნონის ბედისწერა - ანუ მისი სიკვდილი საკუთარი ცოლის ხელით (Knox, 1985).

ამ კავშირზე დღევანდელ ცივილიზაციასთან განსაკუთრებით გულდასმით საუბრობს ზვიად გამსახურდია „საქართველოს სულიერ მისსიაში“ (გამსახურდია, 1990).

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში, ანტიკური ტრაგედიებიდან სამი მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოების განხილვა და ანალიზი გვაქვს შემოთავაზებული, როგორც კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინის ჭრილში, ასევე ფოკუს-ჯგუფებში მსჯელობის საგნად. ეს ნაწარმოებებია ესქილეს ლეგენდარული „მიჯაჭვული პრომეთე“, სოფოკლეს არანაკლებ ცნობილი „ოიდიპოს მეფე“ და ანტიკურ ტრაგედიათა შორის ყველაზე პოპულარული პიესა, ევრიპიდეს „მედეა“, რომლის მთავარი გმირიც კოლხეთის მეფე აიეტის ასული მედეაა. სამივე ამ ნაწარმოებს ეპოქალური მნიშვნელობა აქვს და ისინი ასახავენ არა მარტო ანტიკური ათენის სულს, არამედ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში დატრიალებულ ისტორიულ ქარბორბალას, რომელმაც საბოლოოდ ძალმომრეობის დისციპლინური საზოგადოებრივი მოდელის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა. ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეში“ კარგად ჩანს აჯანყებული ტიტანი. ის უპირისპირდება ზევსის “ახალ მსოფლიო წესრიგს“, რომელიც ომზე, ძალმომრეობაზე, დომინაციასა და რესურსების უკმარის გადანაწილებაზე დგას. პრომეთე ამას არ ეგუება, ზევსს არ ურიგდება და “ზევსის პერიოდის“ დასასრულს ელოდება. გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, ამ პერიოდს კაცობრიობა დღემდე ელოდება. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ არჩევანს ძალმომრეობის სასარგებლოდ აკეთებს - ის საკუთარ მამას კლავს და ამისთვის ისჯება კიდეც ბედისწერით. ესეც კაცობრიობის ბედის ამსახველი დიდი ნაშრომია. ევრიპიდეს “მედეა“ დღევანდელი ქალთმოძულე პატრიარქალური სამყაროს პრეკურსორია, რომელმაც ქალების და სიყვარულის დემონიზაცია მოახდინა გულგრილი კარიერისტი და სისხლის მღვრელი იასონის სასარგებლოდ. ამ კვლევას ჰომეროსის „ილიადასთან“ ერთად სამი დიდი ტრაგიკოსი მწერლის ნაწარმოებებით ვიწყებთ.

თავი 6. არისტოტელეს "პოეტიკა" კონფლიქტისა და მასობრივი ძალმომრეობის პერსპექტივაში

არისტოტელეს „პოეტიკა" პირველი კლასიკური ტექსტია, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ტრაგედიაზე ან ეპოსზე მსჯელობა. აქ ნამდვილად დიდი ოსტატობით არის დახატული ორივე მათგანის სტრუქტურა, დანიშნულება და მოწოდების ხერხები. არისტოტელეს არაჩვეულებრივად ესმოდა პოეტური ხელოვნება, დრამა და ზოგადად ლიტერატურაც. ის გვევლინება პირველ ხელოვნებათმცოდნე ფილოსოფოსად, რომელიც აგრეთვე "პოლიტიკის" ავტორიც გახლავთ (Arsitotle, 1993). არისტოტელე არის ელინური ეპოქის შემქმნელი მოაზროვნე - თავისი ყველა უარყოფითი და დადებითი თვისებებით. როგორც პლატონის მოწაფე და სოკრატული ფილოსოფიის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, არისტოტელე კარგად აფასებდა მისი დროის მთავარ გამოწვევებს ელინური სამყაროსათვის. ამავე დროს, ის ხედავდა, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნისათვის უკვე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ორფეოსის დროინდელი იდეალების დაბრუნება - უნდა წარმოეჩინა სამყარო ისეთად, როგორიც ის მაშინ იყო და ადამიანიც ისეთად, "როგორიც ის არის" - ამ ეპითეტს არისტოტელე ევრიპიდეს დახასიათებისას იყენებს (Bierl, 2015).

ა) პოეზია, როგორც ცხოვრების იმიტაცია

არისტოტელე თავის „პოეტიკას" იწყებს იმით, რომ ის ტრაგედიას, ისევე, როგორც კომედიას, დითირამბულ პოეზიას და მუსიკასაც კი „იმიტაციის ხელოვნებას" უწოდებს. რატომ არის ეს მნიშვნელოვანი: არისტოტელე თავისი დროის სულისკვეთებას პატიოსნად ასახავს. დრო, რომელიც ელინური იმპერიალიზმის პერიოდის უმაღლესი აყვავების ხანას ემთხვევა, საჭიროებს ამ ეპოქის სულის ნამდვილ ასახვას და ამისათვის არისტოტელეს „სარკე", ანუ იმიტაციის ხელოვნება, საუკეთესო საშუალებაა. საჭიროა ის, რომ რიგითმა ელინმა იგრძნოს მისი იმპერიის სიდიადე ისე, როგორიც ის არის (Hall, 2002). არისტოტელეს ფილოსოფიურმა ქმნილებებმა საფუძველი მოუმზადა მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ იმპერიას. ალექსანდრე მაკედონელის დამპყრობლური კამპანია, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში გრძელდებოდა, მაგრამ სწორედაც რომ თვალისმომჭრელად შევიდა მსოფლიო ისტორიაში - გარკვეულ იდეებს ემყარებოდა.

ეს იყო როგორც სამხედრო საქმეში განსწავლულობა და ოსტატობა, აგრეთვე მიკენური ცივილიზაციის კულტურულ მემკვიდრეობაზე აგებული დისციპლინარული წესრიგი და სოკრატულ ფილოსოფიაზე დამყარებული ზომიერი ემპირიოცენტრიზმი, რომლის ცენტრალური ქვაკუთხედს წარმოადგენდა „ამქვეყნიური ბატონობისათვის“ და მსოფლიო დომინაციისათვის ბრძოლა მთელ დანარჩენ „ბარბაროსულ სამყაროსთან“, რომელსაც არისტოტელე, ზოგჯერ სამართლიანად და ზოგჯერაც უსამართლოდ, ნაკლებად განვითარებულად მიიჩნევს, ვიდრე ელინურ სამყაროს (Myrland, 2018). „პოეტიკამ“ კი ამის არეკვლა უნდა მოგვცეს, თუმცა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამი ბერძენი ტრაგიკოსის ნაშრომები, ისევე, როგორც ჰომეროსის ორი ეპიკური ნაწარმოები, ამის უპირობო სურათს არ იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ მთელ რიგ ამ ნაწარმოებებში აშკარად ჩანს სიმპათია დამარცხებულთა და ომის მსხვერპლთა მიმართ, თუმცა, ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში, საჭიროა ამ გენიალური ნაწარმოებების ისე ახსნა, რომ მკითხველს არ დარჩეს უკმარისობის ან კიდევ ელინთა დანაშაულის განცდა (Saïd, 2011). საჭიროა აგამემნონის, აპოლონის, პოსეიდონის და, ზოგადად, ძალმომრეობის გამართლება, რადგან ეს “ელადის ინტერესებშია“, როგორც ამის არტიკულირებას ახდენს პატარა და უმანკო იფიგენია საკუთარი მამის მიერ მისი მსხვერპლად შეწირვის წინ - “მე მივდივარ სიკვდილზე, რადგან ეს ელადას სჭირდება“ - ანუ ტროას განადგურება ელადას სჭირდება, არა მხოლოდ ელენეს დაბრუნების მიზნით. აქ საჭიროა, რომ მიკენურმა და ძალმომრეობითმა წესრიგმა საბოლოოდ გაანადგუროს მშვიდობიანი და მინოსურ წესრიგზე დამყარებული ტროა, მიუხედავად იმისა, რომ პრიამოსი და ჰექტორი ასეთი არაჩვეულებრივ გმირები არიან, მიუხედავად იმისა, რომ აგამემნონის ლაშქრის ამ ომს დიდი უბედურებების მოჰყვება არა მხოლოდ ტროელთათვის, არამედ თვით აქაველებისათვისაც მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს არის მისი „ყოფიერების სარკე“ და ხელოვნება „იმიტაციის“ საუკეთესო საშუალებაა.

ბ) მოწოდების ფორმა - საშუალება

არისტოტელე საგანგებო ყურადღებას უთობს მოწოდების ფორმას, იქნება ეს დაქტილური ჰექსამეტრი თუ იამბური რითმა, დითირამბული თუ იონური კუპლეტის ფორმა. ფორმაზე საუბარი არისტოტელეს საშუალებას აძლევს, განიხილოს სხვადასხვა ავტორების ოსტატობა. ასე მაგალითად, ის ადარებს ჰომეროსისა და

ემპედოკლეს ვერსიის სტილებს და მათ შორის განსხვავებებსაც ნახულობს. ბუნებრივია, რომ პოეტიკაში მნიშვნელოვანია ნაწარმოების ავტორის ოსტატობაც, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ არისტოტელესთვის მთავარი მაინც შინაარსია. ფორმა მხოლოდ შინაარსისა და არსის გადმოცემას ემსახურება (Graziosi, 2002).

გ) ობიექტი - როგორც ძალმომრეობის საგანი

როდესაც არისტოტელე პოეტიკის ობიექტზე გადადის, უთუოა, რომ ის ამ ნაწარმოების მთავარ ობიექტად ადამიანს მიიჩნევს, შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორ წარმოგვიჩენს პოეტური ნაწარმოები ადამიანს. *არისტოტელეს აზრით, ტრაგედია ადამიანს უკეთეს ფორმაში წარმოაჩენს, ხოლო კომედია - უარესში.* აქ მნიშვნელოვანია, რომ არისტოფანესა და სხვა კომიკოსებზე დაყრდნობით, არისტოტელე ლაპარაკობს ისეთი ტიპის კომედიაზე, რომელიც ადამიანს დასცინის და არა ისეთზე, რომელიც უკვე შემდგომ ჩამოაყალიბა ჩარლზ სპენსერ ჩაპლინმა, სადაც კომიკოსი „ადამიანთან ერთად იცინის“. თუმცა, აქ იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ არისტოფანე თავის „ბაყაყებში“ ხშირად ისეთ მოსაზრებებს ავითარებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის თვით არისტოტელეს იდეებთან და, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არისტოტელეს სუბიექტური თვალთახედვა აქვს ზოგადად კომედიის ობიექტისადმი დამოკიდებულების კუთხით. ტრაგედიაში კი ადამიანი ამაღლებულია. არისტოტელესეული ლოგიკის საფუძვლად შეიძლება ერთი მხრივ ესქილესა და სოფოკლეს გმირების ამაღლებული სულიერი მდგომარეობა მივიჩნიოთ, მეორე მხრივ კი, ის მოცემულობა, რომელთანაც არისტოტელე მუშაობს - პოსტმიკენური, ელინური კულტურის მკვეთრად მილიტარისტული ხასიათი და „კატასტროფების“ ლეგიტიმაციის აუცილებლობა, რათა გამართლებულ იქნას იმპერიალიზმის, მონობის, ჩაგვრისა და მკვლელობების ლოგოცენტრული საფუძველი. ამისათვის კი აუცილებელია ტრაგედიის პერსონაჟი ყველაზე ამაღლებულად გამოჩნდეს კომედიისა კი - პირიქით (Tsitsiridis, 2005). თუკი ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ მთავარი გმირი, ტიტანი პრომეთე, ბევრად უფრო პოზიტიური გმირია, ვიდრე ღმერთად წარმოჩენილი ზევსი და აქ შეიძლება ნამდვილად ვილაპარაკოთ ადრეული ბერძნული ჰუმანიზმის იდეალის დამკვიდრებაზე - იგივე ავტორის „ორესტეაში“ ჩვენ იშვიათად თუ გვხვდება

დადებითი ტიპის ადამიანი. აგამემნონი საკუთარი შვილისა და მრავალი უდანაშაულო ტროელის მკვლელია. მას, კი, თავის მხრივ, სახლში დაბრუნესთანავე კლავს საკუთარი მეუღლე კლიტემნესტრა თავის საყვარელთან ერთად.

„ქოეფორებში“ და „ევმენიდებში“ კი შურისმაძიებელ შვილებთან გვაქვს საქმე. აგამამნონისა და კლიტემნესტრას შვილები ორესტე და ელექტრა საკუთარ დედას კლავენ და ამისათვის ერინების რისხვას იმსახურებენ (Bremer, 1969). აქ ძალიან რთულია ვთქვათ, რომ ეს „ადამიანები“ უფრო აღმატებულნი არიან, ვიდრე, თუნდაც არისტოფანეს გმირები. ევრიპიდეს „ჰერაკლე“ და „მედეაც“, მათი მთავარი გმირების სახით, არ გვთავაზობენ ადამიანის ყველაზე აღმატებულ „ვერსიას“, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცალსახად უარყოფითი პერსონაჟები არ არიან. სოფოკლეს „ანტიგონეს“ მთავარი პროტაგონისტები, ანტიგონეს გარდა, კრეონტი, პოლინეკესი და ეტეოკლესი (ეს ორი უკანასკნელი, ოიდიპოს მეფის შვილები არიან) საკმაოდ სავალალო „არჩევანს“ აკეთებენ - ორივე ძმათამკვლელ ომში ჩაებმება და ბრძოლის ველზე იღუპება. თუკი თვით ოიდიპოსმა მისი საბედისწერო „არჩევანის“ გაკეთებისას არ , ვის კლავს ან ვისთან წვება ლოგინში, მისმა შვილებმა უკვე იციან, რომ ერთმანეთის მოსაკლავად მიდიან და ამას შეგნებულად აკეთებენ ანუ ძალმომრეობა უკვე შეგნებული არჩევანია და მას კატასტროფა მოაქვს, “შვიდნი თებეს წინააღმდეგ“ და “ანტიგონე“ (Sophocles, 1994). ამ კატასტროფას ორმხრივად აქცევს.- აქ არ არსებობს გამარჯვებული - ბრძოლაში პოლინეკესსა და ეტეოკლესს შორის, ორივე კვდება. ეს საბედისწერო დაპირისპირება თითქოს ბირთვული კონფლიქტია, სადაც მხარეებმა წინასწარ იციან მათი განწირულობის შესახებას, თუმცა ისინი მაინც მტრობას ირჩევენ სოფოკლეს პოზიცია აბსოლუტურად გამოკვეთილია: ის ამას ადამიანისათვის ტრაგიკულად და არასასურველადმიიჩნევს. მაგრამ, არისტოტელესათვის ეს ადამიანური ყოფიერების „სარკეა“ - ანუ ის რაც ადამიანი არის. ის განწირულია იმისათვის, რომ საკუთარი ძმაც კი მოკლას. და რატომ? პასუხი იმაშია, რომ მიკენური ცივილიზაციის გამარჯვებისა და „ბნელი საუკუნეების“ შემდგომ დამყარებული მილიტარისტული და დომინაციური აზროვნებით, უკვე შეუძლებელია ლეგიტიმაცია გაუკეთდეს სხვა ტიპის უანგარო და კეთილშობილურ საქციელს (Jones, 1971).

ეს შეიძლება იყოს გამონაკლისი ან უპრეცედენტო გმირობა, როგორც პრომეთეს, აქილევსის, ჰექტორის, ანდაც თვით იფიგენიას შემთხვევებშია. მაგრამ წესი

უკვე სხვაა - დაუნდობელი მკვლელობა (აგამემნონის შემთხვევაში, საკუთარი უმანკო და უდანაშაულო ქალიშვილსაც კი). მილიტარისტულ წესრიგს ეს აუცილებლობად მიაჩნია და ასე ფიქრობს არისტოტელეც (Fowler, 2004).

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ესქილეს "მავედრებელი ქალწულების" მიხედვით, მაინც ხდება გახსენება წინაბერძნული წესრიგისა, ანუ პელოპონესის უკანასკნელი მმართველი, მეფე პელაზგოსი, რომელიც არც აქაველია და არც დანაელი, ძალიან ჰგავს დღევანდელი დღის ნობელის პრემიის ლაურეატებს მშვიდობის დარგში, რომლებიც ადამიანების უფლებების დაცვაზე სპეციალიზდებიან. ესეც კიდევ ერთი იდეალიზებული გმირია ესქილეს შემოქმედებიდან, რომელიც ჯერ კიდევ მინოსური პერიოდიდან შემორჩა, თუმცა, მიკენური პერიოდის გმირები და, ამას გარდა, თვით ზევსის ძე ჰერაკლეც, საკმაოდ დაუნდობლებად გვევლინებიან. უმეტესწილად ამ გმირების დაუნდობლობა ევრიპიდეს შემოქმედებაში ჩანს, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ესქილეს „ორესტეში" ჩვენ დადებითი გმირების „კორიანტელი" გვაქვს, ან თუნდაც სოფოკლეს „თებეს ტრაგედიებში", სადაც არასწორად გაკეთებულ არჩევანს მწარე ბედისწერა მოჰყვება. არასწორი არჩევანის მთავარი კომპონენტი კი თითქმის ყოველთვის ძალმომრეობაა ანუ ტრაგიკოსი ავტორები, ისევე, როგორც ეპიკოსი ჰომეროსი, კიდევ ერთხელ გვიდასტურებენ, რომ მიკენური ცივილიზაციის გამარჯვების შემდგომ ძალადობა ბერძნულ ცივილიზაციაში და მის გარეთაც ნორმად იქცა (Burgess, 2003).

არისტოტელეს აზრით, ტრაგედია უნივერსალური შინაარსისაა - ის იმას კი არ ამბობს, რაც ერთ-ერთ შემთხვევაში რომელიმე გმირს კონკრეტულად დაემართა, არამედ იმას, თუ როგორ ხდება ხოლმე და როგორ ემართება ადამიანს ზოგადად. მისი წარმოდგენა ამის შესახებ ნათელია: ადამიანს ეძლევა ტრაგიკული არსებობის სარკე „პოეტიკაში".

ეს ტრაგიკული არსებობა კი ნიშნავს იმას, რომ მასობრივი ძალმომრეობა - ომი და იმპერიალიზმი - ამ ცხოვრების გარდაუვალი ბოროტებაა - ისევე, როგორც დომინაცია, მონობა, ჩაგვრა და ექსპლუატაცია. ცხადია, ამას ვერც არისტოტელე გაურბის (არც ცდილობს გაქცევას) - ის ცდილობს, რომ მკითხველი „შეაგუოს" ამ რეალობას (Barry, 1996).

თავი 7. ბერძნული ტრაგედიები მშვიდობის მეცნიერების პერსპექტივაში

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე კონფლიქტის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე ბერძნული ეპოსისა თუ ტრაგედიების ანალიზი გვაჩვენებდა როგორც ძალიან საინტერესო პარალელებს, ისე - მნიშვნელოვან სხვაობებს. მთავარი პარალელი კი ისაა, რომ დღევანდელი მსოფლიო ისევ და ისევ მიკენური ცივილიზაციის იმ პრინციპებით ოპერირებს, რომლებიც ტროას ომის შემდგომ მივიღეთ ევროპაში და შემდეგ უკვე მთელ მსოფლიოშიც. ძალმომრეობის კულტურა დღესაც აღმატებულ ხარისხშია და მინოსური ცივილიზაციის მთავარი პრინციპები მეორეხარისხოვან როლში გვევლინება, ხოლო რაც შეეხება განსხვავებებს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველბერძნული თეატრი, როგორც პროპაგანდის პრინციპულად მთავარი საშუალება, ჩანაცვლებულია მასმედიითა და ახლა უკვე ინტერნეტით გავრცელებული სოციალური ქსელებით. კომუნიკაციის ამ ახალ საშუალებებში ძალმომრეობის მომხრე სხვადასხვა ტიპის პოლიტიკოსები სხვადასხვა „როლში“ იჭრებიან და მათ ტელეწამყვანები „მოთამაშეებს“ უწოდებენ (Hall, 2002). დღეს კაცობრიობის მთავარი მიზანი გახლავთ ის, რომ თავიდან აიცილოს ბერძნული ტრაგედიისთვის დამახასიათებელი „ნულოვანი ჯამის“ (Pruitt & Rubin, 1986). ფსიქოლოგიით განვითარებული კატასტროფული სცენარი, სადაც ოიდიპოს მეფის შვილები ეტეოკლესი და პოლინიკესი ერთმანეთს თებეს კარიბჭესთან ხოცავენ და მათი დამმარხავი ანტიგონეც კი ცოცხალი აღარ იქნება - ბირთვული რადიაციის ეფექტით (West, 2012).

თავი 8. ტრაგედიიდან ეპიკურ დრამამდე

ანტიკური ხანის ბრწყინვალე ნაწარმოებებმა ტრაგედიის ჟანრის უწყვეტ განვითარებას დაუდო სათავე. რომაულ-ლათინურ ლიტერატურაში მრავლად გვხვდება ბერძნული ტრაგედიების, მათ შორის, ცხადია, ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს უკვდავ ნაწარმოებთა მიმსგავსებული ვერსიები(van Wees, 2000).

ამ მხრივ, რომაულ პერიოდში გამოირჩევა სენეკას ტრაგედიები, რომლებიც კლასიკური არისტოტელური სტრუქტურის მიხედვით, **პერიპეტეიით** იწყება, **ჰამართიით, ანოგნოროზისითა** და **კატასტროფით** გრძელდება და **კათარზისით** მთავრდება (Aristotle, n.d.).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ **ბრიტანულ ელისაბედურ პერიოდამდე**. არსებითი გარღვევა ამ ჟანრში არ მომხდარა - ტრაგედია, თავისი სტრუქტურითა და არსით, არისტოტელურ ჟანრად დარჩა.

ბრიტანული ელისაბედური პერიოდის დადგმებს შორის გამოიჩეოდა **თომას საკვილის** და **თომას ნორტონის**„გრობოდაკი“, **თომას კიდის** სენეკას ტრადიციებში შესრულებული „ესპანური ტრაგედია“ და სხვები, რომლებიც მელოდრამატულ ელემენტებს შეიცავდა. აღსანიშნავია, აგრეთვე, **ქრისტოფერ მარლოუს** პირველი ქრისტიანული ტრაგედიები: “ტამბერლეინი“ (1587 წ.), „„დოქტორი ფაუსტუსი“ (1588 წ.), “მალტელი ებრაელი“ (1589 წ.) და „ედვარდ მეორე“ (1593 წ.). მელოდრამატულობა მარლოუსათვისაც დამახასიათებელი იყო და, აქედან გამომდინარე, მის მიერ მოწოდებული „კატასტროფა“ არ იყო იმდენად დამაჯერებელი, რომ ნამდვილი განწმენდა გამოეწვია.

ელისაბედური და მეფე ჯეიმზის პერიოდების მიჯნაზე ინგლისში გამოჩნდა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მნიშვნელობის დრამატურგი, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია მსოფლიო ლიტერატურისა თუ თეატრის განვითარებას. მისი ნაწარმოებები უთუოდ ქმნის გარკვეულ განწყობას როგორც ადამიანის ბუნების, ასევე ძალმომრეობის მიმართ. ეს არის ტრაგედიის ჟანრის აპოგეა. ამ ჟანრის აღიარებულ დიდოსტატად უთუოდ **ბრიტანელი დრამატურგი უილიამ შექსპირი (1564-1616)** გვევლინება, რომლის ტრაგედიებიც მსოფლიო ლიტერატურის

ბრწყინვალე შედევრებს წარმოადგენს და დღესაც უაღრესად აქტუალურია გლობალური მასშტაბით.

შექსპირის ტრაგედიები დიდი სიღრმითა და დრამატულობით გამოირჩევა. მათ შორის აღსანიშნავია „რომეო და ჯულიეტა“, „კორიოლანუსი“, „ტიტუს ანდრონიკუსი“, „იულიუს კეისარი“, „მაკბეტი“, „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „ოტელო“, “რიჩარდ მესამე“ და სხვები.

კონფლიქტოლოგიის პერსპექტივაში, განსაკუთრებით საინტერესოა, რომ უილიამ შექსპირის ტრაგიკული ჟანრის ნაწარმოებები ადამიანის ბუნების ორმაგ სურათს აჩვენებს - ერთი მხრივ, გამორჩეული ადამიანების საოცრად კეთილშობილ ბუნებას, მეორე მხრივ კი, ძალაუფლებასა და სიმდიდრეს მოწყურებული პროტაგონისტების უსაზღვრო ბოროტებას (Brecht, 2014). თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი ტრაგიკული ნაწარმოებებიდან გამოირჩევა **„ჰამლეტი“, „მაკბეტი’“ „მეფე ლირი“, „რიჩარდ მესამე“ და „ოტელო“,** სადაც ადამიანის სულის ბნელი კუნჭულების შესახებ განსაკუთრებული ოსტატობით გვიყვება ავტორი. შეიძლება ითქვას, რომ თავის ყველაზე უფრო მუქ ფერებში შექმნილ ტრაგედიებში უილიამ შექსპირი თითქოს ევრიპიდეს მემკვიდრე უფროა, ვიდრე ესქილეს ან სოფოკლესი (Boal, 1993). მაგრამ, ძნელია რამის დაბეჯითებით მტკიცება მსგავსება-ანალოგიებთან დაკავშირებით, რადგან თვით შექსპირი ისეთი გამორჩეული ფენომენია მსოფლიო დრამატურგიის ისტორიაში, რომ რთულად თუ მოიძებნება მისი ადექვატი ნებისმიერი პერიოდიდან (Brecht, 1951).

შუა საუკუნეებისა და ადრეული რენესანსის ავტორები, ძირითადად, აგრძელებენ ჯერ კიდევ ევრიპიდეს დრამატულ ნაწარმოებებში ასახულ „რეალპოლიტიკის“ მაკიაველურ პრინციპს - იმას, რომ „ადამიანის ბუნება ბოროტია“ და „ძალმომრეობა ჩვენი ცხოვრების უცილებელ ნაწილს წარმოადგენს“, თუმცა, უილიამ შექსპირის მთელ რიგ ნაწარმოებთა გმირები - მაგალითად ჰამლეტი, ოტელო, დეზდემონა, რომეო, ჯულიეტა და სხვა - მაყურებელში აღძრავს „კეთილშობილური კათარზისის“ განცდას. ამ ნაწარმოებთა გაცნობის შემდგომ, როგორც წესი, ადამიანის ბუნება ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად არ აღიქმება.. შექსპირის ბევრი მთავარი გმირი, ევრიპიდეს ნორჩი იფიგენიას მსგავსად, თითქმის სრულიად უდანაშაულოა ან მათ „ჰამართიას“ უნებლიე ხასიათი აქვს, როგორც ეს „რომეო და ჯულიეტას“

შემთხვევაშია. შეიძლება ითქვას, რომ ამ პიესებით შექსპირმა ევრიპიდედან ესქილესაკენ თითქოს ნაბიჯი გადადგა (Brecht, 1949). მაგრამ, მისი ერთ-ერთი ყველაზე მუქ-ფეროვანი ტრაგედია სწორედ „მაკბეტია“, რომლის მიერ გამოწვეული განწყობაც, არანაკლებ მძიმეა, ვიდრე - ევრიპიდეს „მედეას“ ეფექტი. ძალმომრეობის აღიარების/მიმღებლობის თვალსაზრისით ეს ორი ნაწარმოები ალბათ ყველაზე უფრო აქტუალურია მსოფლიო ტრაგედიების ისტორიაში, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს იგივე ევრიპიდეს „ტროელი ქალები“, „იფიგენია ავლისში“ და უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე“ (რომელიც „ისტორიული ნაწარმოებების“ კატეგორიაში გაჰყავთ თანამედროვე შექსპიროლოგებს) და „მეფე ლირი“.

ბრიტანეთში „ელისაბედური ტრაგედიებისა“ და შემდგომი პერიოდის შემდეგაც იწერება სხვადასხვა ტრაგიკული ჟანრის ნაწარმოებები, რომელთა შორის ბევრის გამორჩევა შეიძლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით იქნება ეს არტურ მილერის „კომივოიაჟერის სიკვდილი“, ალბერ კამიუს „კალიგულა“, ტენესი უილიამსის „ტრამვაი სახელად სურვილი“ თუ სხვები.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიზნისა და ამოცანების პერსპექტივაში, მეცხრამეტე საუკუნის ტრაგედიებს შორის, ქართული ლიტერატურიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს **ვაჟა ფშაველას** ტრაგიკული პოემა **„სტუმარ-მასპინძელი“** და **ილია ჭავჭავაძის** იგივე ჟანრის ნაწარმოები **„განდეგილი“**, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურის კლასიკას ამშვენებს. ეს ნაწარმოებებიც, არისტოტელეს მიერ დადგენილი ჟანრული სტრუქტურის შესაბამისად, პერიპეტეიით, ჰამართიით, ანოგნოროზისით, კატასტროფითა და, კათარზისით არის წარმოდგენილი (Aristotle, n.d.). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ორივე ამ ტრაგედიაში დამოკიდებულება „ადამიანის ბუნების“ მიმართ არ არის ისეთი პესიმისტური, როგორიც ეს ევრიპიდეს „მედეაში“ ან უილიამ შექსპირის „მაკბეტშია“. ავტორების სიმპათია მაინც მთავარი გმირების მხარეს არის და, აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა რომ ეს გმირები უნებურად „საბედისწერო ცოდვას“ სჩადიან, მათ მიმართ თანაგრძნობა „მაკბეტისა“ და „მედეასაგან“ განსხვავებით, ბევრად უფრო თბილია. თუკი ვაჟა ფშაველას ტრაგედიებში ძირითადად დაპირისპირება თემსა და ინდივიდს შორის ხდება, ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ ადამიანის ინტრა-პერსონალურ კონფლიქტს ეხება. ამ კონფლიქტების მოგვარებისას მეტად

მნიშვნელოვანია მათ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ძირებზე ვიფიქროთ და იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ სულიერი თუ რესურსობრივი „უკმარისობის“ დაძლევა, როგორც ამაზე არაჩვეულებრივად საუბრობენ პრუიტი და რუბინი (Rubin, Pruitt, & Kim, 1994).

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ დროთა განმავლობაში, დრამის განვითარებას თან სდევდა სხვადასხვა ახალი ჟანრების ჩამოყალიბება რომელთა ფაბულაც იცვლებოდა (Badiou, 2013).

ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგისა და მწერლის, **ჰენრიკ იოჰან იბსენის (1828-1906)** გამოჩენიდან ჩამოყალიბებას იწყებს ახალი ტიპის **„რეალისტური დრამა“**. იბსენს „თანამედროვე დრამის მამას“ უწოდებენ. მის ნაწარმოებებში „კატასტროფის“ ფორმულა აშკარად შეცვლილია - მთავარი პროტაგონისტი ხშირად კი არ იღუპება, არამედ მას ახალი ცხოვრების დაწყების საშუალება ეძლევა. ჯორჯ ბერნარდ შოუ ჰენრიკ იბსენს თვლიდა ყველა დროის უდიდეს დრამატურგად სწორედ იმ დიდი ტრანსფორმაციული ელემენტის გამო, რომელიც „კატასტროფისათვის“ განწირულ გმირს გადარჩენისა და ცხოვრების სხვაგვარად გაგრძელების საშუალებას აძლევს. ამ თვისების გამო, შოუ თვლიდა რომ „იბსენი საკუთარი მნიშვნელობით შექსპირსაც კი გასცდა“ (Shaw, 1994). მე-19 საუკუნეში ჰენრიკ იბსენმა, მის შვედ კოლეგა ოგიუსტ სტრინდბერგთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა თეატრის „დიდაქტიკურ მიმართულებას“, რომლის მიზანიც იყო აუდიტორიის სოციალური განათლება, სწორედ იმისათვის, რომ მას ძალმომრეობითი თუ ბუნებრივი კატასტროფა თავიდან აეცილებინა. კონფლიქტოლოგიური თვალთახედვით, იბსენის შემდგომ, რეალისტური და საგანმანათლებლო თეატრის დანიშნულებაც კი ერთგვარად გახდა **კატასტროფის ალტერნატივის მოძებნა** (Boal, 2008). დრამის ისეთი დასასრული, როგორიც „ხალხის მტერში“ ან „სათამაშო სახლშია“, რაც ამქვეყნიური გადარჩენის გზების მოძებნას ემსახურება და აუცილებლად პესიმისტური აღარ არის. მეტად საინტერესოა, რომ „თანამედროვე თეატრის მამა“ ჰენრიკ იოჰან იბსენი გახლდათ მშვიდობის მეცნიერების მამისა და ოსლოს მშვიდობის ინსტიტუტის დამაარსებლის, იოჰან გალტუნგის თანამემამულე და წინამორბედი. როგორც იბსენმა დრამატურგიაში, ასევე იოჰან გალტუნგმა მშვიდობის მეცნიერებაში ფუნდამენტური ცვლილებები მოახდინეს და უდიდესი კვალი დატოვეს. ერთი რამ, რაც მათ უთუოდ

აერთიანებდა, იყო ცხოვრების თეატრის ფატალისტური აღსასრულის მიუღებლობა და კრეატიული გზით ამის გადალახვის მუდმივი მცდელობები (Myrland, 2018). მისი ცხოვრების ბოლოს, **იოჰან გალტუნგი** საკუთარ თავს იბსენის ცნობილ პერსონაჟს, დოქტორ შტოკმანს ადარებდა, რომელიც იძულებული იყო სიმართლის თქმისთვის მეტად ძვირი ფასი გადაეხადა - საკუთარი ქვეყანა დაეტოვებინა. ამ მხრივ, თვით იბსენიც ჰგავდა მის გმირს - მას ათეულობით წლის გატარება მოუხდა ემიგრაციაში, ისევე, როგორც - გალტუნგს. **იბსენმა** დიდი გავლენა მოახდინა ბევრ სხვა დრამატურგზე, მათს შორის, **ოგიუსტ სტრინდბერგზე, ჯეიმზ ჯოისზე, ოსკარ უაილდზე და ჯორჯ ბერნარდ შოუზე.** ზიგმუნდ ფროიდი იბსენს შექსპირთან და სოფოკლესთან ერთად თეატრალური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნევდა. წარმოდგენილი კვლევისთვის შერჩეულია ჰენრიკ იბსენის ისტორიული პიესა „ხალხის მტერი“, როგორც უკვე ტრანსფორმაციული თეატრის მაგალითი, რომელმაც დაძლია ტრაგედიის ფატალიზმი და ახალი სასიცოცხლო ავენიუების ძიება დაიწყო.

ჰენრიკ იბსენის შემდეგ უკვე ბევრი სხვადასხვა ავტორი იწყებს მუშაობას იმაზე, რომ რეალისტურ სტილში მოუძებნოს ალტერნატივა არისტოტელურ „კატასტროფას“ და მათ შორის უთუოდ გამოირჩევა ცნობილი ირლანდიელი დრამატურგი **ჯორჯ ბერნარდ შოუ (1856-1950)**, რომლის დრამატურგიულ და პუბლიცისტურ ნაშრომებსაც აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობა აქვთ (Dervin, 1975). ეს ავტორი მისი საოცარი პუბლიცისტური ნაშრომებითაც გამოირჩეოდა და ის გახლდათ მეტად ცნობილი ფაბიანური სოციალიზმის მიმდევარი და პოლიტიკური აქტივისტიც. მისი მიზანიც იყო, რომ ადამიანური ცხოვრებისათვის უფრო ოპტიმისტური გამოსავალი მოეძებნა, ვიდრე ეს ტრადიციულ არისტოტელურ ტრაგედიაშია. მან ლიტერატურაში ნობელის პრემია მიიღო 1925 წელს. მისი რეალისტური სტილი მოიცავდა თანამედროვე სატირასა და ისტორიულ ალეგორიებს. მის უამრავ არაჩვეულებრივ ნაწარმოებს შორის გამოირჩევა მისი პიესა **„პიგმალიონი“**, რომელიც 1913 წელს დაიწერა, მსოფლიოს მრავალ თეატრში დაიდგა და რომლის კინემატოგრაფიული ვერსიაც რამდენჯერმე გაკეთდა (Ervine, 1911). 1938 წელს, მან, როგორც ამ პიესის ეკრანიზაციის სცენარის ავტორმა, ამერიკული კინოაკადემიის ოსკარის მთავარი ჯიდლოც მიიღო. პიგმალიონისა და გალათეას ძველი ბერძნული მითის მიხედვით, შექმნილი პიესა

პირველად ავსტრიის დედაქალაქ ვენის ჰოფბურგის თეატრში დაიდგა 1913 წლის 16 ოქტომბერს და შემდეგ უკვე ბრიტანეთის „მისი უდიდებულესობის თეატრში“ ლონდონის უესტ-ენდში 1914 წლის აპრილში. ამ დადგმაში განსაკუთრებული გახლდათ ავტორის მიერ სოციალური მობილობის მიმართ გამოჩენილი ოპტიმიზმი, რომელიც შემდეგ უკვე სოციალურ მეცნიერებებშიც დამკვიდრდა და საფუძვლადაც დაედო ეგრეთწოდებულ „პიგმალიონის ექსპერიმენტს“. ამ დადგმის სიუჟეტში არაჩვეულებრივად არის ნაჩვენები თუ როგორ არის შესაძლებელი სოციალური მობილობა კარგი ცხოვრებისეული პირობებისა და განათლების საშუალებით (Evans, 2003). ახალგაზრდა ყვავილების გამყიდველი ქალი ელაიზა დულიტლი პროფესორი ჰენრი ჰიგინსის დახმარებით ლონდონის ჯენტრის მაღალი საზოგადოების წევრი ხდება. უნდა ითქვას, რომ ამ პიესის როლი დიდია არა მხოლოდ ხელოვნების ისტორიაში, არამედ სოციალურ მეცნიერებებსა და პოლიტიკურ აქტებშიაც კი. ავტორი ამ შემთხვევაში გაცხადებულად ემსახურებოდა სოციალური პროგრესის იდეას და მისი ეს დრამატული ნაწარმოები ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითი გახლდათ ამ მიმართულებით. თვით ელაიზა დულიტლის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალური გარემოს გაუმჯობესების პარალელურად მასში აგრესია ქვეითდება და ბოლოს ის ხდება **„ჩემი კეთილშობილი ლედი“.** 1964 წელს ამავე სახელწოდების მიუზიკლმა, ოდრი ჰეპბერნისა და რექს ჰარისონის მონაწილეობით, მრავალი პრემია დაიმსახურა.

ცნობილი გერმანელი დრამატურგი, **ბერტოლტ ბრეხტი (1898-1956)** „ეპიკური დრამის“ მამად ითვლება და ის კიდევ უფრო შორს მიდის, ვიდრე ჰენრიკ იბსენი თუ ჯორჯ ბერნარდ შოუ (Brecht,1958). მის პიესებს მკვეთრი პროგრესულობა ახასიათებდა და ის მკვეთრად უპრისპირდებოდა სოციალური უთანასწორობისა თუ უსამართლობის გამოვლინებებს. მის პიესებს უდიდესი გამოხმაურება ჰქონდა მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით გამოირჩევა მისი ეპიკური დრამები **„სამგროშიანი ოპერა“ და „კავკასიური ცარცის წრე“** (Brecht,1932). ბრეხტის „ეპიკური დრამის“ მეტად საინტერესო ფაბულაა, რომ პროტაგონისტების სიუჟეტი „იწყება უსამართლო ჯოჯოხეთში“ და „სამართლიანი გადაწყვეტილებით“ ანუ არისტოტელური ტრაგედიის ტრადიციული სტრუქტურა მთლიანად თავდაყირაა დაყენებული - მოქმედება იწყება სოციალური „კატასტროფით“ და ამას ყველა ხვდება - ხდება

„ანოგნოროზისი“, შემდეგ ეტაპზე კი „ჰამართიის“ ანუ, საბედისწერო შეცდომის ნაცვლად, მთავარი პროტაგონისტი მართებულ გადაწყვეტილებას იღებს და პიესის ფინალში სამართლიანობა მყარდება (Brecht, 1949). ბრეხტის ცნობილი გამოთქმაა, რომ თეატრის ფუნქცია არ არის მხოლოდ ცხოვრების ასახვა, არამედ მისი შეცვლაა უკეთესობისკენ. სწორედ ეს ფორმულა ხდის მის „ეპიკურ დრამას“ მეტად საინტერესოს. **ბრეხტმა, ისევე როგორც იბსენმა, ბერნარდ შოუმ, სტრინდბერგმა, ვედეკინდმა, აუგუსტო ბოალმა და სხვებმა, დაინახა რომ თეატრი უნდა ასახავდეს ისეთ ცხოვრებას, სადაც ფატალური კატასტროფა არ არის აუცილებელი შედეგი** (Brecht, 2024). ეს მას ძვირადაც დაუჯდა, რადგან ის ჯერ ნაცისტური გერმანიიდან გაასახლეს, შემდეგ, უკვე „კომუნისტობის“ ბრალდებით, ამერიკის შეერთებული შტატების დატოვებაც მოუხდა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნების შემდგომ, იგი ცნობილ „ბერლინერ ანსამბლს“ ჩაუდგა სათავეში, მაგრამ იქაურმა ხელისფლებამაც არ მისცა საშუალება „ეპიკური დადგმა“ ცხოვრებაში გადმოეტანა და ის 58 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ ბრეხტის მრწამსი სულაც არ იყო არაძალადობრივი, რაც ბუნებრივია, გავლენას ახდენს მკითხველსა თუ მაყურებელზე - „სამგროშიანი ოპერის“ პრემიერის შემდეგ, მაყურებლის ნაწილი თვით ბრეხტის მიმართ საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხელოვანის არსებაში არის წინააღმდეგობრივი ელემენტები და თანმიმდევრული არაძალადობის „პოზიციონირება“ საკმაოდ პრობლემურია, მაგრამ იმის აღნიშვნა აუცილებელია, რომ ბერტოლტ ბრეხტის მთელი შემოქმედება ადამიანებისთვის სოციალური პროგრესის და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ემსახურებოდა.

და ბოლოს, ბერტოლტ ბრეხტის შემდგომ კიდევ ერთი ირლანდიელი დრამატურგის შრომა არის აუცილებლად აღსანიშნავი. აბსურდის თეატრის წარმომადგენლებს შორის, ალბერ კამიუსთან, ეუჟენ იონესკოსთან და სხვებთან ერთად, უეჭველად გამოირჩეოდა პარიზში მცხოვრები დიდი ირლანდიელი მწერალი, პოეტი და დრამატურგი, **სემუელ ბეკეტი (1906-1989)**. მისი ცნობილი ნაწარმოები **„გოდოს მოლოდინში“** აგრეთვე ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ მსოფლიოში (Beckett, 2001). 1969 წელს ბეკეტი იღებს ნობელის პრემიას ლიტერატურაში. აბსურდის თეატრის ავტორები, როგორც წესი, პესიმისტური

დამოკიდებულებით გამოირჩევიან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აუცილებლად პესიმისტები არიან „ადამიანის ბუნების“ მიმართ ან ძალმომრეობასა და მასობრივ განადგურებას ნორმალურად მიიჩნევენ. ამ ტიპის თეატრთან მიმართებაში სწორედ ასეთი საინტერესო დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ბეკეტის, ისევე როგორც სხვა ავტორების, მოსაზრებით თანამედროვე რეალობა წარმოადგენს აბსურდს და არა - თვით ადამიანის არსი. ბეკეტის თანამედროვე ძალმომრეობითი რეალობა ზუსტად ის დროა როდესაც მისი „გოდოს მოლოდინის“ შექმნამდე, 10 წლის განმავლობაში, კაცობრიობამ გაიარა ჰოლოკოსტისა და მეორე მსოფლიო ომის საშინელებები და, ამავე დროს, მოესწრო ბირთვული იარაღის აფეთქებას ჰიროსიმასა და ნაგასაკიში (McKellen, 2001). ამ სიტუაციას ბეკეტი და მისი კოლეგები აბსურდის თეატრიდან, აფასებენ, როგორც ადამიანისათვის არაადეკვატურს და, აქედან გამომდინარე, ქმნიან აბსურდულ დრამას. დაბნეული ვლადიმერისა და ესტრაგონის გაუთავებელი და ყოყმანით სავსე საუბარი სრულიად უმიზნოა - გარდა ერთი საერთო და ბუნდოვანი მოლოდინისა - ორივე მათგანი ვინმე გოდოს მოლოდინშია, რომელიც არასდროს მოდის მათთან. მათ ირგვლივ კი გურლგრილობა და ძალმომრეობა ბატონობს, რისიც მათ შეცბუნებულებს ეშინიათ, მაგრამ, ამავე დროს, რუტინული არსებობის წესიდან არ ვარდებიან - ისინი მუდმივად აგრძელებენ მეტად უინტერესო და უხალისო არსებობას სწორედ ამ „გოდოს“ მოლოდინში. ეს პიესა პირველად 1952 წელს დაიდგა. ბევრი კრიტიკოსის აზრი ამ პიესის შესახებ, დაემთხვა მისივე აზრს: „არაფერი ხდება, არავინ მოდის, არავინ მიდის, ეს საშინელებაა!“ - დიახ, ვლადიმერისა და ესტრაგონის მთელი ეს გაწელილი სცენები თითქოს თანამედროვე ცხოვრების სიუჟეტია რიგითი სამომხმარებლო ფირმის კლერკისათვის. საკმაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, ბეკეტმა „გოდოს“ პერსონაჟი ისე შექმნა, რომ ბოლომდე გახსნილი დაეტოვებინა კითხვა: ვინ არის გოდო? ეს სახელი ერთი მხრივ, ინგლისურ „God“-თან (ანუ ღმერთთან), არის ასოცირებული, მეორე მეორე მხრივ კი, ბეკეტის თანამედროვე, „ტურ დე ფრანსში“ გამარჯვებულ Godout-ის - გვართან: მკითხველი თუ მაყურებელი მუდამ ეჭვობს, ვლადიმერი და ესტრაგონი ღმერთს ელოდებიან თუ ველოსიპედისტ ჩემპიონს. ეს თითქოს გადარჩენაა, რადგან ისინი ძალადობით არიან გარემოცულნი და მუდამ მისგან თავის დაღწევას ლამობენ. ეს ძალადობა კარგად ჩანს პოცოსა და ლაკის ურთიერთობაში, სადაც ერთი მეორეს მუდამ სცემს და ჩაგრავს. საბოლოოდ,

გოდო არ მოდის და მათი მტანჯველი არსებობაც თითქოს სამუდამოდ გრძელდება. როგორც ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“ ელოდება ჰერაკლეს მიერ მის გათავისუფლებას, ისე ელოდებიან ვლადიმერი და ესტრაგონი ველოსიპედისტ-ღმერთის „გოდოს“ გამოჩენას საოცრად მოსაწყენ გარემოში, რომელშიაც აგრეთვე ბევრია ზევსის მიერ მოტანილი ძალმომრეობა. სწორედ ეს ძალმომრეობით სავსე სამყაროა აბსურდული - სადაც სრული შეუსაბამობა ადამიანურ არსთან „ნორმალიზებულია“ - აბსურდის თეატრის ერთ-ერთი უდიდესი გზავნილი სწორედ ეს არის - სანამ მსოფლიო ადამიანის გონის წყალობით ამ ძალმომრეობით წესრიგზე დგას, ის მუდმივად აბსურდული იქნება.

თავი 9. კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინი: დრამატულ ნაწარმოებთა ეფექტის შეფასება ადამიანის ბუნებისა და ძალმომრეობის მიმართ განწყობაზე

9.1 კონცეპტუალური ჩარჩო

ძალმომრეობითი ქცევის მიმართ მზაობას აყალიბებს გარკვეული განწყობა, რომელიც ეტაპობრივად იქმნება, რათა მას პერსევერანტული ხასიათი მიეცეს, თუმცა, არსებობს განწყობის მყისიერი ცვლილების ნაირსახეობაც, გარკვეული ძლიერი ემოციური მოვლენის ფონზე (უზნაძე, 2024).

წარმოდგენილი კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მეტი გარკვეულობა შეეტანა განწყობის ჩამოყალიბების პროცესში შემოქმედებითი ნაშრომების თანამონაწილეობასთან დაკავშირებით, შეეფასებინა, რამდენად დიდ როლს ასრულებს განწყობის ჩამოყალიბებაში ესა თუ ის დრამატული ნაწარმოები (Dweck, 2012).

ხელოვნების ნაწარმოებს, განსაკუთრებით კი, დრამატულ და სინემატიკურ ნაწარმოებებს დიდი ემოციური დატვირთვა აქვთ. კათარზისის ფენომენი, ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან მიჩნეულია ადამიანის ემოციური განწმენდის საშუალებად. სწორედ ამიტომ, უძველესი დროიდან ხელოვნება უდიდეს პროპაგანდისტულ როლს ასრულებდა ადამიანის ბუნებისა და ძალმომრეობისა თუ მშვიდობის მიმართ დამოკიდებულების ფორმირების პროცესში (მირცხულავა, 2010).

დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობა „განწყობის თეორიაში“ საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან. ამ დროიდან იწყება განწყობის თეორიების (Mindset Theory) ხელახალი შემობრუნება სოციალურ ფსიქოლოგიაში გლობალური მასშტაბით. უნდა ითქვას რომ უკანასკნელ ხანს დასავლურ მეცნიერებაში მკვეთრად გაიზარდა განწყობის თეორიის როლი და ამ მხრივ რამდენიმე ნაშრომია განსაკუთრებით აღსანიშნავი. შვეიცარიელი კატერინა ბერნეკერის და ავსტრიელი ვერონიკა ჯობის სტატია ახალგაზრდებში ბულინგისა და აგრესიის განწყობის ჩამოყალიბების პრობლემებს ეხება (Bernecker, 2019). თუმცა, ამ მეტად საინტერესო ნაშრომში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ინდივიდუალური აგრესიის გამომწვევ ფაქტორებზე, როგორიცაა გარიყვა-ექსკლუზია, დამცირება, ბულინგი და არ

არის ლაპარაკი მასობრივი ძალმომრეობის კამპანიისათვის საჭირო ატტიტუდების შექმნაზე.

განწყობის როლზე ადამიანის ქცევის მოტივაციაში აგრეთვე საკმაოდ ბევრი აქვს ნამუშევარი სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორს, ქეროლ დვეკსს, რომლის კვლევებიც უფრო მიმართულია ადამიანში განვითარებისა და სტაგნაციის მოტივაციის განწყობის ჩამოყალიბებაზე (Dweck, 2020). ამერიკელი ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას კონკრეტული ადამიანის (ინდივიდის), როგორც პოტენციალის რეალიზებაზე და, აქედან გამომდინარე, მის პოზიტიურ განწყობაზე. ცხადად იკვეთება, რომ ინდივიდუალურად ადამიანის პროფესიული და ინტიმური რეალიზება ხელს უწყობს პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბებას. ამავე დროს, მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველი ინდივიდის რეალიზების შესაძლებლობას ზოგადად სოციალური ჯგუფის „მშვიდობიანი განწყობის“ ფორმირებაში (Dweck, 2012).

წარმოდგენილ ნაშრომში შერჩეულია ევროპული, მათ შორის, ქართული ლიტერატურის რამდენიმე მეტად ცნობილი ნიმუში და შეფასებულია მასობრივი ძალმომრეობისა და,ადამიანის ბუნების მიმართ განწყობების ცვალებადობა თითოეული ამ ლიტერატურულ-დრამატული ხელოვნების შედევრის გაცნობის შედეგად. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ჰომეროსის “ილიადას” (Homer, 1998). შექმნიდან სემუელ ბეკეტის “გოდოს მოლოდინამდე” (Beckett, 2001). დაახლოებით 27-მა საუკუნემ გაიარა და საინტერესო იყო, აგრეთვე, იმის კვლევა, თუ რამდენად პროგრესირებს ჩვენი აზროვნება მშვიდობის მიმართულებით. ძალმომრეობის კამპანიების ძირითადი გამომწვევი ფაქტორები სიღრმისეულად აქვს გაანალიზებული კონფლიქტოლოგიის დარგის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა, ქრისტოფერ მიტჩელი ნაშრომში „საერთაშორისო კონფლიქტის სტრუქტურა“ და, ცხადია, აქაც იგივე პრობლემას ვაწყდებით, როდესაც კონფლიქტის საფუძველს მხარეების მიერ არასწორი პერცეფციებისა და განწყობების ჩამოყალიბება წარმოადგენს (Mitchell, 1989). ადამიანის ბუნების გაგება და ძალმომრეობის გარდუვალობის პერცეფცია ერთ-ერთი ცენტრალური თემაა ჯონ ბარტონის რედაქტორობით 1990 წელს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ბაზაზე გამოცემულ წიგნშიც, რომელიც კონფლიქტების მოგვარებასა და პროვენციას ეძღვნება.

„კონფლიქტის პრო-ვენცია“ ჯონ ბარტონის მიერ შექმნილი ტერმინია, რომელიც გულისხმობს გრძელვადიანი და გაჭედილი კონფლიქტების პროაქტიულად პრევენციას, რაც ასევე მრავალჯერად ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე მუშაობას გულისხმობს (Burton, 1990).

აღსანიშნავია, რომ „ძირეულ ადამიანურ მოთხოვნილებათა“ შორის შეტანილია არა მხოლოდ მასლოუს იერარქია, არამედ სხვადასხვა ტიპის ონტოლოგიური ფაქტორებიც, რაზეც უკვე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ბევრი მკვლევარი საუბრობს და მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისათვის, რადგან აქ სწორედ იმაზეა ლაპარაკი, რომ განწყობამ შეიძლება დიდ-მასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირება განაპირობოს (Lederer, 1980). 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობებში შეიქმნა კონსენსუსი, სადაც გაერთიანებული ერების სხვადასხვა დამფუძნებლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ „შეკავების დოქტრინა“ უნდა ეფუძნებოდეს ტრადიციულ „ძალოვან პოლიტიკას“, მაგრამ ძალიან რთულია იმის თქმა თუ რამდენ ხანს იმუშავებს ეს შეკავება. ამ დოქტრინის ერთ-ერთი წამყვანი პროტაგონისტი, ჰენრი კისინჯერი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული რჩებოდა მისი „რეალისტური პოზიციისა“, თუმცა, კრიტიკოსები ამ პოზიციასაც ქარცეცხლში ატარებდნენ (Schwarzenberger, 1941). ამის საპირისპიროდ, ჯონ ბარტონმა, დენის სანდოლემ, ქროსტოფერ მიტჩელმა, მაიკლ ბენქსმა, რიჩარდ რუბინშტაინმა და კონფლიქტოლოგიის ინტერდისციპლინური მეცნიერების სხვა დამფუძნებელმა მამებმა შექმნეს „კონფლიქტის მოგვარების ენა“, რათა ემოქმედათ იმ პერცეფციებზე და შესაბამისად განწყობაზეც, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტებს იწვევს (Burton, 1996). ხშირად, ძალაუფლებისა თუ რესურსების უკმარობა მხოლოდ წარმოსახვითი ხასიათისაა და ეს უკვე ჩადებულია მონაწილე მხარეებში სხვადასხვა ტიპის პროპაგანდის მეშვეობით, რაც ინტერესთა ჯგუფების ან თვით სახელმწიფოს მიერ არის წახალისებული (Sandole, Byrne, Sandole-Staroste, & Senehi, 2009). მხარეებს შორის ერთმანეთის მიმართ ნეგატიური განწყობის ფორმირებისას მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე კულტურული ფაქტორი. იდენტობის პოლიტიკის ზეობის ხანაში და მანამდეც ხშირად ხდებოდა აპელირება ადამიანების გარკვეული ჯგუფის კულტურაზე სხვა ჯგუფის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ხშირად ხდება კონფლიქტის გამჩაღებელი მხარის პროპაგანდისტული

ჯგუფის მიერ საკუთარი ერის, რელიგიური ერთობის ან სხვა ტიპის იდენტობის „მსხვერპლად“ წარმოჩენა - იმაზე პედალირება თუ „როგორ გვჩაგრავენ ჩვენ ისინი“, სადაც „ისინი“ აუცილებლად მონსტრები არიან და „ჩვენ“ აუცილებლად უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანები. ამ ტიპის განწყობის ჩამოყალიბებაშიც საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა მხატვრული ნაწარმოებები. სწორედ ამიტომ, ასეთ „მხატვრულ მითოლოგიაზე“ ხშირად იყო დაკვეთა ამა თუ იმ იდენტობის ჯგუფის მმართველი წრეებიდან (Avruch, 1998). შესაბამისად, კონფლიქტის მოგვარების ან ტრანსფორმაციის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მხარეთა „განწყობის ტრანსფორმაცია“ (Mindset Transformation). განწყობის ცვლილება ქცევითი მზაობის ცვლილებასაც იწვევს და, აქედან გამომდინარე, ესკალაციისა და ძალმომრეობის ალბათობაც მცირდება, თუკი ხდება „ომისათვის მზაობის“ განწყობის ცვლილება „მშვიდობიანი განწყობისაკენ“. აქ ხაზი უნდა გავუსვათ მხარეთა შორის ერთმანეთის დემონიზაციის ფენომენის შესუსტებას და მის ნავლად უფრო ემპათიური საწყისების შემოტანას მხარეთა ნარატივებში. ემპათიის ელემენტის გაზრდა ნარატივში იწვევს მთლიანად კონფლიქტური განწყობის ტრანსფორმაციას უფრო მშვიდობიანი თანაარსებობის ფორმებისაკენ. ეს არაერთხელ მომხდარა სხვადასხვა შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ (Lederach, 1996). უნდა გავითვალისწინოთ, რომ მხარეებს შორის კონფლიქტის გაჩაღებას სჭირდება მდგომარეობის ისეთი კონტექსტში წარმოსახვა, რომელშიაც ადამიანი აშკარად მტრად განეწყობა მოპირისპირე მხარის ან მხარეების მიმართ. აქ სწორედ რომ მნიშვნელოვანია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ისეთ კონტექსტში გადმოცემა, რომელიც კითხვის ნიშნებს მოსპობს და გააჩენს „აბსოლუტურად გამართლებულ“ მტრულ დამოკიდებულებას. აქ უკვე აქტუალური ხდება დამოკიდებულების თანა-ადექვატურობა განწყობასთან. კონტექსტისა და პრეტექსტის არსებობა წინა-კონფლიქტურ ნარატივში სწორედაც რომ ქმნის ასეთი მყისიერი ცვლილების შესაძლებლობას. ამის გაკეთება ხელოვნების ნაწარმოებს არანაკლებ ძლიერად შეუძლია, ვიდრე პოლიტიკოსის გამოსვლას, ან ტრაგიკულ ნიუსს (Avruch, 2013). უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტური განწყობის ტრანსფორმირებას გარკვეულად ხელს უწყობს მისი ტრანსცენდენცია - ანუ ცნობიერების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. ამ ტრანსცენდენციას ბევრი სხვადასხვა მაგალითი აქვს, თუმცა ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი გახლავთ ჩრდილოეთ

ირლანდიაში არსებული დაპირისპირების მშვიდობიანი დასრულება 1990-იან წლებში, როდესაც 20 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არსებული „უბედურებებიდან“ ორივე თემის - კათოლიკებისა და პროტესტანტების გამოყვანა იყო საჭირო სწორედაც რომ ასეთი ტრანსცენდენციის საშუალებით და ამ შემთხვევაშიაც ორივე მხარის განწყობის შესაცვლელად გამოყენებულ იქნა არა მხოლოდ პოლიტიკურ-რელიგიური დისკურსი, არამედ მნიშვნელოვანწილად, ხელოვნების ენაც. ოსლოს მშვიდობის ინსტიტუტის დამაარსებელმა, იოჰან გალტუნგმა აგრეთვე ხელოვნებაზე დაფუძნებული კრეატიული მიდგომა გამოიყენა პერუ-ეკვადორის კონფლიქტის მოგვარების პროცესში. აქ სწორედ განწყობის ტრანსცენდენციის წყალობით ჩამოყალიბდა ისეთი ატმოსფერო, რომელსაც საბოლოოდ საზღვარზე „მშვიდობის ზონის“ შექმნა მოჰყვა (Galtung, 2001). გალტუნგის თეორიიის მიხედვით, „პირდაპირი ძალადობა“ ეს არის უშუალოდ ფიზიკური დაპირისპირების აქტი, როგორც ინდივიდუალურ, ასევე მასობრივი ხასიათის დაპირისპირებებისას. „პირდაპირი ძალადობა“ ხშირად განაპირობებს მხარეების, ან ერთ-ერთი მხარის დაღლას და ძალებისაგან გამოფიტვას, მაგრამ, ეს არ სპობს მის მიზეზებს და ძალმომრეობა მეორდება, როგორც კი მხარეები ძალას ისევ იკრებენ. კონფლიქტის რეალურ ტრანსფორმაციას აუცილებლად სჭირდება მისი გამომწვევი მიზეზების - ანუ „სტრუქტურული ძალადობის“ და „კულტურული ძალადობის“ ფაქტორების განეიტრალება. „სტრუქტურული ძალადობა“ არის რანგის უთანასწორობაზე დაფუძნებული სისტემა, სადაც საზოგადოების გარკვეული, უმეტესად მცირე ჯგუფი, პრივილეგიებით სარგებლობს დანარჩენი წევრების ხარჯზე. „კულტურული ძალადობა“ კი სწორედაც რომ იდენტობის ჯგუფებს შორის დაპირისპირებაა, რომელსაც ზუსტად განწყობის დონეზე აღვივებენ შესაბამისი „იდენტობა-ცენტრისტი“ პროპაგანდისტები. შესაბამისად, „პირდაპირი ძალადობის“ პრევენცია შესაძლებელია სტრუქტურული და კულტურული იერარქიების მიმართ პერცეფციებისა და განწყობების გაუმჯობესებით (Galtung, 2010). „სტრუქტურული ძალადობის“ განწყობის გადასალახად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებმა არ განიხილონ სამყარო, როგორც „ბრძოლა გადარჩენისათვის“ და ბუნებრივი არსებების განვითარების ის მოდელი, რომელიც მხოლოდ ბიოლოგიური „გადარჩენის“ პრინციპზე დგას. ის, რაც ჩარლზ დარვინმა საკუთარ ნაშრომში აღმოაჩინა,

მნიშვნელოვანია, რომ დარჩეს ბიოლოგიის მეცნიერებაში და არ გადმოვიდეს სოციალურ ცხოვრებაში (Darwin, 2003). ცნობილია, რომ ჩარლზ დარვინის პრინციპები სხვებთან ერთად სოციოლოგიაში შემოიტანა ცნობილმა ბრიტანელმა მეცნიერმა, ჰერბერტ სპენსერმა. სწორედ მან შეიტანა „სოციალური დარვინიზმის“ გაგება სოციალურ მეცნიერებებში, სადაც ის ზუსტადაც რომ ახდენდა ბიოლოგიური „არსებობისთვის ბრძოლის“ პროეცირებას საზოგადოების სოციალურ ორგანიზმზე. განწყობის თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბავშვობიდან ჯერ ოჯახის და შემდგომ უკვე განათლების სისტემა ადამიანში ნერგავს „გადარჩენისათვის ბრძოლის“ ინსტინქტს. ეს ინსტინქტი არ არის უბრალოდ შრომისმოყვარეობა. ეს არის მტრული განწყობა მის გვერდით მდგომი ადამიანების, როგორც „კონკურენტების“ მიმართ. ამ განწყობის საფუძველზე ადამიანის მდგომარეობა მუდმივად და განგრძობითად „თავდაცვითია“ და ეს განწყობა ქმნის ჰობსიანურ ატმოსფეროს, სადაც ყველა ყველას მტერია (Spencer, 1981). ამავე განწყობას აყალიბებს მალთუსიანური თეორიები, რომლებიც „მოსახლეობის გადარჩევას“ და ასევე „უძლიერესის გადარჩენას“ ემსახურება. „მოსახლეობის განსახლების“ და „მიზანშეწონილობის“ თეორიები ფართოდ იყო გავრცელებული მე-20 საუკუნეში და ისინი ახლაც პოპულარულია მოსახლეობის გარკვეულ ფენებში, სადაც რასიზმისა და სექსიზმის გავლენა დიდია. ეს თეორიები და მათზე აგებული ფსევდო-მხატვრული ნაწარმოებები აგრეთვე აღძრავს საკმაოდ აგრესიულ განწყობას სხავადასხვა იდენტობის ჯგუფებს შორის (Malthus, 2015). ნორვეგიელი დრამატურგის, ჰენრიკ იბსენის ცნობილი დრამა, „ხალხის მტერი“ სწორედაც რომ სტრუქტურული ძალადობის შემთხვევას ეხება, სადაც ინვსეტიციებზე დახარბებული პატარა ქალაქი უარს ამბობს საკუთარი ბავშვების ჯანმრთელობაზეც კი და ამ დროს გამოჩნდება ისეთი ექიმი, რომელიც მთელ ქალაქს გააფრთხილებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. სწორედ მისი გამოსვლის შემდეგ მთელი ქალაქი აღდგება მის წინააღმდეგ. სამაგიეროდ ექიმი შტოკმანი კათარზისს იწვევს მის გულშემატკივრებში (Ibsen, 1999). იგივე შეგვიძლია დავინახოთ ვაჟა ფშაველას ორ ნაწარმოებში „სტუმარ მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“ - აქაც გამორჩეული წევრი უპირისპირდება საკუთარი თემის „კულტურულ ძალადობას“ - აქ ალუდა ქეთალაურიც და ჯოყოლაც გადალახავენ კულტურის მიერ აღმართულ ბარიერებს და თანაუგრძნობენ მის მტერს (ვაჟა-ფშაველა, 1966).

ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონიც“ მეტად საინტერესო ნაწარმოებია ამ მხრივ. ზოგადად ეს ავტორი გამოირჩევა ნოვატორობით არა მხოლოდ მწერლობაში და სცენაზე, არამედ პოლიტიკურ ასპარეზზეც. ბერნარდ შოუს პოზიციები აღიარებულია თავისი დროის გამორჩეულ პროგრესულ მოვლენებად, ხოლო „პიგმალიონმა“ სათავე დაუდო ბევრ სოციალურ ექსპერიმენტს, რასაც, საბოლოო ჯამში, მოჰყვა დიდი გარღვევები მე-20 საუკუნეში (Shaw, 2002).. ჩვენი კვლევის ფოკუსირებული იყო იმ ფაქტორებზე, რომლებიც რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში არ აძლევს კაცობრიობას საშუალებას, რომ ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ინდივიდებისა თუ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების ნაცვლად იქცეს ჰომო საპიენსის ნამდვილ თანამეგობრობად, როგორც ამას საკუთარ წიგნში ამბობენ მაიკლ ჰარტი და ანტონიო ნეგრი. ადამიანის ბუნების არსის გარკვევა და მასობრივი ძალმომრეობის თავიდან აცილება დღეს კაცობრიობის უდიდეს ამოცანად რჩება (Hardt & Negri, 2009).

შეიძლება ითქვას, რომ დღეს მთელი კაცობრიობის გეოპოლიტიკური სცენა ერთი დიდი თეატრია, რომელშიც ყოველდღიურად ათასობით სატელევიზიო არხი თუ ინტერნეტ საიტი გადმოგვცემს უამრავ ინფორმაციას - დაწყებული „ყვითელი პრესით“, „საპნის ოპერებით“ და „კულინარების შოუებით“ დამთავრებული, თუმცა ადამიანში მაინც დევს იმის მარცვალი, რომ ის ისეთი სპექტაკლის მონაწილეა, რომელშიაც მიჯაჭვული პრომეთე დაამარცხებს ზევსის ძალმომრეობის წესრიგს. როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი ალენ ბადიუ ამბობს, დღევანდელობის „საპნის ოპერები“ და ყოველდღიური „ომის სცენები“ ვერასდროს შეცვლის დანიის პრინც ჰამლეტს. სწორედ, ამიტომ ვიკვლევთ ჩვენ ხელოვნებას, როგორც იდეალის მიღწევის მეტაფიზიკურ საწყისს (Badiou, 2013).

9.2 ინტერვენცია

ინტერვენციის ძირითად ინსტრუმენტად შეირჩა დრამა, რადგან იგი მოიაზრება როგორც ერთ-ერთი უძველესი კრეატიული ფაქტორი, რომელიც ახლაც ინარჩუნებს უდიდეს მნიშვნელობას ადამიანის განწყობის შექმნის/ფორმირებისა თუ მასზე ზემოქმედების ეფექტურობის თვალსაზრისით.

დრამა, როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება, უძველესი დროიდან განიხილება

პროპაგანდისტულ იარაღად სხვადასხვა ძალების ხელში, რომლებიც ცდილობენ ეგზისტენციური ხასიათის დილემას - მშვიდობიანი თანაარსებობა vs მასობრივი ძალმომრეობა საკუთარი იდეოლოგიის ან/და ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტა მოუძებნონ და, რაც მთავარია, ადამიანები დაარწმუნონ ამ გადაწყვეტის მართებულობაში. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, მასობროვი განადგურების იარაღის არსებობის პირობებში, ეს დილემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას.

კვლევისთვის შერჩეული ნაწარმოებები მოიცავს სხვადასხვა ჟანრის სპექტრს ტრაგედიის ისტორიული საწყისებიდან თანამედროვე დრამამდე, რომელიც აღწერილი აქვს ცნობილ ბრაზილიელ თეატრის თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსს აუგუსტო ბოალს ნაშრომში „ჩაგრულთა თეატრი“. ბოალი, არისტოტელეს „პოეტიკაზე“ დაყრდნობით, ტრაგედიას შემდეგი ნაწილებისაგან შემდგარ ნაწარმოებს უწოდებს:

1. პერიპეტეია - ამბის დასაწყისი, რომელიც როგორც წესი ოპტიმისტური და ლამაზია;

2. ჰამართია - ამბის ის ნაწილი, სადაც ერთ-ერთი გმირი ან გმირები, უშვებენ საბედისწერო შეცდომას - ცოდავენ;

3. ანოგნოროზისი - ამბის ნაწილი, სადაც გმირი ან გმირები გაიაზრებენ მდგომარეობის სიმძიმს და ცდილობენ თავი დააღწიონ დაღუპვას ან დიდ ტკივილს);

4. კატასტროფა - ამბის კულმინაცია, სადაც მთავარი გმირ(ებ)ი იღუპებიან ან მათ უდიდესი ტკივილი ადგებათ;

5. კათარზისი - ტრაგედიის ნახვის შემდეგ მაყურებელი იწმინდება და ცდილობს არ გაიმეოროს ის ცოდვა, რომელიც გმირებმა ჩაიდინეს (Boal,1985).

ამ თემაზე ძალიან საინტერესო შრომა აქვს, აგრეთვე, ცნობილ გერმანელ დრამატურგსა და მოაზროვნეს ბერტოლტ ბრეხტს, სადაც ის ეპიკური დრამის შინაარსს აყალიბებს. (Brecht, 1964) პარადიგმულ ცვლილებაზე კი, ჩვენ ვისარგებლეთ ამერიკელი მეცნიერის, თომას კუნის ცნობილი ნაშრომით - „მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურა“ (Kuhn, 1962).

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, შერჩეული ნაწარმოებები, ფაქტობრივად ფარავს ევროპული დრამის განვითარების საკვანძო ეტაპებს მისი ისტორიული საწყისიდან (ძველბერძნული გეომეტრიული ეპოქა*) თანამედროვეობის ჩათვლით.

შერჩეულ ნაწარმოებთა ერთ-ერთ (რიგ შემთხვევაში - მთავარ) კომპონენტს წარმოადგენს კატასტროფა, როგორც ტრაგიკული დასასრული ან კატასტროფის აცილება, „გადარჩენა“ - ბედნიერი დასასრული. რამდენად შესაძლებელია „კატასტროფის“ თავიდან აცილება? რამდენად განსაზღვრავს თავად „ადამიანის ბუნება“ ამ კატასტროფას? შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს კითხვები ასახავს საუკეთესოდ თანამედროვეობის უმთავრეს დილემას მშვიადობიან თანაარსებობასა და ძალმომრეობასა შორის.

კონკრეტულად, კვლევისთვის შეირჩა 12 ნაწარმოები უძველესი ბერძნული ტრაგედიიდან თანამედროვე დრამამდე: ჰომეროსის „ილიადა“, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“, ევრიპიდეს „მედეა“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, შექსპირის „მაკბეტი“, ჰენრიკ იბსენის“ ხალხის მტერი“, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, ბერტოლტ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“, ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, სემუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“.

<u>**ინდიკატორების**</u> განსაზღვრა განხორციელდა თეორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც **გამოვლინდა, რომ დილემა - მშვიდობიანი თანაარსებობა vs მასობრივი ძალმომრეობა, ისევე, როგორც ადამიანის ბუნების გაგება, ძირითადად, ოთხი პარადიგმის კონტექსტში მოიაზრება:**

1. <u>**რეალ-პოლიტიკა**</u>

   რეალ-პოლიტიკა - მაკიაველის თეორიაზე დამყარებული მოსაზრება იმის შესახებ რომ მასაში აღმოჩენილი ადამიანი კარგავს საღი განსჯის უნარს და, რესურსების ან ძალაუფლების უკმარისობის შიშით შეპყრობილი, ხდება მოძალადე. სწორედ ამიტომ, საჭიროა მისი შეკავება სხვადასხვა ძალოვანი, საპოლიციო თუ შეიარაღებული მექანიზმების გამოყენებით. ამ თეორიას ბევრი მიმდევარი ჰყავს არა მხოლოდ თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში (მათ შორის გამოირჩევიან რაინჰოლდ ნიბური, ზბიგ ბჟეზინსკი, ჯორჯ კენანი, ჰენრი კისინჯერი და სხვები), არამედ პოლიტიკაშიც (მეტერნიხი, ბისმარკი, ჯორჯ ბუში უფროსი, ლინდონ ჯონსონი, რიჩარდ ნიქსონი და ა. შ. **მოკლედ რომ შევაჯამოთ რეალპოლიტიკის მიმდევართა თეორიული მოსაზრებები, „ადამიანის**

ბუნება ბოროტია“ - იგი „ბუნებით არის მეომარი და მტაცებელი“, რომელზეც ძალმომრეობითი ან ეკონომიკური „შემაკავებელი ფაქტორების“ გარდა არაფერი მოქმედებს. შესაბამისად, ომი და ძალადობა <u>გარდაუვალია.</u> აღსანიშნავია, რომ ეს დოქტრინა ამჟამადაც პრევალირებს პოლიტიკურ ელიტებში.

2. <u>**იდეალ-პოლიტიკა**</u>

იდეალ-პოლიტიკა რეალპოლიტიკის საპირისპირო მიმართულებაა. იგი იმანუელ კანტისა და სხვა იდეალისტ ფილოსოფოსთა თეორიებს ეფუძნება. **იდეალპოლიტიკის მთავარი პოსტულატი ძველი აღთქმიდან მოდის, რომელიც ამბობს, რომ „ღმერთმა ადამიანი შექმნა სახედ და ხატად თვისად“**. ამ მიმართულების მთავარ დამამკვიდრებლად, მეოცე საუკუნის პოლიტიკურ აზროვნებაში ითვლება ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი, რომელმაც, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, ვერსალის კონფერენციას „მშვიდობის 14 პუნქტი“ წარუდგინა. იდეალ-პოლიტიკის წარმომადგენლებად ითვლებიან ისეთი პოლიტიკოსები, როგორებიცაა მაჰათმა განდი, ნელსონ მანდელა, ვაცლავ ჰაველი, რონალდ რეიგანი, ჯონ ფიცჯერალდ კენედი, ზვიად გამსახურდია და ასე შემდეგ. **იდეალპოლიტიკის წარმომადგენლების აზრით, ომი და ძალადობა არა მხოლოდ არ არის <u>გარდაუვალი, არამედ, პირიქით,</u> ადამიანებს შორის მშვიდობიანი და თანასწორი ურთიერთობა <u>ყოველთვის</u> შესაძლებელია, თუკი მათში საუკეთესო სულიერებასა და ემპათიას გავაღვიძებთ.**

ადამიანის ბუნების შესახებ რეალ-პოლიტიკისა და იდეალ-პოლიტიკის კონტრადიქტორული დაპირისპირებისგან განსხვავებით, მარქსიზმისა და არა-მარქსისტული რადიკალური აზროვნების პარადიგმები არ არის უპირობო, უნივერსალური ხასიათის - ისინი ადამიანის ბუნებას განიხილავენ არა როგორც „კონსტანტას“, თავისთავად არსებულ მოცემულობას, არამედ როგორც ცვლადს, რომელიც სოციალური გარემოს მახასიათებლებზე რეაგირებს - ძირითადი განსხვავება მათ შორის, კონკრეტული მახასიათებლების იდენტიფიცირებაშია. შესაბამისად, ეს ორი პარადიგმა კონსტრურებულია პირობითი დებულებების სახით

გამოხატულ თეორიულ ფუნდამენტზე/საფუძველზე და კონცენტრირე-ბულია რეალობებზე, რომლებიც წარმოიქმნება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში/პირობებში.

აქედან გამომდინარე, სხვადასხვა პერსპექტივაში, ისინი თავსებადია როგორც ერთმანეთთან, ისე - უკვე განხილული პარადიგმების ცალკეულ ასპექტებთან:

3. <u>მარქსიზმი</u>

მარქსისა და მარქსისტების შეხედულებით, ადამიანის ბუნება, თავისთავად, არც კეთილია და არც ბოროტი - იგი კეთილი ან ბოროტი ხდება, ძირითადად, ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით/მათი ზემოქმედების შედეგად - დამშეული ადამიანი ბუნებრივად ბოროტია და გამაძღარი კი - ბუნებრივად არა-აგრესიული. **მარქსისტების აზრით, ომი და ორგანიზებული ძალადობა დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოებისათვის - მისი განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც დაპირისპირება საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის კრიტიკულ წერტილს აღწევს, ხოლო კლასებს შორის, ეკონომიკური თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პირობებში, ომის საფუძველი აღარ იარსებებს.**

4. **არა-მარქსისტული რადიკალური აზროვნება**

არა-მარქსისტული რადიკალური აზროვნება წარმოდგენილია, ძირითადად, მეოცე საუკუნეში აღმოცენებული თეორიებით, რომლებიც კონფლიქტისა და ძალმომრეობის მიზეზებს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სხვა სტრუქტურულ თუ კულტურულ ფაქტორებში ეძებენ. იოჰან გალტუნგის ცნობილი ფორმულირებები - „კულტურული ძალადობა“ და „სტრუქტურული ძალადობა“ სწორედ ამ ტრიგერებზე მიუთითებს. არა-მარქსისტულ რადიკალურ აზროვნებას მიუკუთვნება ჯონ ბარტონის „ძირეული ადამიანური მოთხოვნილებების თეორიაც“, სადაც ბიოლოგიური მოთხვნილებების გარდა, ბარტონი ასახელებს ჰაიდეგერისეულ „ონტოლოგიურ მოთხოვნილებებს“, ისეთებს როგორებიცაა უსაფრთხოება, იდენტობა, კუთვნილება და ასე შემდეგ. აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ

ცნობილი ფემინისტი მოაზროვნეების - რიან აისლერის, ჯუდით ბატლერის, ლუს ირიგარაის, ჯულია ქრისტევას და სხვების თეორიებიც, რომლებიც მასობრივი ძალმომრეობის ფენომენის გაჩენას პატრიარქატს უკავშირებენ. **არა-მარქსისტული რადიკალური აზროვნების მიხედვით, ომი და მასობრივი ძალმომრეობა გარდაუვალი არ არის, თუ სტრუქტურული და კულტურული ფაქტორები ხელს უწყობს თანასწორობას, თავისუფლებას და, მაშასადამე, მშვიდობას** (Sandole, 1993).

ამ პარადიგმების შესაბამისად, კონკრეტული ინდიკატორების სახით, განისაზღვრა ხუთი დებულება:

1. ადამიანის ბუნება არის ბოროტი;
2. ადრე თუ გვიან ინდივიდუალური ძალადობა არის გარდაუვალი;
3. ადამიანებს შორის მშვიდობანი ურთიერთობა ყოველთვის/ ნებისმიერ სიტუაციაში შესაძლებელია;
4. ომი/მასობრივი ძალმომრეობა არ არის გარდაუვალი;
5. თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა ერთად უდრის მშვიდობას.

კვლევის ჰიპოთეზა: შერჩეული დრამატული ნაწარმოებები ზეგავლენას ახდენს მშვიდობიანი თანაარსებობა vs მასობრივი ძალმომრეობა - დილემისა და ადამიანის ბუნების მიმართ ექსპერიმენტის მონაწილეთა/ჯგუფის განწყობაზე.

9.3 ექსპერიმენტში მონაწილე ჯგუფის შერჩევა:

ექსპერიმენტში მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით. ვინაიდან, საკვლევი ნაწარმოებების დიდი ნაწილი ზოგად-საგანმანათლებლო პროგრამებშია სხვადასხვა სახით წარმოდგენილი, ამასთან, უკვე დიდი ხანია, არსებობს თითოეული მათგანის საკმაოდ პოპულარული ეკრანიზაცია, ექსპერიმენტის მონაწილეთათვის თანაბარი საწყისი პირობების შექმნის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ მათ უნდა ჰქონოდათ ზოგადი განათლების დაახლოებით ერთგვაროვანი დონე და წარსულში თითოეული საკვლევი ნაწარმოების წაკითხვის ან/და ნახვის (სპექტაკლი, ეკრანიზაცია და ა.შ.) გამოცდილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერიმენტში მონაწილეთა შერჩევა

განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა ბაზაზე.

თუმცა, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინების გარდა, კვლევაში მონაწილეობის მსურველთაგან შეირჩა მხოლოდ ის კატეგორია, რომელიც აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს:

- ექსპერიმენტის ჩატარების პერიოდში, მათი სასწავლო, სამუშაო ან სხვა სახის აქტივობები (მაგალითად, ლიტერატურათმცოდნეობის ან კინომცოდნეობის პროგრამაზე სწავლა, მუშაობა ან მონაწილეობა პროფესიონალურ თუ სამოყვარულო თეატრში და სხვა) არ უკავშირდებოდა საკვლევ ნაწარმოებთაგან რომელიმეს;
- ექსპერიმენტის ჩატარების პერიოდში, მათი სასწავლო, სამუშაო ან სხვა სახის აქტივობები არ უკავშირდებოდა სოციალურ მეცნიერებათა ემპირიული კვლევების სფეროს;
- ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ წაუკითხავთ/არ უნახავთ საკვლევ ნაწარმოებთაგან რომელიმე.

შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა ასაკისა და სქესის კატეგორიები:

- ექსპერიმენტის მონაწილეები არიან 18-24 წწ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, ვინაიდან, ქვეყნის სრულწლოვან პოპულაციას შორის, ეს ასაკობრივი ჯგუფი უფრო თავისუფალია სოციალურ-პროპაგანდისტული ზეგავლენებისგან;
- მათი 71.4% არის მდედრობითი სქესის, ხოლო 28.6% - მამრობითის.

9.4 პროცედურული ნაწილი:

- კვლევის პროცედურული ნაწილის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა პრე ტესტირების ჩატარებას - კვლევის მონაწილეთა მიერ საკვლევი ხუთი დებულების - ინდიკატორის შეფასებას ლაიკერტის სკალით. ეს ეტაპი იყო საერთო საკვლევად შერჩეული თითოეული ნაწარმოებისთვის (წარმოადგენდა პრე-ტესტს თითოეული მათგანისათვის);

• მეორე - პოსტ-ტექსტირების ეტაპი დაიწყო პრე-ტესტირებიდან ერთი თვის შემდეგ და, თავის მხრივ, შერჩეული 12 ნაწარმოების გათვალისწინებით, შედგებოდა 12 ფაზისგან. თითოეული ფაზა ითვალისწინებდა ექსპერიმენტის მონაწილეებისათვის საკვლევად შერჩეული ნაწარმოებებიდან ერთ-ერთის თეატრალური ან/და კინო ვერსიების ვიდეოჩანაწერების ჩვენებას, რის შემდეგაც მათ ხელახლა უნდა შეეფასებინათ იგივე ხუთი დებულება, იმ ეფექტის გათვალისწინებით, რაც შესაძლოა, მოეხდინა მათზე კვლევით გათვალისწინებულ ინტერვენციას.

პოსტ-ტესტირების ფაზებს შორის ინტერვალი შეადგენდა ერთ თვეს. ვიდეო ჩვენებები და შესაბამისი პოსტ-ტესტირებები განხორციელდა შემდეგი მიმდევრობით:

1. ჰომეროსის „ილიადას“ მიხედვით გადაღებული ფილმი - „ტროა“ (რეჟისორი - ვოფგანგ პიტერსენი);
2. ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ მიხედვით რობერტ სტურუას მიერ დადგმული იგივე სახელწოდების სპექტაკლი და ვიკ კოლმანის ფილმის („მიჯაჭვული პრომეთე“). ჩვენება განხორციელდა ერთ დღეს, ნახევარსაათიანი ინტერვალით;
3. ევრიპიდეს „მედეა“ - იგივე სახელწოდების ფილმი (რეჟისორი - პიერ პაოლო პაზოლინი);
4. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ - იგივე სახელწოდების ფილმი (რეჟისორი - პიერ პაოლო პაზოლინი);
5. უილიამ შექსპირის „მაკბეტი“ - იგივე სახელწოდების ფილმი (რეჟისორი - ჯასტინ კურცელი);
6. ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“ - იგივე სახელწოდების ფილმი (რეჟისორი - რობერტ ურკუჰარტი);
7. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ - ფილმში - „ვედრება“ - ასახული ვერსია (რეჟისორი - თენგიზ აბულაძე);
8. ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ - იგივე სახელწოდების ტელესპექტაკლი (რეჟისორი - ზურაბ კანდელაკი);

9. ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“-ს მიხედვით გადაღებული ფილმი „ჩემი მშვენიერი ლედი“ (რეჟისორი - ჯორჯ კიუკორი);

10. ბერტოლტ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ იგივე სახელწოდების ფილმი (რეჟისორი - გიუნტერ პაბსტი);

11. ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ - სპექტაკლის ვიდეოჩანაწერი (რეჟისორი - რობერტ სტურუა);

12. სემუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ - იგივე სახელწოდების ფილმი (რეჟისორი - მაიკლ ლინძი ჰოგი).

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა მხოლოდ იმ რესპონდენტებისგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლებმაც სრულყოფილად გაიარეს კვლევის პროცედურა. რესპონდენტები, რომლებმაც გამოტოვეს კვლევის პროცედურის რომელიმე ნაწილი ან უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობის გაგრძელებაზე, საერთოდ გამოეთიშნენ კვლევას - მოხდა შესაბამისი ინფორმაციის ამოღება წინა პროცედურების შედეგებიდან, მათ შორის, პირველი ტალღის ბაზიდანაც (სულ 17 შემთხვევა).

გამოკითხვები ჩატარდა კვლევითი ორგანიზაცია „სონარის“ მიერ.

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი განხორციელდა პროგრამა IBM SPSS Statistics 23-ის მეშვეობით. **უკვე ერთგანზომილებიანი ანალიზის დონეზე იკვეთება რეალ-პოლიტიკის გაზიარების კლების ტენდენცი**: იკლებს რეალ-პოლიტიკის შესაბამისი დებულებების ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები (საშუალო ქულები) და, პირიქით, მაღლდება იმ დებულებათა საშუალო ქულები, რომლებიც მათ უპირისპირდება:

ცხრილი 1. ცენტრალური ტენდენციები

Report

Mean

	ადამიანის ბუნება არის ბოროტი	ადრე თუ გვიან ინდივიდუალური მაღალდონეა არის გარდაუვალი	ადამიანებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა ყოველთვის/ნებისმიერ სიტუაციაში შესაძლებელია	ომი/მასობრივი ძალმომრეობა არ არის გარდაუვალი	თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა ერთად უდრის მშვიდობას
პირველი ტალღა (ინტერვენციამდე)	*3.55*	*3.82*	*2.76*	*2.45*	*2.86*
ილიადა	*2.49*	*3.35*	*3.11*	*3.21*	*3.17*
მიჯაჭვული პრომეთე	*2.24*	*2.73*	*3.21*	*3.29*	*3.52*
მედეა	*2.55*	*3.31*	*2.85*	*2.88*	*3.04*
ოიდიპოს მეფე	*2.56*	*3.07*	*2.96*	*2.86*	*3.22*
მაკბეტი	*2.76*	*3.67*	*2.74*	*3.10*	*3.25*
ხალხის მტერი	*2.47*	*3.09*	*2.93*	*3.26*	*3.71*
სტუმარ-მასპინძელი	*2.41*	*2.98*	*2.87*	*2.95*	*3.11*
განდეგილი	*2.27*	*3.02*	*3.40*	*3.27*	*3.56*
პიგმალიონი	*2.07*	*2.83*	*3.65*	*3.38*	*3.66*
სამგროშიანი ოპერა	*2.53*	*3.16*	*2.85*	*2.84*	*3.25*
კავკასიური ცარცის წრე	*2.19*	*2.65*	*3.71*	*3.12*	*3.94*
გოდოს მოლოდინში	*2.50*	*3.09*	*3.26*	*3.01*	*3.37*

როგორც საშუალოთა შედარება (“Anova table”) გვიჩვენებს, ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია:

ცხრილი 2. კორელაცია

Correlations

		ადამიანის ბუნება არის ბოროტი	ადრე თუ გვიან ინდივიდუალური ძალადობა არის გარდაუვალი	ადამიანებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა ყოველთვის/ნებისმიერ სიტუაციაში შესაძლებელია	ომი/მასობრივი ძალმომრეობა არ არის გარდაუვალი	თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა ერთად უდრის მშვიდობას
ადამიანის ბუნება არის ბოროტი	Pearson Correlation	1	.332**	-.204**	-.135**	-.118**
	Sig. (2-tailed)		0.000	0.000	0.000	0.000
	N	1300	1298	1300	1299	1299
ადრე თუ გვიან ინდივიდუალური ძალადობა არის გარდაუვალი	Pearson Correlation	.332**	1	-.141**	-.129**	-.115**
	Sig. (2-tailed)	0.000		0.000	0.000	0.000
	N	1298	1298	1298	1297	1296
ადამიანებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა ყოველთვის/ნებისმიერ სიტუაციაში შესაძლებელია	Pearson Correlation	-.204**	-.141**	1	.146**	.321**
	Sig. (2-tailed)	0.000	0.000		0.000	0.000
	N	1300	1298	1300	1299	1299
ომი/მასობრივი ძალმომრეობა არ არის გარდაუვალი	Pearson Correlation	-.135**	-.129**	.146**	1	.215**
	Sig. (2-tailed)	0.000	0.000	0.000		0.000
	N	1299	1297	1299	1299	1298
თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა ერთად უდრის მშვიდობას	Pearson Correlation	-.118**	-.115**	.321**	.215**	1
	Sig. (2-tailed)	0.000	0.000	0.000	0.000	
	N	1299	1296	1299	1298	1299

. Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed). (George & Mallery, 2022)

საკვლევი საკითხის მთლიანობაში აღქმისა და გაანალიზების მიზნით, მრავალცვლადიანი ანალიზის მეთოდების გამოყენებით, განხორციელდა ინდექსის

(კომპოზიტური სტატისტიკური მაჩვენებლის) შემოღება, რის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ხუთივე ინდიკატორთან დაკავშირებული შედეგების აგრეგირება და განზოგადებული დასკვნების გამოტანა.

ინდექსის შემუშავების პროცედურა შემდეგნაირია:

საწყის ცვლადებს წარმოდგენდა დებულებები - „ადამიანის ბუნება არის ბოროტი“; „ადრე თუ გვიან ინდივიდუალური ძალადობა არის გარდაუვალი“; ადამიანებს შორის მშვიდობანი ურთიერთობა ყოველთვის/ნებისმიერ სიტუაციაში შესაძლებელია“; „ომი/მასობრივი ძალადობა არ არის გარდაუვალი“; „თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა ერთად უდრის მშვიდობას“.

იმ, მიზნით, რომ საწყისი ცვლადებისათვის მინიჭებული მნიშვნელობები ყოფილიყო კონსისტენტური, მოხდა ორი მათგანისთვის („ადამიანის ბუნება არის ბოროტი“; „ადრე თუ გვიან ინდივიდუალური ძალადობა არის გარდაუვალი“) მინიჭებული მნიშვნელობების ინვერსია: მინიმალური შეფასება (1) გარდაიქმნა მაქსიმალურ შეფასებად (5), მაქსიმალური შეფასება (5) გარდაიქმნა მინიმალურ შეფასებად (1); შესაბისად ტრანსფორმირდა შუალედური ქულებიც (2; 3; 4).

ფაქტორულ ანალიზის, სახელდობრ, „მთავარ კომპონენტთა მეთოდის“ გამოყენებით, ზემოაღნიშნული ცვლადები ერთ ფაქტორში გაერთიანდა:

ცხრილი 3. ფაქტორული წონები

Component Matrix[a]

	Component 1
ადამიანის ბუნება არის ბოროტი	0.63
ადრე თუ გვიან ინდივიდუალური ძალადობა არის გარდაუვალი	0.58
ადამიანებს შორის მშვიდობანი ურთიერთობა ყოველთვის/ნებისმიერ სიტუაციაში ესაძლებელია	0.64
ომი/მასობრივი ძალმომრეობა არ არის გარდაუვალი	0.51
თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა ერთად უდრის მშვიდობას	0.61

ფაქტორული წონები თითოეული ცვლადისათვის მეტია 0.5 - ზე.

წრფივი რეგრესიული მოდელის მეშვეობით განხორციელდა ცვლადების მნიშვნელოვნებათა იდენტიფიცირება ფაქტორის ფორმირებაში:

ცხრილი 4. დეტერმინაციის კოეფიციენტი

Model Summary

odel	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
	1.000[a]	1.000	1.000	.00000

(George & Mallery, 2022)

ცხრილი 5. წრფივი რეგრესიის მოდელი

Coefficients[a]

Model	Unstandardized Coefficients	St d. Error	Standardized Coefficients Beta	t	ig.
(Constant)	.250	.000		-1242816967	000
S1_REC ადამიანის ბუნება არის ბოროტი	057	.000	.345	1306226884	000
S2_REC ადრე თუ გვიან ინდივიდუალური ძალადობა არის გარდაუვალი	049	.000	.326	1246931680	000
s3 ადამიანებს შორის მშვიდობანი ურთიერთობა ყოველთვის/ნებისმიერ სიტუაციაში შესაძლებელია	054	.000	.372	1402619688	000
s4 ომი/მასობრივი ძალადობა არ არის გარდაუვალი	042	.000	.290	1142833626	000
s5 თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა ერთად უდრის მშვიდობას	048	.000	.348	1317931515	000

a. Dependent Variable: მიღებული ფაქტორი

ინდექსის შემუშავება განხორციელდა შემდეგი წრფივი გარდაქმნის გამოყენებით (George & Mallery, 2022):

$$\boldsymbol{y = C_0 + C_1 \sum_{i=1}^{5} B_i \times x_i} \qquad (1)$$

სადაც $\boldsymbol{B_i}$ ცხრილ N2 - ში მოცემული i-ური ცვლადის არასტანდარტიზებული რეგრესიის კოეფიციენტია, ხოლო $\boldsymbol{C_0}$ და $\boldsymbol{C_1}$ კოეფიციენტები შერჩეულია ისე, რომ $\boldsymbol{x_i(i = 1, 5)}$ ცვლადების მინიმალურ მნიშვნელობას შეესაბამება ინდექსის (y-ის) მინიმალური მნიშვნელობა 0, ხოლო $\boldsymbol{x_i(i = 1, 5)}$ ცვლადების მაქსიმალურ მნიშვნელობას შეესაბამება ინდექსის (y-ის) მაქსიმალური მნიშვნელობა 1(George & Mallery, 2022):

$$\boldsymbol{C_0 = -\frac{\sum_{i=1}^{5} B_i \times min(x_i)}{\sum_{i=1}^{5} B_i \times max(x_i)}\ ;\ C_1 = \frac{1}{\sum_{i=1}^{5} B_i \times max(x_i)}} \qquad (2)$$

ვინაიდან სკალები იზრდება მასობრივი ძალმომრეობიდან მშვიდობიანი თანაარსებობის მიმართულებით, მიღებულ ინდექსს **მშვიდობიანი განწყობის ინდექსი** ვუწოდეთ.

მშვიდობიანი განწყობის ინდექსი, მისი ფორმირების სტატისტიკური მექანიზმებიდან გამომდინარე, გამოხატავს რესპონდენტთა განწყობის „ვექტორს“, რომელიც მიღებულია ოთხივე პარადიგმის პერსპექტივის გათვალისწინებით, მაგრამ ~~მათი ერთობლივი ზემოქმედების~~ თვისებრივად განსხვავებულ რეზულტატს გამოსახავს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი N5) წარმოდგენილია მშვიდობიანი განწყობის ინდექსის მნიშვნელობები თითოეული ნაწარმოების მიხედვით, აგრეთვე, საერთო მაჩვენებელი - მშვიდობიანი განწყობის ინდექსი თორმეტივე ნაწარმოების გათვალისწინებით:

ცხრილი 6. მშვიდობიანი განწყობის ინდექსი

Report

Test	მშვიდობიანი განწყობის ინდექსი.		
	ean	Std. Deviation	ვარიაციის კოეფიციენტი
პირველი ტალღა	.38	.16	42.30%
ილიადა	.54	.14	26.13%
მიჯაჭვული პრომეთე	.61	.15	25.19%
მედეა	.50	.11	22.80%
ოიდიპოს მეფე	.53	.13	24.09%
მაკბეტი	.48	.10	19.85%
ხალხის მტერი	.57	.16	28.40%
სტუმარ-მასპინძელი	.53	.14	26.41%
განდეგილი	.60	.16	26.75%
პიგმალიონი	.64	.16	24.11%
სამგროშიანი ოპერა	.52	.17	32.93%
კავკასიური ცარცის წრე	.65	.19	29.11%
გოდოს მოლოდინში	.56	.12	22.10%
საერთო მაჩვენებელი *(ყველა ნაწარმოების გათვალისწინებით)*	.55	.16	29.72%

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები მოწმობს, რომ როგორც თითოეული ნაწარმოების, ისე საერთო მაჩვენებლის მიხედვით, პირველ ტალღასთან შედარებით, მშვიდობიანი განწყობის ინდექსი იზრდება, **შესაბამისად, კვლევის ჰიპოთეზა დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს.** ამასთან ერთად, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველი ტალღის **ვარიაციის კოეფიციენტი** (43.0%) საკმაოდ მაღალია და ის მნიშვნელოვნად **დაბლდება** ინტერვენციის შედეგად, როგორც ცალკეული ნაწარმოებების, ისე - საერთო მაჩვენებლის (25.45%) მიხედვით. ეს რეზულტატი იმით შეიძლება აიხსნას, რომ **ინტერვენციის შედეგად ხდება არა მხოლოდ მშვიდობიანი განწყობის ამაღლება, არამედ, მისი გამყარებაც - მშვიდობიანი თანაარსებობის „მხარეზე ყოფნა“ ხდება უფრო სტაბილური - ნაკლებად ვარირებს,** რაც შეიძლება ინტეპრეტირდეს, როგორც განწყობაზე ზემოქმედების ეფექტი, **რომელიც, შესაბამის პერსპექტივაში, სოციუმის ერთგვაროვნების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.**

ჩატარებული კვლევის დიზაინი (კვლევა არ არის რაოდენობრივი, შესაბამისად, კვლევის ინსტრუმენტი არ მოიცავს კითხვებს სავარაუდო ფაქტორთა და რესპონდენტთა მახასიათებლების შესახებ) არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვიტანოთ უფრო კონკრეტული დასკვნები, მაგრამ, მშვიდობიანი განწყობის ინდექსების გაანალიზება სხვადასხვა პერსპექტივაში, საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ საინტერესო დაკვირვებები შესაძლო ახსნებითურთ, რომლებიც ნამდვილად იმსახურებს, რომ შემდგომი კომპლექსური, უფრო დეტალიზებული და სიღრმისეული კვლევის ობიექტი გახდეს.

მშვიდობიანი განწყობის ინდექსების მიხედვით საკვლევ ნაწარმოებთა ერთიან სურათს, აგრეთვე, მათ შორის ურთიერთმიმართებებს კარგად გამოხატავს ქვემოთ მოცემული დიაგრამა, რომელსაც, ფორმისა და მასში აკუმულირებული კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამო, ფიგურალურად, „დრამის კარდიოგრამა“ ვუწოდეთ:

დიაგრამა 1. მშვიდობიანი განწყობის ინდექსი



პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არისტოტელეს „პოეტიკის“, შემდგომ კი, უკვე ბერტოლტ ბრეხტისა და აუგუსტო ბოალის თეორიული წყაროების შესაბამისად, „დრამის კარდიოგრამა“ ძირითადად **ჯგუფში** გამოკვეთილი იმ ტენდენციის კონსისტენტურია, რომელიც ეპოსიდან და კლასიკური არისტოტელური ტრაგედიიდან მიდის თანამედროვე დრამამდე[2]:

[2] პირველ და მეორე ტალღების ინდექსის მაჩვენებელთა საშუალოებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

დიაგრამა 2. ინდექსის ზრდის ტენდენცია



ის უმნიშვნელოვანესი შედეგი, რომ მშვიდობიანი განწყობის ინდექსის მაჩვენებლის ცვლილება თითოეული ნაწარმოების შემთხვევაში პოზიტიურია, მნიშვნელოვანწილად არისტოტელეს ტრაგედიის „ფორმულით“ შეიძლება აიხსნას: ძველი ბერძნული ტრაგედიის საბოლოო წერტილი/მიზანი კათარზისია, რომელიც კატასტროფას მოჰყვება. კატასტროფისა და მის წინამდებარე ნაწილთა დანიშნულება სწორედაც რომ არის განცდა, რომელიც პიესის მკითხველსა თუ მაყურებელს აგრძნობინებს რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, „ასეთი დაბოლოება არაფრად ვარგა“ და ამ განცდის შედეგად გამოწვეული „განწმენდის“, „გაკეთილშობილების“ გრძნობა, რომელიც ახასიათებს კათარზისს. სწორედ ამიტომაც, „მშვიდობიანი განწყობის ინდექსის“ ზრდას ადგილი აქვს არა მხოლოდ „დიდაქტიკურ დრამაში“', „ეპიკურ დრამასა“ და „აბსრუდის თეატრში“ - არამედ ის ტრადიციული არისტოტელური ტრაგედიის დროსაც აღინიშნება, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში ინდექსის ზრდის მაჩვენებელი ნაკლებია, ვიდრე ეპიკურ ნაწარმოებებში და, განსაკუთრებით, ეპიკურ დრამაში. არის გამონაკლისებიც - მაგრამ ჩვენ ვხედავთ

კონსისტენტურ სურათს - გამოკვეთილი პოზიტიური და მზარდი ტენდენცია გვაჩვენებს აღმასვლას როგორც ტრაგედიის ჟანრში ასევე მის მემკვიდრე დრამატულ ჟანრებში, რის საფუძველზეც, შეიძლება ითქვას, რომ მოდელი კლასიკური ტრაგედიიდან ეპიკურ დრამამდე კარგად მუშაობს.

კვლევის მიზნისა და ამოცანების პერსპექტივაში, საინტერესოა, აგრეთვე, ცალკეულ ნაწარმოებებთან დაკავშირებული თავისებურებები.

დიაგრამა 3. მაკბეტი (ზრდა: 0.11- საწყისი მაჩვენებლის 28.40%)



შექსპირის „მაკბეტის“ ინდექსის მნიშვნელობის ზრდის მაჩვენებელი სხვებთან შედარებით, ყველაზე დაბალია (0.11), თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის მშვიდობიანი განწყობის ინდექსის საწყისი მაჩევენებლის (0.38-ის) 28.40%-ს (ე.ი. თითქმის მესამედს წარმოადგენს), თავისთავად აღებული, საკმაოდ მნიშვნელოვან მოცემულობად შეიძლება ჩაითვალოს.

ცხადია, უილიამ შექსპირის ტრაგედიების სტილი უშუალოდ არისტოტელური ტრაგედიების სტილს გვაგონებს, მთელი თავისი შემადგენელი ნაწილებით, სადაც ერთმანეთს ენაცვლება პერიპეტეია, ჰამართია, ანოგნოროზისი, კატასტროფა და კათარსისი. „მაკბეტი“ შექსპირის დრამებიდან ერთ-ერთი ყველაზე მუქ ფერებში შექმნილი ნაწარმოებია, სადაც კარგად არის წარმოჩენილი ადამიანის ძალაუფლებისმოყვარე იმ ტიპის თვისებები, რომელთაც თვალსაჩინოდ ახასიათებდნენ „რეალპოლიტიკისა“ და „ძალოვანი პოლიტიკის“ ისეთი მამები, როგორებიც იყვნენ ჰანს მორგენთაუ, ჯორჯ ქენანი, ჰენრი კისინიგერი და მრავალი

სხვა. პარალელების გავლება თუნდაც „უფლისწულის“ ავტორ ნიკოლო მაკიაველისთანაც თავისუფლად არის შესაძლებელი. შესაბამისად, სხვა ნაწარმოებებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელი, სწორედ ამ თავისებურებით შეიძლება აიხსნას.

ევრიპიდეს „მედეა“. შექსპირის „მაკბეტთან“ შედარებით, მხოლოდ 0.01 ერთეულით მაღალი ზრდის მაჩვენებელი (0.12) აქვს ევრიპიდეს „მედეას“:

დიაგრამა 4. მედეა (ზრდა: 0.12 - საწყისი მაჩვენებლის 32.64%)



ევრიპიდეს ამ დადგმას არისტოტელემ კარგად უწოდა ის, „რაც ადამიანი არის“. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ბუნების მიმართ დიდი ბერძენი დრამატურგის სკეპტიკური დამოკიდებულება სწორედ ამ ნაწარმოებმა გამოხატა არაჩვეულებრივად. სხვადასხვა კრიტიკოსების აზრით, ევრიპიდე აქ იჩენს ქალთმოძულე დამოკიდებულებას და კოლხთა მეფის ასულს, მედეას, მიაწერს გაცილებით მეტ ცოდვას, ვიდრე მის ისტორიულ პროტოტიპს ჩადინილი ჰქონდა სინამდვილეში. ევრიპიდეს ფემინისტ კრიტიკოსებს უერთდებიან სხვადასხვა ტიპის რევიზიონისტები, რომლებიც საკმაოდ ლეგიტიმურ კითხვებს სვამენ ამ პიესის ისტორიულ ვალიდაციასთან დაკავშირებით. მაგრამ, ამან ნამდვილად ვერაფერი დააკლო პიესის მხატვრულ ღირებულებას, რადგან უამრავი ადამიანი აწ უკვე 24

საუკუნის განმავლობაში უყურებს ამ დრამას და იგი მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე პოპულარულ პიესათა გვერდით იკავებს ადგილს.

სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. საკმაოდ მძიმე სიუჟეტის მიუხედავად, წინა ორ ნაწარმოებთან შედარებით მკვეთრი მატება აქვს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“ (თუ „მაკბეტსა“ და „მედეას“ შორის განსხვავება მხოლოდ 0.01 ერთეული იყო, ამ ნაწარმოების ინდექსის მნიშვნელობის ზრდის მაჩვენებელი, „მედეასთან“ მიმართებაში 0.03 ერთეულით, ხოლო „მაკბეტთან“ მიმართებაში - 0.04-ით არის მომატებული).

დიაგრამა 5. ოიდიპოს მეფე ოიდიპოს მეფე (ზრდა: 0.15 - საწყისი მაჩვენებლის 39.33%)



სოფოკლე, როგორც მოაზროვნე და დრამატურგი, შეიძლება ითქვას, რომ ესქილესა და ევრიპიდეს შორის იდგა - მისი გმირები უაღრესად ადამიანურები არიან და მისი ტრაგედია მაინც არა მხოლოდ ბედისწერით, არამედ მთავარი გმირების არჩევანით განისაზღვრება. სწორედ ამიტომაც, მისი ნაწარმოების შედეგად ჩამოყალიბებული განწყობა „ადამიანის ბუნების“ შესახებ, უფრო დადებითისაკენ იხრება, ვიდრე უარყოფითისაკენ. დენის სანდოლის მიერ მოყვანილი სხვადასხვა პარადიგმიდან, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ უფრო იდეალისტების მხარეს იხრება და აქვს არა-მარქსისტული რადიკალური აზროვნების ელემენტებიც. შეიძლება ითქვას,

რომ იგი უკვე განხილულ ნაწარმოებებთან შედარებით, უფრო კეთილი საწყისის იმპულსებს აღძრავს.

ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფესთან“ შედარებით, 0.01 ერთეულით მაღალი და, შესაბამისად, ერთმანეთის იდენტური ზრდის მაჩვენებლებით (0.16) არის წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და ჰომეროსის „ილიადა“:

დიაგრამა 6. სტუმარ-მასპინძელი (ზრდა: 0.16 - საწყისი მაჩვენებლის 41.16%)



ვაჟა ფშაველას ამ ნაწარმოებს საკმაოდ დიდი გამოძახილი მოჰყვა თავის დროზეც და მერეც, როდესაც ის მსოფლიოს არაერთ თეატრში დაიდგა. დაუვიწყარია 21-ე საუკუნის დასაწყისში „სტუმარ-მასპინძლის“ დადგმა ვაშინგტონის „სინეტიკის თეატრში“, სადაც, პაატა წიქურიშვილის დადგმაში, მთავარ როლებს ირაკლი და კახი კავსაძე ასახიერებდნენ. ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“ ნათლად იკვეთება ადამიანის მისწრაფება ღვთაებრივ-ონტოლოგიური იდეალებისკენ - მასპინძელი მზადაა სტუმრის კეთილდღეობისთვის საკუთარი ოჯახის ღირსება და სიცოცხლეც კი გაწიროს. სწორედ აქ დგება უმწვავესად კონფლიქტოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა: ნუთუ სოციუმი გაუმაძღარი მკვლელი და შურისმაძიებელია, რომელსაც ინდივიდის მაღალი იდეალები და თავგანწირვა ვერ შეაჩერებს? ამას ხომ

პოლიტიკური და სოციალური მეცნიერების დიდი ნაწილი ამტკიცებს ნიკოლო მაკიაველის „უფლისწულის“ გამოქვეყნების შემდეგ. მაგრამ, საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ „სტუმარ-მასპინძელის“ გაცნობის შემდეგ მშვიდობიანი განწყობის მაჩვენებელი იზრდება, რაც ზემოაღნიშნულ კითხვაზე ოპტიმისტური პასუხის გაცემის ტენდენციას მიანიშნებს.

ჰომეროსის „ილიადა“. როგორც აღვნიშნეთ, ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელის“ ანალოგიური ზრდის მაჩვენებლით (0.16) არის წარმოდგენილი ჰომეროსის უცნობილესი ეპიკური ნაწარმოები „ილიადა“:

დიაგრამა 7. ილიადა (ზრდა: 0.16 - საწყისი მაჩვენებლის 42.05%)



შეიძლება ითქვას, რომ “ილიადას” ერთ-ერთი ცნობილი ტესტიმონიალი “ომის საშუალებით უკვდავების მიღწევის” შესახებ, სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსის, ხანგრძლივი საომარი კამპანიების წარმართვის მიზნებს ემსახურება. ამავე დროს, ჰომეროსის ცნობილი დიალოგი ტროას მეფე პრიამოსსა და მირმიდონელთა მბრძანებელ აქილევსს შორის, სრულიად საპირისპირო ეფექტით მოქმედებს.

შესაბამისად, ჰომეროსის ეს გენიალური ნაწარმოები ერთი მხრივ, ასრულებს „სამხედრო კომპლექსის“დაკვეთას „ომის რომანტიზაციის/იდეალიზაციის“ შესახებ, მეორეს მხრივ კი, ამავე პრაქტიკის საოცრად ძლიერ კრიტიკას აწარმოებს.

„ილიადას“, როგორც ეპიკურ ნაწარმოებს, მშვიდობიანი განწყობის ინდექსის ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე ევრიპიდეს „მედეასა“ და სოფოკლეს

„ოიდიპოს მეფეს“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასში საკმაოდ ძლიერია ტრაგედიისათვის დამახასიათებელი „კათარზისის“ ელემენტი, რის შესახებაც არისტოტელე საუბრობს. ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ „ილიადას“ ბოლოს პრიამოსისა და აქილევსის გმირული დიალოგი პოზიტიურ გავლენას ახდენს იდეალისტური პასუხებისკენ გადახრის თვალსაზრისით (Bevir, 2011).

სემუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“. სემუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“, მომდევნო ახალ საფეხურს წარმოადგენს მშვიდობიანი განწყობის ინდექსის აღმავალი მიმართულებით - მისი შესაბამისი ინდექსის ზრდის მაჩვენებელი 0.02 ერთეულით აღემატება წინა ორი ნაწარმოების ურთიერთიდენტურ მაჩვენებლებს და 0.18-ს შეადგენს. შეიძლება ითქვას, რომ „აბსურდის თეატრის“ ზემოქმედება ადამიანის ძალმომრეობითი განწყობის „უკუპროპორციულად აბსურდული“ აღმოჩნდა:

დიაგრამა 8. გოდოს მოლოდინში (ზრდა: 0.18 - საწყისი მაჩვენებლის 47.69%)



სემუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ იმდენად ეფექტურად გამოხატავს ჩვენი ეპოქის დაბნეულ სულს, რომ უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში შექმნილ ნაწარმოებებს შორის ანალოგი ძნელად მოეძებნება. ესტრაგონისა (რომლის სახელიც ესტროგენის გავლენითაა შემოტანილი და ადამიანის ზოგად დაბნეულობაში გენდერულ დაბნეულობასაც უსვამს ხაზს) და ვლადიმირის (ვლადიმირ ლენინზე ალუზიას არაერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა) არაჩვეულებრივ დიალოგებსა და მათ გარე-სამყაროსთან ურთიერთობაში კარგად ჩანს მუდმივი დაბნეულობის ქვეშ მყოფი „თანამედროვე გმირი“, რომელსაც სოფოკლესეული არჩევანის გაკეთების უნარიც კი

არა აქვს. ის გამუდმებით ელოდება „გოდოს“ და ეს გოდო არც ღმერთია, არც - კაცი. ის ველოსიპედისტი ჩემპიონისა და ტრანსცენდენტური საწყისის ნაზავია - მუდმივი მოლოდინის ობიექტი - თავისებური ფორმის „ხელოვნური ინტელექტი“, რომელზედაც ორივე გმირი ძალიან დიდ იმედებს ამყარებს. პიესაში აშკარად ჩანს რომ ეს მოლოდინი ამაოა. თანამედროვე დაბნეული ადამიანი ვერაფერს იღებს და ვერც „გოდოს'“ ნახულობს ბოლოს.

ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“. ცნობილია, რომ ჰენრიკ იბსენის „დიდაქტიკური დრამის“ ზეგავლენით ბევრი მისი თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობა იქნა წამოწყებული. ნორვეგიელი მწერალი როგორც გარემოს დამცველთა, ასევე ქალთა უფლებების ადვოკატირების მკაფიო და კაშკაშა მაგალითი იყო. მისი ნაწარმოებების გაცნობის შემდგომ ადამიანის ბუნება ცალსახად „ბოროტად“ არ აღიქმებოდა არც მისივე დროში. დღევანდელი ანტი-ჰუმამნისტური პოსტ-მოდერნული ტენდენციების მკვეთრი ზრდის მიუხედავად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჰენრიკ იბსენი კვალავაც რჩება კარგი გაგებით საგანმანათლებლო, დიდაქტიკური დრამის მაგალითად, საიდანაც მაყუერებელი დადებით იმპულსებს იღებს (ინდექსის მაჩვენებელი: 0.19):

დიაგრამა 9. ხალხის მტერი (ზრდა: 0.19 - საწყისი მაჩვენებლის 50.69%)



ურთულესი ბატალიების გადატანისა და თემიდან განდევნის მიუხედავად, მთავარი გმირი - დოქტორი შტოკმანი, მაინც დამარცხებულად არ აღიქმება, ისევე, როგორც ალუდა ქეთალაური (ვაჟა ფშაველას ამავე სახელწოდების პოემიდან). სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ორივე მათგანის მოტივაცია კეთილშობილურია.

ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“. ადამიანებისათვის გაკეთებული სიკეთის საპასუხოდ, ოლიმპიელი ღმერთების მიერ მწარედ დასჯის მიუხედავად, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“ ინდექსის ზრდის ტენდენციაში ახალ, აღმავალ „ნახტომს“ წარმოადგენს:

დიაგრამა 10. მიჯაჭვული პრომეთე (ზრდა: 0.23 - საწყისი მაჩვენებლის 60.74%)



ამრიგად, ჩვენ წავაწყდით ჯგუფში გამოვლენილ ერთგვარ პარადოქსს - ესქილეს ტრაგიკულმა ნაწარმოებმა, რომელსაც არა აქვს ეპიკური, „კეთილი“ დაბოლოება, უფრო ოპტიმისტური შედეგები გვაჩვენა, ვიდრე ჰომეროსის ეპოსმა, რომელიც თითქოს აქაველთა გამარჯვებას უნდა ზეიმობდეს. აქ გვახსენდება არისტოტელეს ნააზრევი იმის შესახებ, რომ ტრაგედია ხელოვნების ყველაზე ღრმა ჟანრია და, ამასთან ერთად, ჰომეროსის „ილიადა“ ტრაგედიას უფრო ჰგავს, ვიდრე - ეპოსს.

საყოველთაო აღიარებით, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“ ტრაგედიის ჟანრს მიეკუთვნება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პიესას არ აქვს კლასიკური არისტოტელური ტრაგედიის შემადგენელი ეტაპები: 1. პერიპეტეია 2. ჰამართია 3. ანოგნოროზისი და 4. კატასტროფა. პიესის დასაწყისშივე არის პრომეთეს კავკასიონის მთებზე მიჯაჭვის სცენა. ამის შემდეგ, ამ ნაწარმოების მთავარი გმირი მთელი მოქმედების განმავლობაში მიჯაჭვულია და უარს აცხადებს იმაზე, რომ შეურიგდეს ზევსს და მის მიერ დამყარებულ „მსოფლიო წესრიგს“. პრომეთეს მიერ ადამიანებისათვის ცეცხლისა და ხელოვნების დაბრუნების ამბავი ჩვენ ჰესიოდესაგან და სხვა ავტორებისაგანაც ვიცით. რაც შეეხება ესქილეს, ის გვაძლევს უფრო ოპტიმისტურ სურათს და სულაც არ ლაპარაკობს „ჰამართიაზე“ ანუ საბედისწერო ცოდვაზე. პრომეთე საკუთარ ქმედებას არც შეცდომად და, მითუმეტეს, არც ცოდვად აღიქვამს - პირიქით ის ამაყობს თავისი საქციელით. უნდა ითქვას რომ პრომეთე აგრეთვე არ მიმართავს „ანოგნოროზისს“ - იგი არ ცდილობს თავის გადარჩენას - რასაც მას ზევსი მუდმივად სთავაზობს. აქაც შეიძლება ითქვას, რომ ეს ტრაგედია კლასიკურ არისტოტელურ ფორმულას სრულად არ შეესაბამება. პრომეთემ იცის, რომ განგრძობად „კატასტროფაშია“, მაგრამ ის არ მოკვდება და აუცილებლად გათავისუფლდება მაშინ, როდესაც ზევსისა და მისი „მსოფლიო წესრიგის“ ბოლო დადგება. ამის შემდეგ ის დაუბრუნდება ადამიანებს. პრომეთე მაინც **უფრო ჰეროიკული გმირია, მომავლის იმედით** და ინდექსის ზრდის მაღალი მაჩვენებელი, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, კვლევის ეს შედეგი კანონზომიერად ჩაითვალა და არა - გამონაკლისად.

ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“. ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონის“ ინდექსის ზრდის მაჩვენებელი - 0.2675 - ერთ-ერთი ყველაზე მაღალია საკვლევ ნაწარმოებთა მთელი სპექტრის გათვალისწინებით:

დიაგრამა 11. პიგმალიონი (ზრდა: 0.27 - საწყისი მაჩვენებლის 70.92%)



იგი უმნიშვნელოდ, მხოლოდ 0.007 ერთეულით განსხვავდება ინდექსის უმაღლესი მაჩვენებლისგან, რომელიც „კავკასიური ცარცის წრემ“ მიიღო - 0.2749.

ეს არც არის გასაკვირი - ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“ მსოფლიო დრამატურგიისა და სოციალური მეცნიერების ისტორიაშია შესული ფუნდამენტური ნახტომით, რომელიც მან გააკეთა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საკაცობრიო პროგრესის მიღწევისას. ელაიზა დულიტლის ტრანსფორმაცია უმაღლესი საზოგადოების ქალბატონად დოქტორი ჰენრი ჰიგინსის დახმარებით,, იქცა მთელი რიგი სოციალური დახმარების ინსტიტუტების ჩამოყალიბების პრეკურსორად.

ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკვლევ ნაწარმოებებს შორის, მშვიდობიანი განწყობის ინდექსის მაქსიმალური მნიშვნელობა ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრემ“ მიიღო:

დიაგრამა 12. კავკასიური ცარცის წრე (ზრდა: 0.27 - საწყისი მაჩვენებლის 72.88%)



ბერტოლტ ბრეხტის ეს ეპიკური დრამა გასული საუკუნის ორმოციან წლებში, მისი კალიფორნიაში ყოფნის დროს დაიწერა. უნდა ითქვას, რომ მის პიესებს შორის იგი ალბათ ყველაზე კარგად გამოკვეთილი ეპიკური დრამაა, რომელიც თავისი ფაბულით თვით „სამგროშიან ოპერასაც“ კი სჯობს.

ბერტოლტ ბრეხტის ”კავკასიური ცარცის წრე“ გვიამბობს გუბერნატორის შვილის, თავადი მიშიკო აბაშვილის ამბავს, რომელსაც მისი საკუთარი ბიოლოგიური დედა ტანსაცმლის გადარჩევაში ჩაბმული მიატოვებს და მტრებს დაუტოვებს. ბავშვს კი მოსამსახურე ქალი, გრუშა ვაჩნაძე იხსნის და დიდი რისკის ფასად გადაარჩენს. ის მოახერხებს ამ ბავშვის შედარებით უსაფრთხო გარემოში წაყვანასა და აღზრდას. თუმცა, პატარა მიშიკოს ბიოლოგიური დედა მის დაბრუნებას მოინდომებს, როგორც კი ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია იცვლება. ბოლოს, ყველაფერს წყვეტს შემთხვევით დანიშნული მოსამართლე აზდაკი. მის სასამართლოზე ბავშვის „ცარცის წრის“ მეთოდით გადაცემა გადაწყდება იმ დედისათვის, რომელსაც იგი უფრო მეტად უყვარს. სწორედ ამ გზით, გუბერნატორის ვაჟიშვილი, მიშიკო აბაშვილი გადაეცემა მის მოყვარულ და აღმზრდელ დედას, გრუშა ვაჩნაძეს. სწორედ ამ შინაარსის გამო, როდესაც დაბალი კლასის წარმომადგენელი მშრომელი ქალი აღწევს სამართლიანობას და სიმწრით აღზრდილ ბავშვს იბრუნებს - ხდება **სამართლიანობის აღდგენა,** რაც შეიძლება ჩაითვალოს მშვიდობიანი განწყობის ინდექსის მაქსიმამალური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლად.

ჯგუფში გამოვლენილი ტენდენციიდან საინტერესო გამონაკლისებს წარმოადგენს ილიას ჭავჭავაძის „განდეგილი“ და ბერტოლტ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“.

ილიას ჭავჭავაძის „განდეგილი“. ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, რომელიც ჟანრობრივად არისტოტელურ ტრაგედიათა კლასს მიეკუთვნება, „ამოვარდნილი“, საკუთარ ჟანრთან შედარებით ბევრად მაღალი ზრდის მაჩვენებლით არის წარმოდგენილი:

დიაგრამა 13. განდეგილი (ზრდა: 0.22- საწყისი მაჩვენებლის 59.30%)



თავად ილია ჭავჭავაძის ეს ნაწარმოები 1882 წელს გამოქვეყნდა და თანამედროვეებისაგან კრიტიკის ქარ-ცეცხლი გამოიარა, თუმცა, დროის ქარტეხილებს გაუძლო და მას ახლა ბევრად უფრო ფილოსოფიურად უყურებენ. შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა მიზანს მიაღწია და ისეთი სახე შექმნა, რომელშიც ადამიანის ბუნების მიმართ პოზიტიური განწყობის საკმაოდ ძლიერი იმპულსებია აკუმულირებული.

ბერტოლტ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“. ბერტოლტ ბრეხტის ეპიკური დრამა - „სამგროშიანი ოპერა“ - ინდექსის ზრდის საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით (0.14) არის წარმოდგენილი (მაშინ, როდესაც იგივე ავტორისა და იგივე ჟანრის ნაწარმოები - „კავკასიური ცარცის წრე“ - ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით აღინიშნა):

დიაგრამა 14. სამგროშიანი ოპერა (ზრდა: 0.14 - საწყისი მაჩვენებლის 38.00%)



ეს ნაწარმოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა მე-20 საუკუნეში - განსაკუთრებით კი, მის პირველ ნახევარში, როდესაც მთელ მსოფლიოში დიდი ანტიკაპიტალისტური მოძრაობა იყო აგორებული. ამ პიესის მთავარი გმირი მაკჰითი ანუ „მეკი-დანა“ ცნობილი ლონდონელი ბანკის მძარცველია, რომელიც უბრალო ხალხს ეხმარება, ამიტომაც აქვს ქალაქის ღარიბი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა. ის ბორდელში ცხოვრობს კახპებთან ერთად და მისი საქმიანობა, ბანკების ძარცვა, დიდი სიმპათიით სარგებლობს. ახლა სიტუაცია ამ პიესის მთავარი გმირის მიმართ რადიკალურად შეცვლილია - მსგავსი გმირების წინააღმდეგ ბოლო 30-40 წლის განმავლობაში დიდი პროპაგანდაა. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის „მეკი-დანას“ გმირი, უფრო ისტორიულ ანაქრონიზმად აღიქმება.

9.5 კლასტერული ანალიზი

ინდექსის შემოღებამ საშუალება მოგვცა ხუთი ინდიკატორის საფუძველზე შეგვემუშავებინა ერთი, ზოგადი ხასიათის (ლატენტური, არა ემპირიულად დაკვირვებადი) ინდიკატორი, ინტეგრირებული/კომპლექსური ხასიათის ცვლადი, რომელიც ერთი მხრივ, ითვალისწინებს თითოეული ინდიკატორის მნიშვნელობებს/ცვლილებას, მეორე მხრივ, კი თვისებრივად ახალ ფენომენს წარმოადგენს.

ვინაიდან, საკვლევად შეირჩა 12 ნაწარმოები და ანალიზის შედეგად გამოვლინდა ცალკეულ ნაწარმოებთა შორის არსებული გარკვეული მსგავსება-განსხვავების მიმართებები, მივმართეთ იერარქიული კლასტერული ანალიზის ტექნიკას, რამაც საკვლევ ნაწარმოებთა კლასიფიკაციის/დაჯგუფების შედეგად, საინტერესო დაკვირვებებისა და მოსაზრებების გამოთქმის საშუალება მოგვცა[3]:

დიაგრამა 15. კლასტერული ანალიზი



იერარქიული კლასტერული ანალიზის გამოყენებით. განხორციელდა 5 კლასტერული კლასიფიკაცია. იერარქიზაციის ერთ-ერთ პირობად შეირჩა სტატისტიკური განსხვავება კლასტერთა ინდექსების საშუალო მაჩვენებლებს შორის. მეხუთე დონეზე ეს პირობა სრულდება, მაგრამ მეექვსე დონე აღნიშნულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს:

კლასტერი 1: ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“;

კლასტერი 2: ევრიპიდეს „მედეა“, შექსპირის „მაკბეტი“;

კლასტერი 3: ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“;

[3] ამ შემთხვევაშიც, ცხადია, ვსაუბრობთ, საკვლევი ჯგუფის მასშტაბით გამოვლენილ საინტერესო დაკვირვებებსა და მათ შესაძლო ახსნებზე, შემდგომი კვლევის პერსპექტივის გათვალისწინებით.

კლასტერი 4: სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“, ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“;

კლასტერი 5: ჰომეროსის „ილიადა“, ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ბერტოლტ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თითოეულ კლასტერში გამოვლინდა როგორც კონფლიქტოლოგიური, ასევე ზოგად-ფილოსოფიური ანალოგიები, რომლებიც უაღრესად აქტუალურია საკვლევი საკითხის მრავალ განზომილებაში გააზრებისა და კვლევის შემდგომი განვითარების ორიენტირების გამოყოფის თვალსაზრისით.

კლასტერი 1: ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“. უნდა ითქვას, რომ ორივე ეს ნაწარმოები გამოირჩევა კარგად გამოკვეთილი ჰუმანისტური ორიენტაციით და ორივე ავტორი: ჯორჯ ბერნარდ შოუ და ბეტოლტ ბრეხტი ზუსტადაც რომ „თეატრის რეფორმატორთა“ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელსაც სათავე დაუდო იბსენიზმმა მე-19 საუკუნეში. ამ მიმართულების მთავარი გამორჩეული შტრიხი ისაა, რომ კლასიკური არისტოტელური ტრაგედიისათვის დამახასიათებელი „კატასტროფული დასასრული“ ჩანაცვლებულია „გამოსავლის პოვნით, რომელიც ჰოლივუდის სტანდარტული Happy End-ის ანალოგი კი არ არის, არამედ სოციალური ცვლილების პოზიტიური შედეგების რეალისტურ აღწერას წარმოადგენს. ორივე ამ ამბავში მთავარი გმირი ქალია: გრუშე ვაჩნაძე „კავკასიურ ცარცის წრეში“ და ელაიზა დულიტლი „პიგმალიონში“. ორივე მათგანის ცხოვრება ჯოჯოხეთურ პირობებში იწყება და მიმდინარეობს. სამართალი მათ მხარეს არ არის. იოჰან გალტუნგის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი არიან „სტრუქტურული ძალადობისა“ და „Rank-Disequilibrium“ სიტუაციაში გაჩენილები და აღმოჩენილები. თუმცა, ორივე მათგანი იბრძვის რომ საკუთარი სიყვარული მოიპოვოს და დაამტკიცოს საკუთარი ადამიანობა - სწორედ ეს გამოარჩევს ამ ტიპის “რეფორმირებულ დრამას”. ადამიანის “სწრაფვა ბედნიერებისაკენ” - თომას ჯეფერსონის ეს ცნობილი ფორმულირება - ამ პიესებში საკუთარ განხორციელებას ჰპოვებს. „კავკასიურ ცარცის წრეში“ გრუშე ვაჩნაძე საკუთარი სიყვარულით ამტკიცებს პატარა მიხეილ აბაშვილის დედობრივ სიყვარულს და საბოლოოდ ბავშვი მას და მის საქმროს, სიმონ ჩაჩავას რჩებათ.

მოსამართლე აზდაკი სამართლიან გადაწყვეტილებას იღებს - ის ნამდვილად „აღადგენს სამართალს“, სძლევს ‘ბიოლოგიურ დეტერმინიზმს’ და ბავშვს სწორედ იმ დედას მიაკუთვნებს, რომელსაც ის უფრო მეტად უყვარს და არა იმას, რომელიც მისი ბიოლოგიური დედაა. ბრეხტის ამ ეპოქალურ ნაწარმოებში აგრეთვე დაძლეულია კლასობრივი ბარიერი - ავტორი აჩვენებს, რომ ადამიანს არა აქვს მისჯილი სიღატაკეში, უბედურებაში ცხოვრება თუ მუდმივად წაგებულ მხარეს ყოფნა და ამ ქვეყნად ყველა სიკეთე ეკუთვნის იმას, „ვინც სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს სთესავს“. იგივე ოპტიმიზმი ჩანს ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონში“, სადაც ლონდონის კოკნის გარეუბანში დაბადებულ და გაზრდილ ღატაკ ყვავილების გამყიდველ გოგონას, ელაიზა დულიტლს სოციალურ კიბეზე დაწინაურების პრაქტიკულად არანაირი შანსი არა აქვს, მაგრამ პროფესორი ჰენრი ჰიგინსის საშუალებით ხდება სოციალურ კიბეზე აღმასვლის საოცარი მაგალითის განხორციელება - ელაიზა დულიტლი, შესაბამისი განათლებისა და უნარ-ჩვევების მიღების შემდგომ, ლონდონის მაღალი საზოგადოების წევრი ხდება. ეს სწორედაც რომ ის ოპტიმისტური სცენარია, რომელიც სძლევს არისტოტელური დრამის ფატალიზმს სოციალური ცხოვრების უიმედობის შესახებ. აქ უნდა ითქვას, რომ თითოეული ავტორის მიხედვით, მსოფლიოში არც ერთი სოციალური უსამართლობა არ შეიძლება იყოს გამოუსწორებელი და თუ სოციალური უსამართლობა არის „სტრუქტურული ძალადობა“ და ძალმომრეობის არაპირდაპირი ფორმა, მაშინ არც პირდაპირი ძალადობა არის ადამიანთა ცხოვრების გარდაუვალი, აუცილებელი ნაწილი. სავარაუდოდ, სწორედ ეს შეიძლება იყოს ამ ორი დრამის გამაერთიანებელი ხაზი.

კლასტერი 2: ევრიპიდეს „მედეა“, შექსპირის „მაკბეტი“. ამ ორი ნაწარმოების შემადგენელი ნაწილებია კლასიკური არისტოტელური ტრაგედიები - ერთი მხრივ, უილიამ შექსპირის „მაკბეტი“, რომელიც მისი ერთ-ერთი ყველაზე პესიმისტური ნაწარმოებია და, მეორე მხრივ, ევრიპიდეს „მედეა“, რომელიც აგრეთვე „ადამიანის ბუნების“ დამახასიათებელ ერთ-ერთ ყველაზე პესიმისტურ ნიმუშს წარმოადგენს. მაკბეტისა და მისი მეუღლის გამორჩეულად პარანოიდული დამოკიდებულება მათი გარემომცველი სამყაროს მიმართ და აგრეთვე გამორჩეული „ძალაუფლების წყურვილი“ მათ პირდაპირ რაინჰოლდ ნიბურის ან მაკიაველის ფილოსოფიური ნაშრომების ლიტერატურულ ანალოგებად აქცევს. ევრიპიდეს „მედეას“ შემთხვევაში,

საქმე არ გვაქვს პარანოიასთან ან ძალაუფლების წყურვილთან - აქ ბევრად უფრო ადამიანური ფაქტორი ფიგურირებს კოლხეთის მეფე აიეტის ქალიშვილის „გახელების“ მიღმა. ეს არის სიყვარული, რომელსაც მან საკუთარი სამშობლო, ძმა და მამასთან ურთიერთობა შესწირა. მედეამ, „სხვისი“/“უცხოს“ სიყვარულისთვის ყველაზე საკრალური დათმო, რითაც ადამიანური ბედნიერებისაკენ მიისწრაფვოდა. თუმცა, ევრიპიდეს „მედეას“ ეპოქაში უკვე პატრიარქატი მკვიდრდება და იასონი ამას ანგარებიანად იყენებს, რაც მედეას განრისხებას იწვევს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შექსპირის „მაკბეტსა“ და ევრიპიდეს „მედეას“ ავტორებს მაღალი ოსტატობით გადმოცემული, ადამიანის სულის მეტად დაბალი შეფასება აერთიანებს.

კლასტერი 3: ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“.

მესამე კლასტერში ორი ჰეროიკული ტრაგედია ხვდება ერთმანეთს და ორივეს მთავარი გმირი კავკასიის მთებშია გადახვეწილი ან მიჯაჭვული. თითოეული მათგანი ცდილობს, რომ ცხოვრების ჰუმანურ გზას მისდიოს. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ორივე მთაშია გასული ან მთასთან მიჯაჭვული. ეს მათ საშუალებას აძლევს, პირდაპირი დიალოგი აწარმოონ ტრანსცენდენტურ საწყისთან. თითოეული მათგანი არღვევს გარკვეულ წესს - წინააღმდეგობაში შედის ღმერთის მიერ დადგენილ დოგმებთან და, ცხადია, ისჯება. მაგრამ, საგულისხმოა, რომ ისინი თითქოს სწორედ ამ წინააღმდეგობის გამო, აუდიტორიის სიმპათიას იმსახურებენ, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ სითბოს, სიყვარულსა და სინაზეს დიდ ღირებულებებად აღიქვამენ და საბოლოოდ ამას ეწირებიან.

კლასტერი 4: სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“, ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“. ჟანრობრივი და ეპოქალური განსხვავებების მიუხედავად, ამ ორი პოპულარული ნაწარმოების ერთ კლასტერში გაერთიანების საფუძველს, სავარაუდოდ, წარმოადგენს კრიტიკული დამოკიდებულება გარემოს მიმართ, რაც პიროვნულ ტრაგედიას ან კატასტროფას კი არა, არამედ, პირიქით, რაიმე ფორმით - იქნება ეს სემუელ ბეკეტის მძიმე სარკაზმი, თუ ჰენრიკ იბსენის უფრო კონკრეტულ ქმედებებზე ორიენტირებული მწვავე კრიტიკა - გარემოზე ზემოქმედების მისწრაფებას უკავშირდება.

კლასტერი 5: ჰომეროსის „ილიადა“, ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ბერტოლტ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“. პირველ

რიგში, აღსანიშნავია, რომ ამ კლასტერში გაერთიანებულია მსოფლიო ლიტერატურისა და დრამატურგიის ოთხი გამორჩეული ნაწარმოები, მაგრამ, ორი მათგანი - ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და ჰომეროსის „ილიადა“ საკვლევ ნაწარმოებთა მთელი სპექტრის გათვალისწინებით, მშვიდობიანი განწყობის ინდექსის მიხედვით, ერთმანეთთან მაქსიმალური მსგავსებით გამოირჩევა.

კლასტერში გაერთიანებული ნაწარმოებების საერთო თემას „მოსისხლე“ მტერთა შერიგება ან, პირიქით, მოყვარეთა „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ გადამტერება წარმოადგენს.

სამ ტრაგედიასთან ერთად ამ კლასტერში ბერტოლტ ბრეხტის ცნობილი ეპიკური დრამის „სამგროშიანი ოპერის“ შესვლა ერთი შეხედვით, პარადოქსულად მოჩანს, რადგან მეკი დანა და ჯეკი „ტაიგერ“ ბრაუნი, ინდივიდის/პიროვნულ დონეზე არც შერიგებული მტრები არიან და არც გადამტერებული მეგობრები - მათ ჯარიდან მოყოლებული, „სანიმუშო“ მეგობრობა აკავშირებთ, თუმცა, ეს რეალობა სრულიად განსხვავებულ რაკურსში წარმოგვიდგება იმის ფონზე, რომ თავიანთი სოციალური სტატუსებით ისინი **რადიკალური ურთიერთადპირისპირების სუბიექტებს** (დამნაშევეს/კრიმინალსა და სამართალდამცავს) წარმოადგენენ.

რაც შეეხება ჰომეროსის „ილიადასა“ და ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“, ამ ორ უდიდეს ნაწარმოებს ნამდვილად ბევრი აქვთ საერთო. ისევე, როგორც ტროას მეფე პრიამოსი და მირმიდონელი გმირი აქილევსი ერთმანეთის მტრები არიან ომში, ქისტი ჯოყოლა და ხევსური ზვიადაურიც დაპირისპირებულ ბანაკებს ეკუთვნიან. თანამედროვე მეინსტრიმული მედიის დისკურსში ამ მოვლენას „პოლარიზებულ მხარეთა დაახლოების პროცესს“ უწოდებენ. აქაველების ლაშქართან ერთად მყოფი აქილევსი ტროას მეფის შვილის, გმირი ჰექტორის მკვლელია, ხევსური ზვიადაური კი - ქისტი ჯოყოლას ძმის მკვლელი. მიუხედავად ამისა, ეს ადამიანები ერთმანეთს ენით აღუწერელი ემოციისა და ემპათიის წყალობით, თანაგრძნობითა და პატივისცემით ესაუბრებიან. მათი საქციელი, ტრადიციული პატრიარქალურ-მილიტარისტული კულტურის პირობებში, სრულიად ექსტრაორდინარულია, მაგრამ ორივე ავტორის გენიალურობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ადამიანური სიყვარულისა და თანაგრძნობის წყალობით მოსისხლე მტრები ერთმანეთს ადამიანურად ეპყრობიან და ამ ურთიერთობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ.

თავი 10. თვისებრივი კვლევა: ფოკუს-ჯგუფები

თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ექსპერიმენტის შედეგების გააზრება არგუმენტთა და მოტივაციათა კონტექსტში.

ფოკუსირებული დისკუსიის პროცესში რესპონდენტებს მიეცათ საკვლევ დებულებებზე **სიღრმისეულად და კრიტიკულად** კონცენტრირების საშუალება.

ერთი ფოკუს-ჯგუფი კონცენტრირებული იყო კვლევისთვის შერჩეულ ერთ ნაწარმოებზე. შესაბამისად, სულ ჩატარდა 12 ფოკუს-ჯგუფი.

პირველი ორი ფოკუს-ჯგუფის შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენდა ექსეპრიმენტის მონაწილეთა სია, მესამე ფოკუს-ჯგუფიდან დაწყებული, ხდებოდა შერჩევის ჩარჩოს ეტაპობრივი კორექტირება იმ მონაწილეთა ამოღებით, რომელთაც უკვე ორ ფოკუს-ჯგუფში მიიღეს მონაწილეობა. ასეთმა მიდგომამ საშუალება მოგვცა თვისებრივ კვლევაში ჩაგვერთო ექსპერიმენტის მონაწილეთა რაც შეიძლება დიდი ნაწილი.

ფოკუს-ჯგუფების მოცულობა განისაზღვრა 8-10 რესპონდენტით.

თვისებრივი კვლევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო (იხ. დანართი N1), რომელიც შედგებოდა შესავლის, 5 ძირითადი ნაწილისა და დასკვნისგან. სახელმძღვანელოს 5 ძირითადი ნაწილიდან თითოეული შეესაბამებოდა 5 დებულებას, რომელზეც ფოკუსირებული იყო ექსპერიმენტი და შეიცავდა როგორც დებულებათა ხელახალ შეფასებებს, ისე - მათ არგუმენტაციას. დასკვნით ნაწილში რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ დაემატებინათ ინფორმაცია, დაეზუსტებინათ საკუთარი პოზიცია ან არგუმენტაცია, ემსჯელათ ისეთ ასპექტებზე, რომლებსაც მნიშვნელოვნად თვლიდნენ, მაგრამ მათი აზრით, დისკუსიის ფოკუსში არ მოექცა.

ფოკუს-ჯგუფების ხანგრძლივობის დიაპაზონს წარმოადგენდა 2-2.5 საათი.

კვლევის ამ ფაზის უმთავრეს მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

საკვლევ ნაწარმოებთა განსხვავებული აღქმისა და შეფასებების მიუხედავად, **ადამიანის ბუნების შესახებ ანტიმაკიაველისტური და მშვიდობიანი-თანაარსებობისაკენ მიმართული განწყობა გამოიკვეთა,** რაც მხარს უჭერს ჰიპოთეზას, რომ დრამატული ნაწარმოები აძლიერებს პოზიტიურ რწმენას ადამიანის ბუნებისა და კეთილი ნების, როგორც სწორი გზისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ორიენტირის მიმართ.

თვისებრივი კვლევის შედეგები, ძირითადად, ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის შედეგების ჰიპოთეტურ ახსნებს ადასტურებს - თითოეული საკვლევი ნაწარმოები აღიქმება და გაიაზრება კომპლექსურად, როგორც ჟანრობრივ, ისე სოციო-კულტურულ ღირებულებათა თუ ავტორის მსოფლმხედველობრივ და ინდივიდუალურ მახასიათებელთა კონტექსტში: ფოკუსირებული დისკუსიისას რესპონდენტთა მსჯელობაში ფიგურირებს ნაწარმოების ლიტერატურული ღირებულება, თემატური თუ სიუჟეტური მრავალფეროვნება, მოქმედ პირთა ფართო სპექტრი (და არა მხოლოდ მთავარი გმირები), მხატვრული სახეებისა და სხვა ლიტერატურული ხერხების დიდი დიაპაზონი, ავტორთა მსოფლმხედველობრივი პოზიცია თუ ინდივიდუალური თავისებურებები რესპონდენტთა სოციო-კულტურული და პიროვნული მახასიათებლები, რაც შემდგომი კვლევების პერსპექტივებს გამოკვეთს.

იმის მიუხედავად, რომ კვლევა ფოკუსირებული იყო ოთხი ძირითადი პარადიგმის (რეალ-პოლიტიკა, იდეალ-პოლიტიკა, მარქსიზმი და არამარქსისტული რადიკალური აზროვნება) რელევანტურ დებულებებზე, რაც თითოეული საკვლევი ნაწარმოების სპეციფიკის (ავტორი, დრო, ეპოქა, სიუჟეტი, გმირები, მხატვრული ხერხები და ა. შ.) საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო, რესპონდენტთა მსჯელობაში მხატვრულ-კრიტიკული, ანალიტიკური და ფაქტობრივი არგუმენტაციის პარალელურად, გამოიკვეთა თვითონ რესპონდენტთა განცდები, გრძნობები, ემოციები, როგორც დებულებათა შეფასების - პარადიგმათა მიმართ განწყობის მაფორმირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. შესაბამისად, თვისებრივი კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს იმ ემოციების, განცდების, გრძნობების დეტალიზებული და სიღრმისეული კვლევის მიზანშეწონილობა, რასაც მხატვრული ნაწარმოები ადამიანში იწვევს

10.1 ჰომეროსის „ილიადა“

ჰომეროსის „ილიადას“ ძირითად სიუჟეტს ომი და მისი შედეგები წარმოადგენს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ნაწარმოების აღქმა მძაფრ, თანაც, ურთერთსაპირისპირო ემოციებს უკავშირდებოდა, რაც გამოიკვეთა კიდეც დისკუსიის პროცესში. ზოგ

შემთხვევაში, რესპონდენტები „ილიადას“ შინაარსს სცდებოდნენ და ტროას მითოლოგიურ ფორმულაზეც გადადიოდნენ:

„ოლიმპოს ღმერთები ხშირად უსამართლობას სჩადიოდნენ. „ილიადას“ მიხედვით, ჩემი გადმოსახედიდან, ადამიანის ბუნება ბოროტია, ყველა პერსონაჟში ვხედავ ბოროტებას, რომელიც თითქოსდა დაბადებიდან მოჰყვებათ. ისინი არც კი ეძებენ კარგ და სწორ გამოსავალს, პირდაპირ მოქმედებენ და არ ფიქრობენ რა შეიძლება მოჰყვეს ამ ქცევებს. განვითარებული მოვლენები კი აშკარად გვიჩვენებს, რომ ძალადობა გარდაუვალი იყო არსებულ სიტუაციაში, რადგანაც როგორც ვახსენე, მათი ბუნება ბოროტებით არის სავსე და თითქოს სხვანაირად ვერც წარმოუდგენიათ. ***ქალღმერთებსა და მოკვდავებს შორის თითქოს მშვიდობიანი ურთიერთობაა, ისინი ერთად აღნიშნავენ ქორწილს და შთაბეჭდილება იქმნება თითქოს მათ შორის ყველაფერი კარგადაა, თუმცა, მალევე ვამჩნევთ რომ თანასწორი ურთიერთობა არ აქვთ და მშვიდობიანი ურთიერთობა მათთვის ძნელი მისაღწევია, მაქსიმალური რაც შუძლიათ, არის მოჩვენებითი მშვიდობა.*** *(მარიამი, 21 წ).*

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასეთი რადიკალური შეფასების მიუხედავად, ამ რესპონდენტის ზოგადი განწყობა, სავარაუდოდ, მთლიანად არ ექცევა ნეგატიური და ერთგვარად დამთრგუნველი ზეგავლენის ქვეშ, რადგან იგი უნივერსალიზებას არ ახდენს და ადამიანებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას მაინც არ გამორიცხავს:

ამ ნაწარმოებში არ ჩანს არც თავისუფლება და არც თანასწორობა, რომელსაც შეუძლია მოუტანოს მშვიდობა, სწორედ ამიტომ ხდება ომი გარდაუვალი (მარიამი, 21 წ).

ზოგადად, „ილიადას“ მიმართ რესპონდენტთა უმრავლესობის დამოკიდებულება არაერთმნიშვნელოვანია - შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ბუნების გააზრებისას ამ გენიალური ნაწარმოების პერსონაჟთა თუ სიუჯეტურ მრავალფეროვნებაში როგორც პოზიტიურ, ისე - ნეგატიურ არგუმენტებს ერთნაირი წარმატებით პოულობენ:

*„**გამიჭირდება ერთი კონკრეტული პასუხი გავცე კითხვაზე: ადამიანის ბუნება ბოროტია თუ არა?!** ამიტომ არც ვეთანხმები და არც არ ვეთანხმები. **ამის საშუალებას არ მაძლევენ თვითონ ნაწარმოების პერსონაჟები.** არიან ისეთებიც რომ ცხოვრებაშივე გაიაზრეს კეთილისა და ბოროტის არსი, გაუჩნდათ სინანულისა და შემწყნარებლობის შეგრძნებები. ასეთია აქილევსი, ჰექტორი . ისინი გარემოებებისა და დროის მსხვერპლნი არიან, მათ გააჩნიათ ძალიან დიდი სინანულის შეგრძნება ყველა იმ ადამიანის მიმართ ვინც კი მოუკლავთ, ყოველ ღამე მათი სახეები ეცხადებათ... ჰექტორი როდესაც კლავს აქილევსის ბიძაშვილს სრულიად შემთხვევით, მისი განცდები ზენიტში ადის , 12 დღიან გლოვის დღეს გამოაცხადებს ტროას მასშტაბით. აღსანიშნავია აქილევსის გრძნობები ჰექტორის ბიძაშვილის მიმართ. როგორ უყვარდება ქალი, პირველად თავისი სიცოცხლის მანძილზე , როგორ იბრძოლებს სიცოცხლის ბოლო წუთამდე მის გადასარჩენად. ბოლოს კი ის გენიალური მომენტი, როდესაც პრიამოსი მიდის აქილევსთან თავისი შვილის შეურაცხყოფილი გვამის გამოსათხოვად, რათა პატივი მიაგოს საბოლოოდ და გააცილოს ღმერთებთან. ამ მოხუცი ბრძენი კაცის საქციელი რომელიც იყო გმირობა და ის გენიალური სიტყვები ჰექტორისადმი მიძღვნილი... **სწორედ ეს პერსონაჟები არ მაძლევენ საშუალებას, ვთქვა, რომ ადამიანის ბუნება არის ბოროტი, <u>რადგან ისინი ჩემში იწვევენ თანაგრძნობას, მოწონებას, დადებით გრძნობებს</u>** (თამარი, 20 წ).*

მაგრამ, იგივე რესპონდენტი, ამავე ნაწარმოებში პოულობს არგუმენტებს ომისა და ძალმომრეობის გარდაუვალობასთან დაკავშირებით:

*„ამ ნაწარმოების მიხედვით როგორ შეიძლება არ ვთქვა, რომ **ომი და ძალმომრეობა გარდაუვალია.** ამისთვის უამრავი **მიზეზი** გამოიძებნა, პროვოკაცია, სიცბიერე. დასასრულისკენ წასული ომი ხელახლა ცოცხლდებოდა, ამისი მიზეზები იყო ელენეს გატაცება, აგამემნონის პირადი ზრახვები, აქილევსის ბიძაშვილის სიკვდილი და სიცბიერე. ტროა უკვე ზეიმობდა გამარჯვებას რომ **უცაბედი უბედურება** დაატყდა თავს, ციხე შიგნიდან გატყდა, გარედან ვერაფერი დააკლეს. ეს მიზეზები, რაც ვიცით მითებიდან და რაც ჩვენამდე არ მოღწეულა ეს უკვე ცალკე საკითხია. ომი კლავდა უამრავ ბავშვს, ქალს, ღირსეულ ვაჟკაცს, ასეთები იყვნენ აქილევსი და ჰექტორი“ (თამარი, 20 წ).*

ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ამ ციტატაში უკვე კარგად იკვეთება რესპონდენტის პროტესტი მთლიანად „ომის მანქანის ღმერთის“ მიერ აწყობილი სისტემის მიმართ. ის სტრუქტურულად აფასებს „ილიადაში“ გადმოცემულ მოვლენებს და ცდილობს მონახოს მიზეზი სწორედაც რომ ომის ინდუსტრიის „სტრუქტურულ ძალადობაში“ - თუმცა პოზიტიურ გამოსავალს ვერ პოულობს და ცდილობს გარკვეული ახსნა მოუძებნოს ამ „გარდაუვალობას“, რომელსაც **„უცაბედ უბედურებად“** აღიქვამს.

ლოგიკურია, რომ გამოიკვეთა განსაკუთრებული ემოციური ბმა პრიამოსისა და აქილევსის დიალოგთან და, ამ შემთხვევაშიც, ჰომეროსის გენია მრავალფეროვანი იმპულსების წყაროს წარმოადგენს - ერთი მხრივ, სპექტატორი ხედავს, თუ რამდენად შეუძლია ამაღლდეს ადამიანი ბოროტებასა და ძალმომრეობაზე, მეორე მხრივ, ჩნდება კითხვა იმის შესახებ, რამდენად შეიძლება ეს განიხილებოდეს, როგორც უკვე ჩადენილი სისასტიკისა და დესტრუქციული ქმედებების შედეგების კომპენსაცია:

„ამ ნაწარმოების თითქმის ყველა გმირი გვეხატები კარგი თვისებით, ვაჟკაცები და ნამდვილი მეომრები არიან. აქილევსიც და ჰექტორიც, ორი მთავარი გმირი, ადამიანისთვის საჭირო თვისებებით არიან შემკულნი და იმის თქმა რომ მათი ბუნება ბოროტია შეუძლებელია. მიუხედავად იმისა რომ ერთმანეთის მტრები არიან პატივისცემას ერთმანეთის მიმართ მაინც გრძნობენ და აფასებენ ვაჟკაცურ ქცევას. <u>შეუძლებელია, მათი საქციელით არ აღფრთოვანდე</u> (თეონა, 21 წ).

„შეგვიძლია აქილევსის, პრიამოსის, ჰექტორისა და სხვა პერსონაჟების ქმედებები გარკვეულ იდეალიზმსაც დავუკავშიროთ, ვინაიდან სავარუდოა, რომ მათში ბოროტება ნაკლებადაა, მეტიც, მათში კეთილშობილება ჭარბობს“ (თათია, 23 წ).

„საინტერესოა რომ ღამით კარავში ჰექტორის მამა პრიამოსი მივა აქილევსთან და მუხლებზე დაჩოქებული შესთხოვს ცხედრის დაბრუნებას, რათა პატივი მიაგოს ჰექტორის ხსოვნას. აქილევსი ამ თხოვნას შეასრულებს. ბრძოლა რაც არ უნდა სასტიკი იყოს, აქილევსმა მაინც გამოხატა თანაგრძნობა. ***დიდ კონფლიქტებში და ბრძოლებშიაც ავლენენ ადამიანურ სინატიფეს ადამიანები. მაგრამ ეს საკმარისია იმ სისასტიკის გამოსასყიდად რაც ჩაუდენიათ?*** *აქედან*

*გამომდინარე, **ვფიქრობ რომ ადანიაში შეიძლება იყოს ბოროტი და კეთილი საწყისები: მაგრამ რომელი სძლევს ეს უკვე გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული** (გუგა, 19 წ).*

საბოლოო ჯამში, თამამად შეიძლება ითქვას რომ ჰომეროსის „ილიადამ“ თავის იმპაქტით უფრო ტრაგედიისათვის დამახასიათებელი „კათარზისის“ ელემენტი შემოიტანა, ვიდრე - ეპოსის ბოლოსთვის სასურველი კმაყოფილება. როგორც უკვე ითქვა, არისტოტელე ამ ნაწარმოებს უფრო ტრაგედიის ნიმუშებს მიაკუთვნებდა, ვიდრე ეპოსისა. რისმაგ გორდეზიანის ნაშრომში კარგად ჩანს, რომ არამილიტარისტული მინოსური კულტურის ნარჩენები არათუ არქაულ და ანტიკურ ხანაში, არამედ დღემდეც არის შემორჩენილი. პარალელების გავლება შეიძლება ვაჟა ფშაველას, შექსპირის, და სხვა უფრო თანამედროვე ავტორების ნაწარმოებებთანაც. თუმცა, აქვე შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჰომეროსის ნაწარმოები უნიკალურ შთაბეჭდილებას ახდენს. ის ეპიკური დრამისა და ტრაგედიის ზღვარზე მდგომი ნაწარმოებია, რომლის ჟანრის ამომწურავად განსაზღვრა დღემდე შეუძლებელია. ძალმომრეობის გარდუვალობისა თუ ადამიანის ბუნების საკითხში ამ ნაწარმოების გავლენა მეტად საინტერესოა: ერთი მხრივ, ღმერთების დირიჟორობით და აგამემნონის საქციელით აღშფოთებული, მეორეს მხრივ კი, პრიამოსისა და აქილევსის მსგავსად, ჰექტორის ბედზე მომტირალი სპექტატორი ვერ წყვეტს ნამდვილად ბოროტია თუ არა ადამიანის ბუნება და ნადვილად გარდაუვალია თუ არა ტროას ომი?

10.2 ესქილეს “მიჯაჭვული პრომეთე”

შეიძლება ითქვას, რომ ესქილეს მიერ დამკვიდრებული ფორმულა “პათემატა მათემატა” კარგად ასახავს იმ მდგომარეობას, რომლის ზემოქმედების ქვეშაც მოექცა რესპონდენტთა დიდი ნაწილი. ამასთან, ტიტანისა და ღმერთის დავისას ისინი უფრო ადამიანის მხარეს იჭერენ, ვიდრე - დეისტური საწყისისას. ეს მეტად საგულისხმო ფაქტორია - განსაკუთრებით 21-ე საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც მსოფლიოში ფუნდამენტალისტური ტალღა მძვინვარებს. ამ პერიოდში, ესქილეს დრამა აღვიძებს ძლიერ სეკულარულ გრძნობებს - იგი პირველი დრამატურგია ისტორიაში, რომელიც „ეპიკური დრამის“ მაგვარ ინსტიქტებს აღძრავს. მისი ადამიანი-გმირი არის ყოველთვის იმის შემძლე, რომ არსებული რეალობა შეცვალოს.

პრომეთე ამ ადამიანი-გმირის პირველი მაგალითია - შეიძლება ითქვას, რომ „გილგამეშის ეპოსის“ შემდგომ ადამიანი ცდილობს, შეცვალოს ბედისწერა - არ ემორჩილება ღმერთ-კაცის ნებას, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს უსამართლობა, ძალმომრეობა და მათს შორის ქალების ჩაგვრა დაამკვიდროს დედამიწაზე. *„ბავშვი არ ხარ და ბავშვზე უფრო უგუნური, თუკი მოელი, რომ რამეს გაიგებ ჩემგან? არ არსებობს არც წამება და არც რამ ცბიერება, რომლითაც ზევსი დამარწმუნებს და რამეს მათქმევინებს, სანამ ეს მავნე ბორკილები არ მომშორდება. ამას გარდა, დაე, ტყორცნოს კვამლიანი ალი, თეთრფრთიანი ფიფქითა და ჭექა-ქუხილით დედამიწა შეძრას და დააქციოს, მაინც ვერ მაიძულებს ვთქვა, ვინ იქნება მისი ძალაუფლების წამრთმევი“ (ესქილე,2020).*

> *„მიჯაჭვული პრომეთეს განხილვისას ადამიანის ბუნების ბოროტებას ვერც უარვყოფ და ვერც ვეთანხმები. ერთის მხრივ, პრომეთე ხალხის მხარეს იჭერს, რაც ნამდვილად დასაფასებელია, მაგრამ ეს ხდება მოტყუების გზით, რასაც სწორ გზად ვერ მივიჩნევ. <u>ტყუილით მიზნის მიღწევა ამაზრზენია.</u> ზევსის რისხვა კი მოსალოდნელი იყო, ამიტომ ადრე თუ გვიან ძალმომრეობა გარდაუვალი იყო. არსებულ სიტუაციაში, არ შემიძლია ერთხმად გავამართლო პრომეთეს საქციელი. მას შეეძლო ეპოვა გზა, რათა სასურველი მიზნისათვის მიეღწია, თუმცა, მან ერთის მხრივ, გამოიწვია მისდამი დიდი პატივისცემა და სიყვარული საზოგადოების მხრიდან და ის ხალხისთვის გმირი გახდა, რომელიც მათ ინტერესებს იცავდა - ღმერთების ხელში კი მათ ეს ფუფუნება ვერ ექნებოდათ. ხალხს არ ჰქონდა მშვიდობიანი და თანასწორი ურთიერთობა ღმერთებთან და მსგავსი ქმედებისას მათგან ძალადობა გარდაუვალი იყო, მათ ხელში იყო ძალაუფლება და თავისუფალი ნება ვერ ექნებოდათ უბრალო მოკვდავებს. იქ, სადაც არცერთი არ არის, ვერც მშვიდობა იქნება (ელენე, 22 წ).*

მეტად საინტერესო დამოკიდებულება იკვეთება აქ პრომეთეს ქმედებების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა ნაწილი არ არის გამოკვეთილი პაციფისტი ან ფემინისტი, უფრო მეტიც, მეტწილად ზომიერად კონსერვატიული განწყობის გამომხატველია - ამ პიესის გაცნობის შემდეგ ისინი გამოხატავენ საკუთარ პოზიციას პრომეთეს დასაცავად. ეს, ამავე დროს, იოს დაცვაც არის. ზევსის მიერ იოს

დევნა და მისი დამორჩილების მცდელობებიც არ არის პოზიტიურად შეფასებული. როგორც ზევსის ძალმომრეობას გამოქცეული იო ამბობს:

„ოჰ, ოჰ, ვაიმე! ისევ მწვავე ტკივილი და ჭკუიდან შემშლელი სიგიჟე მაცხელებს, ბუზანკლის ნესტარი უცეცხლოდ მწვავს; გული კი შიშით მკერდში ბორგავს. თვალები ირგვლივ ტრიალებენ, გზიდან მაგდებს სიგიჟის მძვინვარე ქარი, ენა არ მემორჩილება, არეული სიტყვები კი ეხეთქებიან საზარელი უბედურების ტალღებს.“ (ესქილე, 1978).

ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ იოს ეს სიტყვები ნათლად ასახავს დღეს ბირთვული კატასტროფის საშიშროების წინაშე მყოფი ბევრი ადამიანის, განსაკუთრებით კი, ქალის ფიქრებს:

„იო რასაც ამბობს, დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე იარაღმა კაცობრიობა შეიძლება საერთოდ გაანადგუროს. შეირაღებული კონფლიქტებითა და ტერაქტებით კი, განსაკუთრებით, ქალები ზარალდებიან, შეუძლებელია, <u>ამან პროტესტი და თანაგრძნობა არ გამოიწვიოს ადამიანში“</u> (ელენე, 20 წ).

რაც შეეხება პრომეთეს, მისი დახასიათება მრავალმხრივად ხდება:

„მთავარი პერსონაჟი პრომეთე უკომპრომისო და მამაცია, მას ასე დავახასიათებდი. ადამიანის ბუნება არ არის ბოროტი, პრომეთე მაძლევს სწორედ ასე ფიქრის საშუალებას. იგი დაუპირისპირდა ტირანს, არ უღალატა თავის პრინციპებს, არ დანებდა, არ გახდა ბოროტი, მისი ბუნება თავისუფლებისკენ და პროგრესისკენ იყო მიმართული. ღმერთებს მოპარა ცეცხლი და დედამიწაზე ჩაიტანა. ცეცხლი წარმოშობს სინათლეს, სინათლე კი იგივე განათლებაა. ფაქტობრივად მთელს კაცობრიობას მისცა განათლება, გამოიყვანა დღის შუქზე იმ გამოქვაბულიდან რასაც ერქვა უმეცრება, მონობა. <u>პრომეთე ჩემში მოწონებასაც იწვევს და მიბაძვის სურვილსაც“</u> (ნინი, 21 წ).

ფოკუს-ჯგუფის ზოგიერთი წევრის აზრით კი:

„პრომეთე უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ ხელოვნების, არამედ, პრაქტიკულად, ბიოლოგიის, ქიმის და მეტალურგიის კი მამადაც კი და ამის გამო ის ისჯება (გოგა, 22 წ).

იგრძნობოდა ისიც, რომ დისკუსიის პროცესში პრომეთეს მაგალითზე ფოკუსირება იმ წევრებზეც ახდენდა დადებით გავლენას, რომლებიც თავიდან უფრო ძალმომრეობის გარდაუვალობისაკენ იხრებოდნენ - ისინი იმდენად სწორხაზოვნად აღარ აღიქვამდნენ ძალმომრეობის ფაქტორს:

„ზევსი პრომეთეს საქციელით განრისხდა და ადამიანებს ცეცხლი წაართვა. მაგრამ პრომეთე არ შეუშინდა ზევსს: ავიდა ოლიმპოზე დაწნული ლერწმით ცეცხლი ჩამოიტანა, გადასცა ხალხს და მისი შენახვა ასწავლა. ამ ამბით ზევსი მეტად განრისხდა და პრომეთე კავკასიის ერთ-ერთ კლდეს მიაჯაჭვა. ეს იყო მისი დანაშაულის საზღაური. მიჯაჭვულ პრომეთეს ყოველდღე აკითხავდა არწივი და ღვიძლს უძიძგნიდა. დრამატული ეპოსი გამოირჩევა თავისი სისასტიკით. შინაარსი, რომელიც გვხვდება ადამიანის ბუნებას ეხმიანება: რადგან ხალხისთვის გაღებული სიკეთე, ქედმაღლობისგან დასჯადი ხდება, მაგრამ მისი მიზანი - რომ ადამიანებს ცეცხლი ჰქონდეთ მაინც მიღწეულია და ამ გაგებით, ზევსის ძალადობას შურისძიების მეტი არაფერი მოაქვს. შეიძლება ითქვას, რომ პრომეთე იმარჯვებს, რადგან ყველაფერი იმით მთავრდება, როგორც მას უნდოდა - ადამიანებს რჩებათ ცეცხლი (ნუგზარი, 21 წ).

როგორც რესპონდენტები აღნიშნავდნენ:

„უკანასკნელი 3 ათასწლეულის ისტორიული მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ გაბატონებულია სამხედრო-ინდუსტრიული წესრიგი და პრომეთეს ჩამოსვლის ხანა ჯერ კიდევ არ დამდგარა, თუმცა, შეიარაღების დონისა და ადამიანების მასობრივი განადგურების საშიშროების კატასტროფული ზრდა ძირეული ცვლილებების აუცილებლობაზე მიუთითებს“ (ლევანი, 21 წ)

ამ განწყობას ის ფაქტორიც გამოკვეთს, რომ ესქილეს "მიჯაჭვული პრომეთეს" იდეალისტური და კეთილშობილური ელემენტები რესპონდენტთა განსაკუთრებული ფოკუსირების ობიექტი გახდა:

„ოკეანიდები ნამდვილი იდეალიზმის მაგალითები არიან, რადგან ისინი სავსე არიან კეთილშობილებით და მაშინაც არ ტოვებენ პრომეთეს, როდესაც იციან შეიძლება ზევსის რისხვა მათაც დაატყდეთ" (ინგა, 22 წ).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, მთლიანობაში, ფოკუს-ჯგუფის წევრების განწყობა "მიჯაჭვული პრომეთეს" გაცნობის შემდეგ ბევრად უფრო იდეალისტური გახდა, ვიდრე მათი "ტაბულა რასა". ყოველდღიური მეინსტრიმ-მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ბევრად უფრო პესიმისტურად მოჩანს მათთვის, ვიდრე ეს პრომეთეული სულია. ამიტომაც, ესქილეს მიერ შექმნილი ეს გმირი, მათთვის მითო-პოეტური ისტორიის ნათელი მაგალითია. ის აღვიძებს იმედს იმისა, რომ "კოლექტიური ძალმომრეობა სულაც არ არის გარდაუვალი აუცილებლობა" ადამიანებს შორის:

„საერთაშორისო კონფლიქტები უფრო ადამიანური შეცდომისა და წინდაუხედაობის ნაყოფია, ვიდრე ადამიანის ბუნებაში ჩადებული „ბოროტი ბუნებისა (თამარი, 20 წ).

10.3 სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"

სოფოკლეს ამ ეპოქალურ ქმნილებას არისტოტელე თავისი დროის "უდიდეს ტრაგედიად" მოიხსენიებს. უნდა ითქვა რომ, ოიდიპოს მეფის თემაზე უამრავი მხატვრული და მეცნიერული ნაწარმოები შეიქმნა. დოქტორ რისმაგ გორდეზიანის კლასიფიკაციის მიხედვით, ოიდიპოს მეფისა და მისი შვილების ცხოვრების ტრაგიკულ მოვლენებს რეალური თებეს პირობებში ადგილი ჰქონდა დახლოებით ძველი წელთაღრიცხვით მე-13 და მე-12 საუკუნეების მიჯნაზე. უნდა ითქვას, რომ ეს მიკენური ცივილიზაციის შუა ხნის პერიოდია, როდესაც მათ შორის, ქალაქ თებეშიც მყარად მკვიდრდება მილიტარისტული ორგანიზებული ძალადობის სახელმწიფო წესრიგი და სოფოკლეს ტრაგედია ამ წესრიგის დამყარების მისეულ ხედვას აღწერს.

არათუ ოიდიპოს მეფის, არამედ მთელი ამ ქალაქის ბედი "დაწყევლილია" სწორედ იმ "წარმატებისა" და "დიდების" გამო, რომელიც ძალმომრეობას მოაქვს მის თანმხვედრ ინცესტთან ერთად. მეტად საინტერესოა, რომ სოფოკლე თავის გენიალურ ქმნილებაში ძალმომრეობასა და ინცესტს პრაქტიკულად ერთმანეთს უთანაბრებს.

„მოცემულ ამბავში ადამიანის ბუნება ბოროტად არ მეჩვენება, <u>უფრო თანავუგრძნობ</u> რაც მოხდა, ნამდვილად ცუდია, რაღაც მხრივ არა სასიამოვნოც და ყველა მომხდარი მოვლენა მთლიანად ერთ არასწორ არჩევანზეა მიბმული, თუმცა, თავიდანვე ეს ბოროტი განზრახვით არ მომხდარა. არასწორმა არჩევანმა ბედის არასწორ განვითარებაზე იქონია დიდი გავლენა. ერთი არჩევანიც რომ სხვანაირად გაეკეთებინათ, ისტორია სრულიად შიცვლებოდა, ყველაზე სწორი არჩევანი კი იქნებოდა წინასწარმეტყველობის გაუთვალისწინებლობა და ბავშვის აღზრდა ოჯახში, თუმცა, გათვალისწინებამ შეძლო სწორედ მისი ზედმიწევნით განხორციელება. სწორედ ამ არჩევანის შემდეგ გახდა ეს ძალმომრეობა გარდაუვალი, ყველაფერი სულ სხვაგვარად დატრიალდა და მამის მოკვლა იოლი იყო ადამიანისთვის, რომელმაც არ იცოდა ვინ იყო ის და მისთვის არაფერს წარმოადგენდა ვიღაც თავადი. თუმცა აქაც იყო შესაძლებელი რომ ოიდიპოსი სხვაგვარად მოქცეულიყო და უნებლიედ აღარ გახდებოდა მამის მკვლელი. მათ შორის, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო მშვიდობიანი და თანასწორი ურთიერთობა, თუმცა, გარემოებამ ვერ შეუწყო ამას ხელი. იმისდამიუხედავად, რომ თავისუფლები იყვნენ და ჰქონდათ თანასწორობაც და არავის ჰქონდა ძალაუფლების განდიდება, მშვიდობა მაინც ვერ მოიტანა ამ ყველაფერმა. სოფოკლე ამბობდა: „ძალადობა ჩვენი არჩევანია და არა ბედისწერა" (ნანა, 20 წ).

საბოლოო ჯამში, აღმოჩნდება, რომ ამ არჩევანს: მილიტარიზმს - მასში განსახიერებულ ძალმომრეობასა და ინცესტს - მხოლოდ უბედური დაბოლოება მოაქვს. ზოგადად ომისათვის დამახასიათებელია მტრის ჯარისკაცების უმოწყალოდ გაჟლეტვა და დამხვდური "ნადავლის" - დედაკაცების - ან გაუპატიურება ანაც ძალისმიერი მისაკუთრება. სოფოკლე ამ პარადიგმის ყველაზე ესქტრემალურ მაგალითს გვთავაზობს: ომისა და ძალაუფლებისაკენ ლტოლვის კულტურაში

საკუთარი მამის მოკვლა და დედის საწოლში ჩაწვენაც კი „ნორმალიზაციას“ ექვემდებარება. ეს არის მატერიალისტური ლოგოცენტრიზმის ეთიკისაგან დაცლილი მოთხოვნა - ომში ყველაფერი ემსახურება გამარჯვებასა და “წარმატებას“ - თუნდაც ეს მოითხოვდეს საკუთარი მამის მოკვლას, დედის ცოლად მოყვანასა და შემდეგ უკვე ძმათამკვლელ სისხლისღვრას.

„სოფოკლეს ეს ტრაგედია გვიამბობს ცხოვრების სიმძიმეზე, რომელიც მუდამ კონფლიქტშია ადამიანის ცხოვრებასთან. შესაძლებელია, ამ კონფლიქტის აღმოფხვრა იმ ბედისწერის ნაწილია, რომელიც ჩვენი მცდელობის მიღმა ხდება. არჩევანი ბევრი შეიძლება იყოს, მაგრამ ის იყო ერთი გზა როგორც შესაძლო გამოსავალი - მას ისევ იმ უბედურებასთან მივყავართ. ამიტომ ალბათ შეიძლება ითქვას რომ ბედისწერა უკვე განსაზღვრულია. შესაბამისად ადრე თუ გვიან ძალმომრეობა გარდაუვალია“ (დიმიტრი, 22 წ).

ის, რომ ოიდიპოს მეფე თვალებს დაითხრის და უარს ამბობს „რეალური სამყაროს“ ხილვაზე, იმის მომასწავებელია, რომ იგი უარს ამბობს “ლოგოცენტრულ ცოდნაზე“. სოფოკლეს ნაწარმოების მთავარი გმირი ისევ უბრუნდება ორფეულ პარადიგმას, რომელიც მინოსური ცივილიზაციიდან მოდის.

ნაწარმოებში კარგად შეიმჩნევა ის, რომ ოიდიპოს მეფისა და, მთლიანად, თებეს ტრაგედიები, არის განაჩენი იმ ძალმომრეობითი წესრიგის მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ კადმოსის გადმოსახლებიდან დადგენილა ქალაქში.

„ვთვლი, რომ ძალმომრეობა ადრე თუ გვიან გარდაუვალია, რადგან ამ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, გამარჯვებულმა მეფე ოიდიპოსმა ბედისწერის ძალმომრეობას ვერ გაუძლო. ადამიანებს შორის მშვიდობიანი და თანასწორი ურთიერთობა ვფიქრობ რომ არაა შესაძლებელი, რადგან ბევრი ადამიანი რეალობას გაურბის, მაგალითად როგორც ოიდიპოსი და მისი დედა. მაშინ როდესაც ეგონათ, რომ რაღაცას სწორად აკეთებდნენ, ბედნიერად ცხოვრობდნენ, ამ დროს არ უშვებდნენ იმის პერსპერქტივას, რომ მომავალში თუ არა წარსულში ეძიათ ის, სადმე ხომ არ დაუშვეს შეცდომა. ამ თვალის ახვევას, საბოლოოდ, დროის რაღაც მონაკვეთის შემდეგ, დამანგრეველი

შედეგები მოაქვს, ამიტომაც იმის ნაცვლად, რომ თავს მუდამ ჩვენი ქმედებების სისწორეს ვაჯერებდეთ, სჯობს შეცდომების გაზრდილ ალბათობებს ვადევნოთ თვალი. როდესაც ასე იქნება, ადამიანები ძალადობისგანაც დაზღვეულნი იქნებიან, რადგან პირველ რიგში საკუთარ თავშივე დიანახავენ შედეგებს, რომლებიც მათმა ქმედებებმა შეიძლება მოიტანოს, ან წარსულში მოიტანა ისე, რომ ვერც კი გაიაზრეს. თავისუფლებამ და თანასწორობამ, რომელიც ოიდიპოსს ჰქონდა ვერ მოუტანა მას რეალური მშვიდობა, რადგან ის მუდამ გაურბოდა ბედისწერას, ჰქონდა მოჩვენებითი მშვიდობა შექმნილი და როდესაც გაიგო, რომ საშინელი ბედისწერა მასთან წლების წინ გადაკვეთილა ველარ აიტანა მისი ცოდვის ტკივილი, რომელიც მას თურმე წლებია თან სდევდა" (ნონა, 24 წ).

რესპონდენტის ეს მოსაზრება, გარკვეულწილად, თებეს ისტორიულ ქრონიკებშიაც დასტურდება. ოიდიპოსის შვილების ძმათამკვლელი ომის შემდგომ, როდესაც ისინი ერთმანეთს განგმირავენ, ქალაქს აიღებენ ეპიგონები. „შვიდკარიბჭიანი თებე" უმოწყალოდ ეცემა ბრძოლის ველზე და მასთან ერთად ცხოვრებიდან მიდის მისტერიების ერთადერთი მცოდნეც - მისანი ტირესიასიც. ოიდიპოსი კი მისი ტანჯვით ახერხებს რომ განიწმინდოს საშინელი ცოდვებისაგან:

„ოიდიპოსს ბოროტმა სძლია როდესაც მოკლა მამა, იმ მომენტში არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა ვინ იყო, იგი კლავს ადამიანს, ვერ თოკავს საკუთარ ემოციებს და პატივმოყვარეობას. <u>რა მიზეზითაც უნდა გაეკეთებინა, მისი საქციელი ჩემთვის მიუღებელია.</u> ამას მოყვება ძალაუფლების წყურვილი, ამ დროს კიდევ უფრო მეტად ძლიერდება მასში ბოროტი და ასე დაუსრულებლად სანამ არ მივალთ სავალალო შედეგამდე. კულმინაცია კი მიქარწყლებს იმ ეჭვებს რომ ადამიანი სოფოკლეს მიხედვით არის ბოროტი. როდესაც იგებს ოიდიპოსი და დედამისი იოკასტე, რამხელა ცოდვის მატარებლები არიან სხვადასხვანაირად ისჯიან თავს. იოკასტე იკლავს თავს, სიცოცხლის ღირსად აღარ ჩათვლის თავს. ოიდიპოსი კი სიცოცხლეში ისჯის თავს. თვალებს ითხრის , იგი თვლის, რომ არ არის ღირსი სინათლის და მისი თვალები უნდა ხედავდეს მხოლოდ წყვდიადს. უნდა მიიღოს ყველა ის ლანძღვა, შეურაცხყოფა თუ ტალახი, რომელიც იქნება მისი მისამართით. ღირსად თვლის ტანჯვით

აღასრულოს თავისი სიცოცხლე. თურმე ყოველთვის შესაძლებელი არ ყოფილა ადამიანებს შორის მშვიდობიანი, თანასწორი და თავისუფალი ურთიერთობა. განსაკუთრებით, როცა არის იერარქიული წყობა. რომ არა ოიდიპოსის ის პატარა შემთხვევა და მისი პატივმოყვარეობა შეიძლება ამდენი უბედურებებიც კი არ დატრიალებულიყო“ (ჯონი, 23).

აქვე უნდა ითქვას, რომ არგონავტების კოლხეთში წასვლის, ტროას ომისა და თებეს ტრაგედიების თარიღები ერთმანეთთან ახლოსაა - ეს არის ბრინჯაოს ხანის დასასრულის დასაწყისი და შემდგომ უკვე რკინის ხანის დადგომა - ანუ ის დრო, როდესაც მიკენური ცივილიზაციის წიაღში უკვე საბოლოო ლეგიტიმაციას იძენს “სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსი“, „მამაცი მეომრის კულტი“, “წარმატებისა და დიდების პარადიგმა“ და ქალთა დემონიზაციის გზით გამეფებული მილიტარისტული პატრიარქატი. შეიძლება ითქვას, რომ სოფოკლეს ეს გენიალური ნაწარმოები ამ ეპოქასაც არაჩვეულებრივად ასახავს და გამოკვეთილი ტენდენციის ლოგიკურ ბოლოსაც თვალსაჩინოდ გადმოგვცემს.

10.4 ევრიპიდეს „მედეა“

ევრიპიდეს „მედეაში“ დიდ როლს ასრულებს მედეას, როგორც მშვიდობიანი კულტურის წარმომადგენელი ქალის დემონიზაცია და მისი “ბოროტმოქმედად“ წარმოჩენა. ისევე, როგორც “ილიადაში“ ელენეს დამდაბლების ხარჯზე უნდა მოხდეს მილიტარისტი აგამემნონის როლის ამაღლება, როგორც ბერძენ „ხალხთა ბელადისა“, საჭიროა “დინამიური კრეატიულობის„ ცხოვრების სტილის მეორეხარისხოვნების დამტკიცება. ამას ევრიპიდე დიდი ოსტატობით ახერხებს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ “ადამიანის ბოროტი ბუნების“ მილიტარისტული პარადიგმის შესაბამისი განწყობის შექმნას იგი ბოლომდე ვერ ახერხებს (შესაძლოა, გულის სიღრმეში ეს არც კი იყო მისი ნამდვილი მიზანი. ამაზე მსჯელობა ჩვენთვის ახლანდელი გადმოსახედიდან ძალიან რთულია).

“განრისხებული მედეა შურისძიებას გეგმავს იასონსა და მისი ახალი პატარძლის წინააღმდეგ და გლავკოსს უგზავნის ჯადოსნური ბალახებით მოჯადოებულ სამოსს. მედეას განზრახული აქვს, რომ შხამი პრინცესას და

მამამისს, კრეონს, აალდეს. მედეა მოკლავს მას და იასონის ვაჟებს და ცეცხლს უკიდებს მათ სახლს. ცეცხლთან შეკავებული იასონი ეეედრება მედეას, რომ ბავშვებს სათანადო დაკრძალვის საშუალება მისცეს. ცეცხლის შუაგულში ის უარს ამბობს. მოცემულ პიესაში საკმაოდ რთული სიტუაცია გვაქვს და ძნელია რამეზე გადაჭრით ვისაუბროთ. ვფიქრობ, რომ მოცემულ ნაამბობში ასახულია ადამიანის ბოროტი ბუნება, რომელიც არც თუ ისე შენმდობი ან სამართლიანია. მედეას ყოველთვის საკუთარი სურვილები აქვს წამოყენებული წინა პლანზე და მისთვის მთავარია ყველაფერი ისე იყოს როგორც მას უნდა, ის კი თუ როგორ მიაღწევს ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. „მიზანი ამართლებს საშუალებას“ , ძმის უმოწყალოდ მოკვლა თუ უდანაშაულო ბავშვების დაწვა მას სინანულის გრძნობასაც არ უჩენს . ამ შემთხვევაში ძალმომრეობა და ყოველგვარი ძალადობა არასწორ არჩევანს წარმოადგენს, ეს არ არის ის რასაც ვერ შვცვლიდით ან გარდაუვალს წარმოადგენდა რაიმე მიზეზით. ადამიანებს შორის თანასწორი ურთიერთობაა და თავისუფლება, რასაც შეუძლია მშვიდობის დამყარება, თუმცა ეს არჩევანი იწვევს ყველა კატასტროფას, რაც საერთოდ არ უნდა მომხდარიყო. მედეა უშვებს რიგ შეცდომებს, რომლის პატიებაც უბრალოდ შუძლებელია, <u>მიუღებელია პირადად ჩემთვის</u>“ (ნინო 18 წ).

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აქ არის გასაღები: აქ არის მეტად ოსტატური გამოხატულება იმისა, თუ როგორ ყალიბდება პერსეევერანტული განწყობა „ძალმომრეობის გარდუვალობასთან“ დაკავშირებით. პრუიტისა და რუბინის კონფლიქტოლოგიური თეორიის მიხედვით, “უკმარისობის ფენომენის“ გარდუვალობა იწვევს ძალმომრეობით შეტაკებას მხარეებს შორის. ქალსა და კაცს შორის ურთიერთობისას ასეთი უკმარისობის ობიექტი არ არის მხოლოდ “სარეცელი“ - ეს შეიძლება მეორადი იყო დროის ფაქტორთან შედარებით - ანუ „დროის უკმარისობის“ ფაქტორი „პატივისცემის უკმარისობის“ ონტოლოგიურ ფაქტორთან ერთად, დიდ როლს თამაშობს ამ მხრივ ძალადობრივი კონფლიქტის გაღვივებაში, მაგრამ, ევრიპიდესეული ხედვა მაინც ექსტრაოდინარულია - ის ქალის ხელით ახერხებს იმის გაკეთებას, რაც თვით მოძალადე და მეომარ კაცებსაც უჭირთ.

„ამ მოსაზრებებიდან მიჭირს გამოვთქვა მოსაზრება მედეას ბუნებასთან დაკავშირებით, თუმცა დავრჩები ჩემს აზრზე და ვიტყვი, რომ მისი, როგორც ბრძენი ქალის ბუნება არ იყო ბოროტი და არ მოუკლავს საკუთარი შვილები. პირიქით, მის მტრად მთელი კორინთო გადაიქცა. ვერავინ ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ კოლხი ქალი თავისი მშვენიერებითა და სიბრძნით გაუტოლეს ბერძენ ქალს. ამ მოსაზრებას თუ გავყვებით, სწორედ ეს გახდა მიზეზი მის მიმართ ორგანიზებული მორალური ძალადობისა. ძალადობისთვის კი მიზეზი აუცილებლად მოიძებნება, ეს გარდაუვალი მოვლენაა. შეიძლება სწორედ ის გახდეს შენი მტერი და შურისმაძიებელი, ვისგანაც ამას ყველაზე მეტად არ ელოდები. აქედან გამომდინარე, არ მიმაჩნია, რომ ადამიანებს შორის ყოველთვის არის შესაძლებელი მშვიდობიანი და თანასწორი ურთიერთობა, შესაბამისად არც ვეთანხმები და თუკი ირღვევა მშვიდობა, იქ უკვე ომი და ძალადობაც თანმდევია, ასე იყო მედეს შემთხვევაშიც“ (თამთა, 21 წ).

მილიტარისტული აქტივობების გასამართლებლად ყურადღების ცენტრის ქალებზე გადატანა უკვე დამახასიათებელი ხდება ევრიპიდეს შემდგომი დრამებისათვის. შემდგომ თავებში ჩვენ აგრეთვე განვიხილავთ უილიამ შექსპირის “მაკბეტს“, სადაც აგრეთვე დიდია ლედი მაკბეტის როლი. თუმცა, ევრიპიდე მაინც ამ შემთხვევაში კანონმდებელია - ის პირველია მათ შორის, ვინც ქალის “ანტიგმირის“ მეშვეობით, „ადამიანის ბოროტ ბუნებაში“ ცდილობს დაგვარწმუნოს, თუმცა, მას ეს ყოველთვის ვერ გამოსდის. ესეც უნდა ითქვას.

„დღეს, როდესაც მედეას განვიხილავთ, აუცილებლად გვაგონდება შვილების მკვლელი დედა და ქვეყნის მოღალატე ქალი. იგი მოღალატე გახდა, რადგან ორიენტირდა სიყვარულზე და სინდისისგან ნაკარნახევი სწორი გზა უკუაგდო. ხოლო მეორეს მხრივ. შვილების მკვლელი მედეა ბუნებით ბოროტ არსებად გვევლინება. <u>მტკივნეულია ეს ყველაფერი</u>“ (თეა, 18 წ).

რატომ განიხილება მედეა აქ მხოლოდ, როგორც "სამშობლოს მოღალატე" და "შვილების მკვლელი დედა" და არა სიყვარულისთვის თავდადებული ქალი? ემანუელ ლევინასის მიხედვით "სხვისი" სიყვარული ბევრად უფრო დიდი ღირებულებაა, ვიდრე - "საკუთარის", რასაც მედეა უნაკლოდ, „პარ-ექსელენსის" დონეზე ასრულებს. და მაინც - იგი დემონიზებულია, წარმოდგენილია, როგორც "ადამიანის ბოროტი ბუნების" განსახიერება.

> *„დრამატული სიუჟეტი კარგად გვიჩვენებს ადამიანის კონფლიქტებს, რომელიც მის არჩევანს ახლავს. ევრიპიდეს ეს აქვს განცდილი თავის ნაწარმოებში. ამ მითოსში მან მედეას შურისძიების მიზნით მოაკვლევინა თავისი შვილები ნუთუ შესაძლებელია ასეთი სისასტიკის ჩადენა? მართლა არის ასეთი ადამიანის ბუნება თუ იმდროინდელი და თვით ევრიპიდეს დამოკიდებულებაა ქალის როგორც მცდუნებელისა და ეშმაკის მიმართ? აქ არის ფსიქოლოგიური თავისებურებები მწერლობაში, მედიცინაში, მხატვრობაში და ასე შემდეგ. ადამიანები სუბლიმაციას განიცდიან შემოქმედებაში . შესაძლოა რომ პერსონაჟები, რომელთაც ავტორი ირჩევს, თვით მისივე ბუნების ნაწილია" (დუტა, 21 წ).*

აქ უკვე პირველად ვხედავთ რესპონდენტის მიერ თვით ავტორის მოტივაციაში დაეჭვებას. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს შეკითხვაა დასასმელი ამსტერდამის კრიტიკული დისკურსის თეორიის მიდგომის ანალოგიურად.

კრიტიკულ-ანალიტიკური მიდგომა ვლინდება სხვა რესპონდენტების მხრიდანაც:

> *„რთულია იმის თქმა რომ ადამიანის ბუნება ბოროტია ან არ არის ბოროტი. თუ ადამიანებს სძლევთ მათი ვნებები შესაძლოა, რომ საქმე ძალადობამდეც კი მივიდეს, მაგრამ თუ ადამიანები ისწავლიან მათში სურვილებისა და ვნებების მართვას, ცოტათი მაინც კი, ისინი შეძლებენ რომ აირიდონ თავიდან მოახლოებული ცუდი, ან სულაც, საზარელი მოვლენები. ადამიანებმა, თანასწორ და თავისუფალ გარემოში, სადაც*

უკმარისობის განცდა არ რჩებათ, შესაძლოა შექმნან მშვიდობიანი გარემო, მაგრამ თუ ჩათვლიან, რომ ეს მათთვის მაინც არ კმარა, ისინი ისევ შეაქცევენ ზურგს მშვიდობას“ (ზინა, 22 წ).

აქ უკვე ნათლად ჩანს ადამიანის ინდივიდუალური არჩევანის მნიშვნელობა. კარგად ვხედავთ, რომ ადამიანური იდეალების განხორციელება შეუძლებელი კი არ არის - არამედ ის ადამიანის ინდივიდუალური ვნებების დამორჩილების საკითხს უკავშირდება. განწყობა, რომელიც ამ კონკრეტულმა ნაწარმოებმა წარმოაჩინა, ცხადყოფს, რომ ადამიანს შეუძლია ძალმომრეობის დაძლევა ინდივიდის დონეზე - და, **თუკი ეს შესაძლებელია, მისი სოციალური მასშტაბის გამოვლინებათა პრევენციაც შესაძლებელი უნდა იყოს.**

10.5 უილიამ შექსპირის „მაკბეტი“

უილიამ შექსპირის “მაკბეტი“ უკვე ახალი წელთღრიცხვით მე-17 საუკუნის დასაწყისში იწერება. გადმოცემით, ეს ტრაგედია პირველად 1606 წელს დაიდგა. შექსპირი კლასიკური ბერძნული ტრაგედიის ერთ-ერთ უბრწყინვალესი გამგრძელებელია და ბევრი კრიტიკოსი მას ყველა დროის უდიდეს მწერლადაც მიიჩნევს. ეს ტრაგედია დაიწერა მეფე ჯეიმზ პირველის დროს, როდესაც ეს უკანასკნელი შექსპირის “სამსახიობო კომპანიას“ პატრონობდა.

ფოკუსირებული დისკუსიის მსვლელობისას აშკარად გამოიკვეთა, რომ მათი პასუხები მასობრივი ძალმომრეობისა და ადამიანის ბუნების შესახებ, არც აქ იყო ერთმნიშვნელოვანი. აქაც ერთობ აქტუალურია სწორედ ის ჰიბრიდული სიტუაცია, რომელიც არა მხოლოდ წლებისა და საუკუნეების ისტორიას ახასიათებს, არამედ - თითოეული და კონკრეტული ადამიანის განწყობასაც ნებისმიერ დღესა თუ დღის რომელიმე ნაწილში. **სავსებით შესაძლებელია, რომ ნებისმიერ ადამიანს განწყობა კეთილისკენ შეეცვალოს ყველაზე მძიმე ტრაგედიის ნახვის შემდეგაც.** უფრო მეტიც, კატასტროფით დამთავრებულმა ტრაგედიამ შეიძლება ტრიგერული ხასიათის როლი შეასრულოს და ადამიანს „სიუხვის გარემოს“ რეალური განცდაც გაუჩინოს. რამდენად პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს ფოკუსირებული დისკუსიის მსვლელობისას, ეს აშკარა გახდა:

“ადამიანის ბუნება ბოროტია? საკმაოდ რთული სათქმელია, თავად

მაკბეტი თავდაპირველად თავაზიან და ერთგულ გენერალად არის წარმოჩენილი, მის ბუნებაში ბოროტებას მე ვერ ვხედავ, თუმცა ჩვენ ვხედავთ მეუღლის პერსონაჟს და ჯადოქრებს, რომელთა საქციელიც გვიბიძგებს ვიფიქროთ რომ ადამიანის ბუნება ბოროტია. ამიტომ ამ ნაწარმოებში ვხედავთ ორივე სახის ადამიანს ბოროტი ბუნების მქონეს, <u>რომელიც ნეგატიურ განცდებს აღძრავს</u> და უბოროტო, მანიპულაციის მსხვერპლს, <u>რომლის მიმართ გიჩნდება დახმარების, გვერდში დგომის სურვილი</u>. რომ არა ეს მანიპულაცია, არც ძალმომრეობას ექნებოდა ადგილი, თუმცა, მეუღლისა და ჯადოქრების დამსახურებით, ადრე თუ გვიან ეს გარდაუვალი იყო. მსგავსს სიტუაციის განვითარებას საფუძველი სწორედ მათ ჩაუყარეს, შესაბამისად ეს ბედისწერა არ იყო, ეს იყო სწორად შერჩეული გზა მათი საწადელის მისაღწევად. საბოლოოდ მაკბეტისთვისაც და მისი მეუღლისთვისაც ეს მკვლელობა საბედისწერო აღმოჩნდა, ვერცერთი გადაურჩა მათივე არასწორ არჩევანს. თავისუფლება ყოველთვის არ უდრის მშვიდობას. ძალაუფლების წადილით საკუთარი ხელით გაანადგურეს მშვიდობა ცოლ-ქმარმა და დაღუპეს ერთმანეთი. ბოროტებამ გაიმარჯვა თვით ბოროტმოქმედებზე" (თეონა, 20 წ).

შექსპირის ტრაგედია ასახავს ბრიტანეთის ისტორიის შუასაუკუნეების პერიოდს, როდესაც უკმარისობით გამოწვეული პარანოია ბუნებრივი მოვლენა იყო. შექსპირის ამ ტრაგედიას სხვა სახელად "შოტლანდიურ პიესასაც" უწოდებდნენ - თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შუასაუკუნეების ევროპაში მთლიანად ჩვენ გვაქვს ძალმომრეობის კულტის დიდი ზეობა და ეს სხვა ქვეყნების ისტორიაზეც აისახება.

„მაკბეტის სხეულში ორი ადამიანი ცხოვრობდა: თვითონ და ლედი მაკბეტი. ამიტომ როგორ გინდა თქვა: მისი ბუნება იყო თუ არა ბოროტი?! რეალურად მისი ტვინის ერთი სფერო და გულის ერთი ნაწილი არ იყო ბოროტი, ყველა ჩადენილი დანაშაული აწუხებდა და სტანჯავდა. მეორე ნაწილი კი, სადაც მისი მეუღლე ჩასახლებოდა, გამუდმებით ბოროტებისკენ იყო მიდრეკილი.

როგორი უცნაურია ადამიანის ბუნება, ზოგჯერ ისეთი დამყოლი და ისე მოექცევა სხვა ადამიანის ზეგავლენის ქვეშ, რომ თვითონ რომც არ უნდოდეს

თავისუფლად გამოიწვევს ომსაც და მასობრივი ძალადობასაც. დაარღვევს იმ სიმშვიდესა და თანასწორობას, რომელსაც მანამდე დიდ პატივს სცემდა. ისე აღმოჩნდა სხვა რეალობაში ვერც გააანალიზა. გადამეტებული არაფერი ვარგა, ზომიერად უნდა დაიცვა შენი შეხედულებები და პრინციპები, <u>ხშირად შენ საყვარელ ადამიანსაც კი არ უნდა ენდო ბოლომდე,</u> ისიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია და ბუნებრივია შეცდეს“ (თინა, 20 წ).

უნდა ითქვას, რომ თვით შექსპირის დრამაც ისტორიულ ფაქტებს ზუსტად არ აღწერს. ისევე, როგორც დღეს, იმ მომენტისათვის, ომი და ორგანიზებული ძალმომრეობა ცხოვრებისეულ ფაქტად აღიქმებოდა. ამიტომაც საინტერესოა, რომ მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, არც მაშინ და არც დღეს, ამ საზარელი ტრაგედიის ნახვის შემდეგ რესპონდენტთა განწყობა არ არის ცალსახა.

„შეიძლება ვთქვათ რომ მაკბეტში იმდენად დიდი იყო პატივმოყვარეობა, ნარცისიზმი და ძალაუფლების სურვილი რომ მისი ბოროტი მხარე აიძულებს ღალატსა და მეფის სიკვდილს. მაგრამ გვაძლევს თუ არა ეს წინაპირობა იმის თქმის შესაძლებლობას გადაჭრით რომ ადამიანი ბოროტი არსებაა? მგონია რომ არა, რადგან მაკბეტის ტანჯვა სწორედ მას შემდეგ იწყება, რაც მეფეს კლავს. იგი გულის სიღრმეში ნანობს თავის ნამოქმედარს, სინდისის ქენჯნასაც განიცდის, თუკი ასეთი განცდები ადამიანს აქვს, ჩემი აზრით, არ შეიძლება იგი ბოროტი ბუნების ადამიანად მივიჩნიო. ზემოთ განხილული ნაწარმოების ანალიზზე დაყრდნობით მიმაჩნია რომ გადაჭრით ადამიანის ბოროტ არსებად მიჩნევა არ არის მართებული. ჩემი აზრით ყველა ადამიანში დევს სიკეთის საზრისი და ადამიანი საბოლოო ჯამში კეთილი ბუნების მქონე არსებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, ამასთანავე ვფიქრობ რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის გარემო პირობებსა და შესაძლებლობებს, ის თუ ვისთან აქვს ურთიერთობა, რა სოციალურ, ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს, როგორ უხდება თავის გადარჩენა და ასე შემდგომ“ (მარიანა, 19 წ).

რადგან საქმე გვაქვს მხატვრულ ნაწარმოებთან,უნდა ვივარაუდოთ, რომ შექსპირს უფრო ნათლად უნდოდა ეჩვენებინა ამ ძალმომრეობითი სამყაროს მუქი ფერები, რათა „კათარზისის“ ეფექტისათვის უკეთ მიეღწია.

„მოვლენები, რომელიც ამ ნაწარმოებში ხდება ნაკლებად გაფიქრებინებს რომ ადამიანებს შორის მშვიდობა და თანასწორობა იარსებებს. რადგან ეს ადამიანები, რომლებიც გვამებზე ცდილობენ გადაბიჯებას, მეტ სისასტიკეს სჩადიან. ეს მეტად მძიმეა როდესაც რესურსებია მეტი. დღევანდელ რეალობაში კონფლიქტი და სისხლისღვრა ჩვეულებად იქცა - კონფლიქტი და აგრესიულობა, რომელიც ზომიერად დევს ადამიანის ბუნებაში, პიროვნების განვითარებისკენ მიმავალი გზაა, მაგრამ მის სისუსტეს ან სიჭარბეს მივყავართ სისხლისღვრამდე“ (დავითი, 22 წ).

უილიამ შექსპირის ტრაგედიას აქვს გარკეული წანამძღვრები შოტლანდიელთა ისტორიულ მეხსიერებაშიც და ამ წანამძღვრების გამოყენებით, დიდი ბრიტანელი დრამატურგი მიმართავს სწორედ არისტოტელესეული ტრაგედიის “კატასტროფისა“ და “კათარზისის“ ფორმას, რომელიც მაყურებლის გაკეთილშობილების საუკეთესო საშუალებაა:

„ერთ ჟამს ბოროტი მიზნებით მაკბეტმა სძლია ყველას და მიიღო ტიტული, მეორე ჟამს მაკბეტი დაამარცხა მაკდაფმა, რომელმაც მალკოლმს მისთვის განკუთვნილი ტახტის დაბრუნება შეაძლებინა. მაკბეტმა ადამიანი, რომელიც მას პატივს სცემდა არ დაინდო და მოკლა. შესაბამისად ის გვაჩვენებს, რომ ადამიანებს შორის თანასწორი და მშვიდობიანი ურთიერთობა არ არის შესაძლებელი, მაშინ, როდესაც ერთი პირიც კი იბრძვის არაკანონიერად, სისხლიანი *გზებით (ლუიზა, 21 წ).*

და ეს, მართლაც უმძაფრესი განცდებითა და „მუქი ფერებით“ დატვირთული ციტატა, ერთმნიშვნელოვნად უიმედო განწყობის გამომხატველი როდია. მასში ფიგურირებს ლოგიკური მაკავშირებელი - „მაშინ, როდესაც“, რომლის მომდევნო წინადადებაც პირობითი დებულების ანტეცედენტი (პირობის გამოხატველია) და თუ მთლიანი ციტატის კონტრაპოზიციას მოვახდენთ [(A=.>B) ⇔ (არა-B =.> არა-A)]

პირობის უარყოფიდან - ე.ი. თუ არცერთი ადამიანი არ იბრძოლებს არაკანონიერად, სისხლიანი გზებით - გამომდინარეობს.შედეგის უარყოფა, ანუ „ადამიანებს შორის თანასწორი და მშვიდობიანი ურთიერთობა შესაძლებელია/გარდაუვალი არ არის“.

10.6 ჰენრიკ იბსენის "ხალხის მტერი"

ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგი, ჰენრიკ იბსენი დრამის ისტორიაში ერთ-ერთ მთავარ ინოვატორად მიიჩნევა. მე-19 საუკუნეში იგი უკვე რადიკალურად ცვლის ტრადიციული დრამის ფაბულას და ტრაგედიიდან ფსიქოლოგიურ დრამაზე გადადის. "'ხალხის მტერი" 1882 წელს დაიწერა და იბსენის ნაწარმოებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. აქ მთავარი გმირი დოქტორი შტოკმანი გახლავთ, რომელიც პრაქტიკულად ევროპის ერთ-ერთი პირველი გარემოს დამცველია. ისიც საკუთარი თემის წინააღმდეგ მიდის. ამ პიესაში კარგად გამოიხატა ჰენრიკ იბსენის აჯანყებული ბუნება, რომელიც ბუნების დაბინძურების წინააღმდეგია.

ფოკუსირებული დისკუსიის მონაწილეები ამ თემაზე საუბრისას საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენდნენ თვით იბსენის პერსონის მიმართ და ამავე დროს ბევრი მათგანი აღნიშნავდა იმასაც, რომ შეუძლებელია თემსა და მოქალაქეს შორის დაპირისპირებას კარგი შედეგი მოჰყვეს და იმას, რომ თანამედროვე "ბურჟუა" საზოგადოებაში "ინვესტორები" ყოველთვის მართალნი არიან, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ბავშვი შეიძლება მოიწამლოს მათი საქმიანობის გამო მოწამლულ ტბის წყალში.

> *„იბსენის ამ პიესაში ვაწყდებით ადამიანის უბოროტო და ბოროტ ბუნებას. ფულზე დახარბებული საზოგადოება, რომლებიც „სხვაზე'„არ ფიქრობს. მთავარია, მათთვის ყველაფერი კარგად ვითარდებოდეს და სხვების სიცოცხლეს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, მაშინაც, როცა საქმე საკუთარ შვილებს ეხებოდა. უბოროტო და ბოროტი ადამიანების დაპირისპირებაში კი ძალმომრეობა გარდაუვალია. ეს ადრე თუ გვიან მაინც მოხდება. ამ ვითარებაში ვერც მშვიდობიანი და თანასწორი ურთიერთობა ვერ შედგება, რადგან ხალხს არ აწყობს შემოსავლის წყაროს დაკარგვა და მაქსიმალურად საკუთარ ინტერესებს დააყენებენ წინ. სიმართლის მთქმელი ხალხი როგორც მოგვეხსენება არავის უყვარს, ასევე შერაცხეს ექიმი სტოკმანი „ხალხის მტრად“.*

საკუთარი ძმაც კი მის წინააღმდეგ წავიდა, რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ არავის აწყობს სიმართლე როცა საქმე პირად მიზნებს ეხება. დაპირისპირება მასიური იყო, რასაც მარტო ვერ გაუმკლავდებოდა. თითქოს თანასწორ და თასუფალ ქალაქში მშვიდობა არ სუფევდა. ხალხი უსამართლოდ მოექცა ექიმს და საფრთხის წინაშე დატოვეს როგორც მოქალაქეები, ისე ჩამოსული სტუმრები, მაგრამ ისინი თავს მართლებად თვლიდნენ და არც აღიარებდნენ შეცდომას. აქიდან გამომდინარეც თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშვიდობიანი ურთიერთობა ექიმსა და მოქალაქეებს შორის ვერანაირად შედგებოდა' (მაგდა, 20 წ).

დიმიტრი უზნაძის მიხედვით, მეტ-ნაკლებად პერსეევერანტული განწყობის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა უკვე წლების განმავლობაში მიმდინარე პროპაგანდა და, აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ის ნაწილი, რომლის აქტიური ცნობიერების ჩამოყალიბება უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მოხდა, ამართლებს „კერძო საკუთრების" უფლების დამცველი თემის ძალადობას მის მოწინააღმდეგე "მწვანე ექიმზე", თუმცა, ლოგიკურია, რომ აქაც არ არის აბსოლუტური შედეგი. რესპონდენტთა ნაწილი მაინც ინარჩუნებს გარკვეულ სიმპათიას, ემპათიასა და ოპტიმისტურ განწყობასაც კი:

„ამ ნაწარმოების მიხედვით, ექიმი შტოკმანი და კიდევ ერთი-ორი პერსონაჟი მაძლევენ საშუალებას ვთქვა - ადამიანის ბუნება რომ ბოროტი არ არის, საბედნიეროდ არსებობდნენ ადამიანები რომლებმაც არ დაკარგეს გონების სინათლე და ნამუსი. არ აღმოჩნდნენ მატერიალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებულები. რაც შეხება ძალმომრეობას, ის არის უმეტესად გარდაუვალი, როდესაც ბრბოსთან გვაქვს საქმე. ხშირად იზიარებენ ნეგატიურ მოსაზრებას, რომელსაც მივყავართ ძალმომრეობამდე და ომამდე. ასეც მოხდა ამ ნაწარმოების შემთხვევაში ერთ ადამიანს ებრძოდა ასობით ბნელი ადამიანი. ყველანაირად გაუსწორდნენ: ეს იქნებოდა მენტალური თუ ფიზიკური დაპირისპირება, იყო გამიზნულად მიმართული, როგორც პირადად ექიმი სტოკმანისთვის, ასევე მისი ოჯახისა და რამოდენიმე კეთილის მსურველი ადამიანის მიმართ (ქეთი, 22 წ).

იბსენის შემოქმედებამ მე-19 საუკუნის ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ინტელექტუალურ წრეებში ძალიან დიდი გავლენა მოიპოვა. შეიძლება ითქვას, რომ მის გავლენას თავისი მასშტაბით მხოლოდ ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის, რიჰარდ ვაგნერის მაგალითი თუ შეედრება ბევრი კრიტიკოსის შეფასებით. მისი ასეთი გაბედულებით სვლა „საზოგადოებრივი მორალის“ სიყალბის წინააღმდეგ, ნამდვილად უპარალელო იყო იმდროინდელ ვიქტორიანულ სამყაროშიც:

> ***„იბსენი, როგორც გენიოსი მწერალი ამჩნევს, რომ დაიწყო პიროვნების დაშლა, რასაც ბოლო უნდა მოეღოს, ვინაიდან ის კაცობრიობას უბედურებას მოუტანს, ამიტომ ის იბრძვის და გვიხატავს მთავარ გმირს – მტკიცე, ძლიერ, შინაგანი მეობით შენარჩუნებულ ადამიანს. პიესის მთავარ გმირს არაფერი აქვს საერთო ბოროტებასთან, იგი თავისი ბუნებით კარგი ადამიანი, კეთილი და შესაბამისად მიმნდობიც, სჯერა სხვების პატიოსნების. <u>ასეთი ადამიანი იმედს და რწმენას გიჩენს</u> (ელენე, 29 წ).***

ფოკუსირებული დისკუსიის მონაწილეები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ თავისი პათოსით ჰენრიკ იბსენი ბევრი მიმართულებით უფრო პროგრესული იყო, ვიდრე - ბევრი დღევანდელი ავტორი და მის მიერ დახატული საზოგადოებრივი იდეალებისგან დღევანდელი მსოფლიო საზოგადოებაც შორს არის. აღინიშნა ისიც, რომ, მეორე მხრივ, დღეს ჩვენ ვხედავთ „კლიმატის ცვლილებას“, რის მიზეზიც ზუსტად ის არის, რაც - ექიმი შტოკმანის ქალაქის მესვეურების შემთხვევაში - ზრუნვა „ინვესტიციებსა“ და პირად გამდიდრებაზე. დღეს ეს ზღვარი უკვე არა მარტო ერთ პატარა ქალაქს ეხება, არამედ მთელ პლანეტას, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ ნეგატიურ კითხვებსაც აჩენს “ადამიანის ბუნებასთან“ დაკავშირებით:

> ***„საზოგადოება, ხალხი, რომელმაც ექიმი სტოკმანი მტრად შერაცხა, შეგვიძლია გავაიგივოთ მარქსისტულ აზროვნებასთან, რომლის მიხედვითაც ადამიანები არც კეთილები არიან, არც ბოროტები, მაგრამ მათი დამოკიდებულებები განისაზღვრება მათ კუჭზე გავლით, ანუ მათი ეკონომმიკური კეთილდღეობა და კუჭის დაკმაყოფილება არის ის, რაც მათ***

აკავებთ, რომ რაიმე ისეთი არ ჩაიდინონ, რაც საზოგადოებივ წესრიგს, ნორმებსა და მორალს სცდება. ისინი სდუმან, როგორც დაგუბებული ტბა, რომლის სიღრმეშიც არავინ იცის რა გროვდება, მანამ, სანამ ერთბაშად არ დააჭერს მას მზის სხივი და არ დაუშრობს წყალს ისე, რომ მათი ფიქრების, ზრახვებისა და მტრული შესაძლებლობების წევრი ოდნავ მაინც გამომზეურდეს, სწორედ ამ დროს ავლენენ ისინი საკუთარ თავს და არღვევენ დუმილს" (ნანა, 21 წ).

უნდა ითქვას რომ დენის ჯეი დი სანდოლის მიერ შემოთავაზებულ პარადიგმათა შორის, „'მარქსისტული აზროვნების" წესი, მიუხედავად იმისა, რომ ის თანასწორობას ქადაგებს, გამოირჩევა მატერიალისტური მიდგომით. ამაზე სხვა რესპონდენტებმაც ისაუბრეს. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც კი აღნიშნა რომ ***"მარქსიზმი ფიზიოკრატიული აზროვნების წესიც" (ნანა, 22 წ)*** არისო, მოიშველია რა, მიშელ ფუკოს ცნობილი ნაშრომი "ბიოპოლიტიკის დაბადება". საინტერესოა, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ გერმანული თეატრის მიერ დადგმული ეს სპექტაკლი 2018 წელს აიკრძალა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, რადგან ამ სპექტაკლის ჩვენებამ დიდი სიმპათია გამოიწვია ჩინელ მაყურებელში დოქტორი შტოკმანის მიმართ და შესაბამისად - პროტესტებიც ანტი-ეკოლოგიური და გიგანტური პროექტების მიმართ.

10.7 ვაჟა ფშაველას "სტუმარ-მასპინძელი"

ვაჟა ფშაველას - ლუკა რაზიკაშვილის ეს პოემა მსოფლიოს თანამედროვე ტრაგედიებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს მისი როგორც დრამატული, ასევე პოეტური ნაწილით. ის იბსენის „ხალხის მტრის" დაწერიდან სულ რაღაც 11 წელიწადში, ანუ 1893 წელს დაიწერა და გამოქვეყნდა კიდევაც გაზეთ „ივერიის" 146-ე, 149-ე და 152-ე ნომრებში. აქ, ერთის მხრივ, პოეტი მოგვითხრობს ხევსურებსა და ქისტებს შორის არსებული შუღლის შესახებ - და, ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ 1901 წელს დაწერილ პოემაში „გველის-მჭამელი" ვაჟა ფშაველა გარემოს დაცვის საკითხსაც ეხება და, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად ყველა იმ საკითხს ამოწურავს, რომელსაც იბსენის პიესა აღწერს. თუმცა, „სტუმარ-მასპინძელი" და „ალუდა ქეთელაური" სპეციფიურად აღგვიწერს ავტორის დამოკიდებულებას ორგანიზებული

და თემის მიერ დაკანონებული ძალმომრეობის მიმართ და მისი პოზიციის გამოახტვას მხატვრულად ისე კარგად ახერხებს, რომ ძალიან რთულია მკითხველი თუ დადგმის ან ფილმის მნახველი გულგრილი დარჩეს და რაღაც მომენტში არ გაიზიაროს ავტორის პოზიციაც.

„ვფიქრობ, ვაჟას ნაწარმოებში ბოროტ ბუნებას ვერცერთ პერსონაჟში ვერ ვხედავთ. მართალია, ზვიადაური მოკლეს და არ დაინდეს თუმცა აქ უბრალოდ არჩევანთან გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე, ბოროტ ბუნებაში ვერ განვიხილავთ ვერც თემსა და ჯოყოლას, მითუმეტეს. თუმცა, თემს შეეძლო სხვაგვარი არჩევანი გაეკეთებინა, პატივისცემა გამოეხატათ ჯოყოლას მიმართ და სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია არ დაერღვიათ და არათუ ჯოყოლას სახლიდან გასვლის შედეგ, არამედ სოფლიდან გასვლის შემდეგ უნდა გადაეხადათ სამაგიერო, რადგან ზვიადაური არა მხოლოდ ჯოყოლას სტუმარი, არამედ სოფლის სტუმარი იყო. ადამიანის ბუნებაზე შეგვიძლია ბევრი ვილაპარაკოთ, განვიხილოთ სხვადასხვა მითი, თქმულება თუ ნაწარმოები, მაგრამ ჩემი გადმოსახედიდან, ადამიანის ბუნება ვერანაირად ვერ იქნება ბოროტი. გარემომ, კონკრეტულმა სიტუაციამ, აღზრდის სტილმა და კიდევ სხვა ბევრმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ბუნების გაბოროტება და დამახინჯება. ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენს არჩევანზე, ერთმა არასწორმა არჩევანმა შეიძლება უამრავი არასასურველი ბოროტი ქმედებაც კი გამიწვიოს ან კიდე ერთიც საბედისწერო აღმოჩნდეს. „ძალადობა არჩევანია და არა ბედისწერა“. არ ვეთანხმები იმ ფაქტს, რომ ძალმომრეობა გარდაუვალია - <u>ვაჟას ეს ნაწარმოები უფრო პასუხისმგებლობის გრძნობას მიღვიძებს</u> რადგან თავისუფლად შეგვიძლია ნებისმიერი პრობლემის სიტყვიერად მოგვარება ყოველგვარი ძალადობის და ომის გარეშე, თუმცა, არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ამ ფაქტს ერ ეგუება. რეალურად, ჩვენ ვართ დროში, როცა ადამიანებს შორის მშვიდობიანი და თანასწორი ურთიერთობა შესაძლებელია. ამას მხოლოდ ურთიერთობებზე მუშაობა სჭირდება. თუ ჩვენ სწორად ვიქმოქმედებთ, ვიქნებით თავისუფალნი ჩვენს სიტყვასა და არჩევანში და გვექნება რეალური თანასწორი ურთიერთობები, ეს იქნება მშვიდობის დასაბამი. ჩვენ ბედისწერას ჩვენვე ვქმნით ჩვენი არჩევანით და ქმედებებით

(ლალი, 21 წ).

სოფოკლეს ცნობილი ფორმულა, რომ ბედისწერას არჩევანი განსაზღვრავს - აქაც აშკარად დგება. აქაც, ისევე, როგორც ყველა ტრაგიკულ ნაწარმოებში, მთავარი პროტაგონისტები აკეთებენ არჩევანს და,შესაბამისად, თავისივე ბედისწერას წერენ. ვაჟა ფშაველას გმირები ხშირად ასეთ ტრაგიკულ ბოლოს შეგნებულად ირჩევენ. ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტები აქტიურად ცდილობდნენ, რომ ეპოვათ პარალელები რეალობაში. იყო თუ არა მე-19 საუკუნის ჩრდილო კავკასიაში ასეთი მაგალითები? როგორც უკვე ადრე ვახსენეთ, ისევე, როგორც ანტიკური ტრაგედიების შემთხვევაში, ვაჟას გმირებსაც ჰყავთ გარკვეული პროტოტიპები.

> *„მთავარი საკითხი, რაც ამ ნაწარმოების ფუნდამენტია, მისი სათაურიდანაც კი ჩანს - „სტუმარ-მასპინძელი“. დასაწყისშივე გვამზადებს ვაჟა დიდი დაპირისპირებისთვის, ნებისმიერ განვითარებად საზოგადოებაში კონფლიქტი გარდაუვალია, ადრე თუ გვიან მაინც მოხდება. ზოგჯერ, ამის შემდგომ იბადება ჭეშმარიტებაც კი, მართალია მწარედ, მაგრამ ასეთი დაპირისპირებებისგან ბევრი შეუძლია ისწავლოს ადამიანს. ადამიანის ბუნება ბოროტი არ არის, არ იბადებიან ბოროტი ადამიანები, დროთა განმავლობაში ცდილობს ბოროტი დაეპატრონოს ჩვენს სულს და ტვინს, ეს კი ადამიანზეა დამოკიდებული, თუ რა დოზით მივცემთ უფლებას ჩვენს თავებს დაეპატრონოს. ეს აზრი განმიმტკიცა აღაზასა და ჯოყოლას ქმედებამ, <u>რაც სიკეთის, სიყვარულის, მეგობრობის რწმენას მიღვიძებს</u>“ (ანა, 22 წ).*

ფოკუსირებული დისკუსიისას გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში ასეთი „ომი“ გარდაუვალია - ოღონდ, ეს არ არის ის ტრადიციული სამოქალაქო ომი, რომელზეც ხშირად საუბრობენ პოლიტიკის მეცნიერების სახელმძღვანელოებში. ეს არის დაპირისპირება იდეებს შორის - მშვიდობიანი თანაარსებობისა და ძალმომრეობის, სტუმართმოყვარეობისა და მოსისხლე მტრობის იდეებს შორის და ეს დაპირისპირება ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ნებისმიერ დროს. და რა ფაქტორები იწვევს ამას? ეს მეტად რელევანტური შეკითხვაა.

რესპონდენტებმა ძალიან საინტერესო პარალელები გაავლეს პოლიტიკის მეცნიერების ცნობილ პარადიგმებთან. რესპონდენტთა პასუხებში იკითხება, თუ

კონკრეტულად რა ელემენტები აკავშირებს ვაჟა ფშაველას ამ პოემას დენის ჯეიდი სანდოლის მიერ ჩამოთვლილ სააზროვნო და სამოქმედო კატეგორიებთან:

„ზვიადაურის და ჯოყოლას პერსონაჟები შეგვიძლია გავაიგივოთ სანდოლის 4 პარადიგმიდან ორ პარადიგმასთან, იდეალპოლიტიკასთან და არამარქსისტულ რადიკალურ აზროვნებასთან. იდეალპოლიტიკის მიხედვით ადამიანის ბუნება კეთილშობილია, რადგან ის არის ღმერთის ხატი და მსგავსი, ჯოყოლასა და ზვიადაურის კეთილშობილება კი მიუხედავად თემის საერთო მენტალობისა არ შეიცვალა, იმ სისხლისღვრების შემდეგად კი, რაც მათ გამოუვლიათ. არამარქსისტული რადიკალური აზროვნების მიხევით, ადამიანი არც კეთილია და არც ბოროტი, ის დამოკიდებულია ონტოლოგიურ, სულიერ მოთხოვნილებებზე, შესაბამისად ზვიადაურის და ჯოყოლას მორალური, შინაგანი სიცარიელეები, რომელიც მათ გააჩნდათ და რომლის ამოვსებასაც ცდილობდნენ ერთმანეთთან ადამიანური ურთიერთობების ქონით, შეგვიძლია დავაკავშიროთ ამ პარადიგმასთან. რაც შეეხება აღაზას, ის ნამდვილას, იდეალ-პოლიტიკის პარადიგმას შეგვიძლია მივუსადაგოთ. თემები კი, რომელიც ერთმანეთს ებრძოდნენ და რომელშიც ნახსენები პერსონაჟები ცხოვრობდნენ, შეგვიძლია ასევე არამარქსისტულ რადიკალურ აზროვნებას დავუკავშიროთ, მაგრამ მათი სულიერი მოთხოვნილებები განსხვავდებოდა ჯოყოლასა და ზვიადაურის მოთხოვნილებებისაგან“ (ნონა, 20 წ).

ფოკუსირებული დისკუსიის მსვლელობისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ვაჟა ფშაველა ფლობდა იმ ისტორიულ ხსოვნას, რომლიდანაც შედარებით ნაკლებად ძალადობრივი კულტურა მოდიოდა. ჯოყოლასა და ალუდას პერსონაჟები ამ „ისტორიული ხსოვნის“ განსახიერებაც არის, რომელიც ხალხურ თქმულებებში კარგად იყო და არის კიდეც შენარჩულებული:

„მკაფიოდ მიყალიბდება შეხედულება, რომ შეცდომაა ადამიანის ბუნება ბოროტად მივიჩნიოთ. მაშინ, როდესაც ჯოყოლასაც და ზვიადაურსაც ჰქონდათ მიზეზი ერთმანეთისადმი მტრული ურთიერთობის ჩამოყალიბების - წარმოადგენდნენ უცხო ტომელებს ერთმანეთისთვის, მათ მშვიდობა არჩიეს, ჯოყოლამ ნანადირევიც უწილადა და სტუმრადაც მიიწვია. არ ვეთანხმები იდეას ძალმომრეობის გარდაუვალობაზე, ეს დამოკიდებულია პიროვნების,

როგორც ინდივიდის არჩევანზე თუ რას მიემხრობა იგი. მაგრამ საინტერესოა ინდივიდების ცალკეული ცვლილება გავლენას ახდენს მთლიან საზოგადოებაზე და საფუძველია მშვიდობიანი და თანასწორი საზოგადოების არსებობისთის? მიმაჩნია რომ არა. საზოგადოებაში, სადაც არსებობს ისეთი ჰუმანური ადამიანი როგორიცაა ჯოყოლა, რომელიც პატიობს საკუთარი ძმის მკვლელს, სადაც არსებობს აღაზა, რომელიც ძმასავით დაიტირებს უცხოტომელს" (დიანა, 20 წ).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ფშაველა გალტუნგისეულ „პოზიტიური მშვიდობისა" და ძველ პელაზგურ მშვიდობის პარადიგმებს ხელახლა ამკვიდრებს. როგორც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა არაერთხელ აღნიშნეს საუბარში, გარკვეული „ხალხური ისტორიული ხსოვნის" ელემენტი ყველა საზოგადოებაში არსებობს მეტ-ნაკლებად და, ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სხვადასხვა ავტორები ქმნიან საკუთარ პროტაგონისტებსა თუ ანტაგონისტებს. უნდა ითქვას, რომ ყველა ტრადიცია არ არის აუცილებლად დაუნდობელი და მტრული - არსებობს უძველესი დროიდან მომავალი თბილი ურთიერთობის ტრადიციებიც - და ეს უთუოდ გასათვალისწინებელია:

„პოემის ტრაგიკული დასასრულის ბოლოს ვაჟა გარდაცვლილი სულების სახელით ჯოყოლა, ზვიადაური და აღაზა რომელიც კლდიდან გადახტა და თავი მოიკლა მეუღლის დაღუპვის გამო, ამბობს მნიშვნელოვან რამეს, რომ განსხვავებული კულტურის წეს-ჩვეულებების მიუხედავად, შესაძლებელია მტერში კარგი თვისებების აღმოჩენა, დაფასება და ძმობაც მაგრამ ეს საზოგადოების უმრავლესობის პრინციპებზე გადაბიჯების, შეურაცხყოფისა და სიკვდილის ფასად ხდება" (ლევანი, 20 წ).

ეს ძალზედ მნიშვნელოვანი თვალსაზრისია. შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტის, ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ისტორიული მეხსიერება ინახავს არა მხოლოდ ნეგატიურ მომენტებს, არამედ იმ პერიოდების ჩვეულებებსაც, როდესაც სიცოცხლის უკმარისობა ასე არ იყო გაბატონებული ჩვენს პლანეტაზე.

ვაჟა ფშაველას შემოქმედება ამის ძალიან კარგი მაგალითია. მისი ტრაგიკული ნაწარმოები "სტუმარ-მასპინძელი" კი - მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი

უდიდესი შედევრი, სადაც მოცემულია ნამდვილი ჰუმანისტური იდეალი, რომლის მიმდევრობაც დღეს შესაძლოა, უფრო მეტად იყოს აქტუალური, ვიდრე - ოდესმე.

10.8 ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“

ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოემა „განდეგილი“ 1883 წელს გამოქვეყნდა. ენციკლოპედიურ ცნობარებში მასზე გავრცელებულია მოსაზრება რომ ეს გახლავთ „ეპიკური პოემა”, თუმცა, სიუჟეტის განვითარების მიხედვით, ფაქტობრივად, წარმოადგენს ლექსის ფორმით დაწერილ კლასიკურ არისტოტელურ ტრაგედიას, რომელშიც მისი ყოველი ნაწილი არის სრულყოფილად წარმოდგენილი. ეს ნაწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ადამიანის შინაგან და სულიერ ძალმომრეობას ეხება, ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და ფილოსოფიური პოემაა, რომელსაც აშკარად დრამის ფორმა აქვს.

> *„ძალიან მნიშვნელოვანია განდეგილისა და მწყემსი ქალის დიალოგი, ეს დიალოგი წარმოადგენს ამ ნაწარმოების მთავარ ღერძს, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი ნაწარმოების არსი და ავტორის მთავარი სათქმელი. ბრძოლას ბოროტებასთან, ძალმომრეობასთან, ამპატრავნებასთან, მომაკვდინებელ ცოდვებთან და ასე შემდეგ. თუმცა ბოროტების და ძალმომრეობის თავიდან აცილება, მიმაჩნია, რომ არის შესაძლებელი. „განდეგილი“ მაგრძნობინებს, რომ ადამიანის ბედნიერებას თუ უბედურებას თვითონ მის მიერ გაკეთებული არჩევანი იწვევს“ (ლანა, 22 წ).*

ამ შემთხვევაში რესპონდენტი საუბრობს იმის შესახებ, რომ თუკი “ხორციელი ლტოლვისაგან“ თავის შეკავება შესაძლებელია, მაშასადამე, “ადამიანის ბუნება ბოროტი არ არის“ და, შესაბამისად, “არც ძალმომრეობის თავიდან აცილებაა შეუძლებელი“. ეს მეტად მრავლისმეტყველი თვალსაზრისია, რადგანაც საუბარია “ძირეულ ადამიანურ მოთხოვნილებებზე“, როგორც ბიოლოგიურზე, ასევე ონტოლოგიურზე - და ბოლოს ასკვნის, რომ თუ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზე უარის თქმა შესაძლებელია, მაშინ, ბუნებრივია, ონტოლოგიური მოთხოვნილების პრობლემის დაძლევაც შესაძლებელია.

თუმცა, ცხადია, შესაძლებლობა, სიტუაციური ფაქტორების ზეგავლენით, საპირისპირო ალტერნატივის რეალიზების ალბათობასაც გულისხმობს და

ზოგიერთმა რესპონდენტმა სწორედ ამ პერსპეტივიდან წარმოადგინა საკუთარი თვალსაზრისი:

„ამ შემთხვევაში განდეგილმა გამოავლინა ბოროტისკენ (ცოდვისკენ) მიდრეკილება. მიუხედავად იმისა რომ იყო ძალიან დიდ რწმენაში, როგორც კი გაჩნდა მომენტი განსაცდელისა და ღმერთმა მოუწყო გამოცდა, განდეგილმა ბოროტს ვერ სძლია და ჩავარდა განსაცდელში. ზოგადად ადამიანის ბუნება ნაწილობრივ ბოროტისკენ არის მიდრეკილი, სწორედ აი ასეთი დღეებით და გამოცდებით ან ვამარცხებთ ჩვენში ეშმაკს ან პირიქით. არ ვთვლი რომ განდეგილმა გამოამჟღავნა მისი ბოროტი ბუნება, რადგან მან დახმარების ხელი გაუწოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს, ხოლო იმ მომენტიდან, როდესაც გაიგებს რომ მის წინ წარსდგა ქალი, შეშფოთდება და თვითონვე დაფიქრდება იმაზე თუ იყო ეს ღმერთის მიერ მოვლენილი გამოცდა თუ არა. უფრო მეტიც, ის საქციელი, რაც განდეგილს ჩაეთვალა ცოდვაში, შესაძლოა ერისკაცისთვის არ ყოფილიყოს ცოდვა. ჩემი აზრით ამ შემთხვევაში ავტორს უნდა წარმოაჩინოს, რომ ნებისმიერი ადამიანი არ იყოს ბოლომდე მზად სძლიოს ცდუნებას“ (ვიკა, 20 წ).

ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ „მეომრის კულტი“ და „დამპყრობლის კულტურა“ უკვე თავის თავში გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობას, მაგრამ, ამავე დროს, ადამიანებში არის არა-ძალმომრეობითი ტრადიციების მთელი რიგი, რომლებიც უარს ათქმევინებენ მას ასეთ აქტებზე. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მოიყვანა ქართული ხალხური ცეკვის მაგალითი, სადაც ქალთან ერთად მოცეკვავე მამაკაცი ფეხის წვერებზე დგომით და დისტანციის დაცვით გამოხატავს საკუთარ პატივისცემას ქალის მიმართ. ეს მისი აზრით სწორედ იმ პერიოდიდან მოდის, როდესაც საქართველოში „ქალის კულტი“ იყო და მამაკაცებს დიონისური ტრადიციებიდან მოეთხოვებოდათ პატივისცემა ქალების მიმართ.

ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, პატრიარქატი არის მთავარი მიზეზი იმისა რომ ქალის გამოსახვა მოხდა როგორც „სექსუალური ობიექტისა“ და ეს დამოკიდებულება ქალის მიმართ ჩაისახა ბრინჯაოს ხანაში.

ადრეულმა ქრისტიანობამ, პრაქტიკულად, დასახა ქალთა მიმართ ძალმომრეობის და „მეომრის კულტის“' ალტერნატივა - თუმცა. დიდი განხეთქილებების და კათოლიკური ინკვიზიციის პერიოდში უკვე მოხდა სექსიზმის

და ძალმომრეობის კულტურის ხელმეორედ დამკვიდრება. გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ „ჯვაროსნული ლაშქრობები“ სინამდვილეში ზევსიანური ცივილიზაციის გამოვლინება უფრო იყო, ვიდრე ქრისტეს სწავლებისა. ამაზე რესპონდენტები ბევრს საუბრობდნენ:

> *„ადამიანის ბუნება: <u>თუ ჩვენ საკუთარ თავს დავაკვირდებით,</u> მივხვდებით, რომ ადამიანის ბუნება უფრო კეთილშობილურია ვიდრე აგრესიული. თუ ავიღებთ ცხოველის მაგალითს: მშვიდი და წყნარი ბუნების მქონე ცხოველს შესაფერისი აგებულების სხეული აქვს, ხოლო მტაცებელ ცხოველს სხეული მათი ბუნების შესაბამისია, აქვთ ბრჭყალები, ეშვები რომელიც თავდასხმისა და ნადირობისთვის სჭირდებათ, სხვა ცხოველებს კი თავდაცვისთვის და სახეობაში დომინანტობისთვის სჭირდებათ. შესაბამისად, დავინახავთ, რომ ჩვენი სხეული კეთილშობილური აღნაგობისაა. მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას, რომ ადამიანს აქვს კეთილშობილური გარეგნობა სხვა ცხოველებთან შედარებით, მაგრამ რატომ აქვს მაინც ასეთი დიდი ადგილი სამყაროში ადამიანის ჩადენილ სისასტიკეს? ეს ყველაფერი კი ხდება ჩვენივე შექმნილი სასიკვდილო იარაღებით, ნაწილი კი ადამიანების შემოქმედებითი და ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებების დაცვისთვის იბრძვის. ალბათ ეს ადამიანის განვითარებულმა ინტელექტმა და მისმა კეთილშობილურმა, ამავე დროს, სასტიკმა პიროვნულმა საწყისებმა განაპირობა, რომელიც საჭირო პირობების შექმნისთანავე ვითარდება და ვითარდება სასტიკი, ბოროტი ან ლმობიერი, კეთილი ადამიანი. სულიერი ცხოვრებისა და ხორციელ ნეტარებას შორის არჩევანის გაკეთების, ორი ლტოლვის ურთიერთდაპირისპირებაზე ილია ჭავჭავაძემ საკუთარი შეხედულებები შემოგვთავაზა პოემა „განდეგილში“ <u>და ეს დაპირისპირება ჩემთვის სრულიად გასაგებია</u> (ილია, 22 წ).*

ადამიანის ბუნება თუ საწყისიდან არ არის ბოროტი და მტაცებელი, რა არის იმის მიზეზი, რომ კაცობრიობას ამდენი ძალადობა ახსოვს - და, გარდა იმისა, რომ უკანასკნელი 3000 წლის განმავლობაში თითქმის ყოველი 30 წლის განმავლობაში დიდი ომები და ძალადობაა - ასევე სისტემატური ხასიათი აქვს ქალთა სქესის მიმართ ძალმომრეობას. ქალის გაუპატიურება, ექსპლუატაცია, იძულება, ცემა და მკვლელობა,

პატრიარქატის პერიოდში, პრაქტიკულად ყოველდღიურ მოვლენად იქცა. ზევსიანურმა „მეომრის კულტის“ სისტემამ ეს არათუ შესაძლებელი, არამედ პრაქტიკულად აუცილებელიც გახადა, თუმცა, ძალადობრივი სექსუალური ურთიერთობები არანაირად არ იყო მანამდელი კულტურის ნაწილები, როდესაც „ქალღმერთები“' მეფობდნენ. ქალების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომები იკვეთება უკვე არგონავტების მიერ კოლხეთიდან „ოქროს საწმისის“' წამოღებისას. სექსიზმი და ქალთა მიმართ ძალადობრივი დამოკიდებულება რესპონდენტების მიერ პირდაპირ კავშირში განიხილება მილიტარიზმის კულტთან. ილია ჭავჭავაძის მიდგომა ამ საკითხისადმი უფრო იდეალისტურია, როგორც დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა. მის ტრაგიკულ პოემაში გამოსავალი მხოლოდ იდეალისტური წესებით მოინახა - ვინაიდან ქალზე ძალადობაზე გაფიქრებაც კი უკვე დიდი ცოდვაა - განდეგილი ბერი უარს ამბობს თავის ცხოვრებაზეც კი. პრაქტიკულად ის თმობს მისთვის ყველაზე ძვირფასს, იმისათვის რომ მასში ონტოლოგიურმა საწყისმა სძლიოს ბიოლოგიურს:

„ეს ყველაფერი იდეალპოლიტიკასთან უნდა დავაკავშიროთ, რომლის მიხედვითაც ადამიანის ბუნება არის კეთილი, რადგან ადამიანი ღმერთის მიერაა შექმნილი, რომელშიც ჩადო კეთილშობილება, ამიტომაც მას შეუძლია იყოს კარგი, ისევე, როგორც ღმერთის ხატი და მსგავსი. შესაბამისად, ადამიანის ბუნების ბოროტებას სრულიად არ ვეთანხმები. ძალმომრეობის გარდაუვალობასაც სრულიად არ ვეთანხმები, რადგან მიუხედავად ბოროტის მცდელობისა ეცდუნებინა ბერი, მას მაინც გააგნებინა უფალმა მისი სულის ხსნისაკენ მიმავალი გზა და საბოლოოდ, ღმერთმა შეუნდო მას ცოდვისაკენ გადაგმული რამდენიმე ნაბიჯი, ვინაიდან ბერმა გაიაზრა მისი შეცდომა და ამქვეყნიური სიცოცხლეც განუტევა. შესაბამისად, მსგავსი კეთილშობილებით ადამიანებს შორის მშვიდობიანი და თანასწორი ურთიერთობის საკითხს ვეთანხმები. მგონია, რომ მსგავს მშიდობიან და ჯანსაღ გარემოში, სადაც კეთილშობილებით ხარობს ხალხი და ერთმანეთს არ ერჩის შეუძლებელია ვინმემ ვინმე გაწიროს, წუთისოფლის ნაადრევად წართმევით, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ძალადობა და ომი არ არის გარდაუვალი. <u>ვთვლი რომ ის თანასწორობა და თავისუფლება, რწმენისადმი სიმყარე და საკუთარი ჯანსაღი</u>

ცხოვრების გზის თავად არჩევა, მშვიდობიანი ცხოვრების საწინდარია ამქვეყნად და შემდგომ კი, თავად უფლის ნებით, იმქვეყნად“ (გურანდა, 22 წ).

10.9 ჯორჯ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი”

ცნობილი ირლანდიელი დრამატურგი ჯორჯ ბერნარდ შოუ, რომელიც საკუთარივე სურვილით მხოლოდ „ბერნარდ შოუდ” მოიხსენიებოდა, მსოფლიო დრამატურგიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. მი სი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვვნელოვანი გამოთქმა გახლავთ: „ცხოვრება საკუთარი თავის პოვნისათვის კი არა, საკუთარი თავის შექმნისთვისაა”. ამ ციტატაში კარგად ჩანს ირლანდიელი დრამატურგის შემოქმედებითი კრედო და მისი ნაწარმოებების არსი. მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე სამოცზე მეტი პიესა და უამრავი ესსეისტური ნაწარმოები, რომელთაც ფაბიანელ სოციალისტთა პოპულარულ ჟურნალში ბეჭდავდა. ის ბრიტანული დრამის ისტორიაში შევიდა, როგორც მისი ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

„დიდაქტიკურ დრამად” მიჩნეული შოუს „პიგმალიონი” ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის ნაწარმოები იყო მის თანამედროვეობაში. მასში ბერნარდ შოუმ განამტკიცა მისი რწმენა იმაში, რომ ყოველ ადამიანში სოციალური გარემოს გამოსწორებას შეუძლია შექმნას ჭეშმარიტი არისტოკრატი დახვეწილი მანერებით და რომ პიროვნების ჩამოყალიბებას მხოლოდ გენეტიკა არ განსაზღვრავს.

ბერნარდ შოუს ამ ნაწარმოებს დიდი წარმატება ხვდა არა მხოლოდ მკითხველებში, არამედ დრამატულ სცენაზეც და კინემატიოგრაფიულ ეკრანზეც. ჰოლივუდში შექმნილი „ჩემი მშვენიერი ლედი“,რომელშიაც ცნობილი მსახიობები რექს ჰარისონი და ოდრი ჰეპბერნი მონაწილეობდნენ, ბლოკბასტერის ჰიტიც გახდა 1960-იან წლებში და „ოსკარის“ პრემიის ლაურეატიც.

ცხადია, ადამიანებს განწყობის დონეზე, ხშირად უხარიათ სოციალური პროგრესის შესაძლებლობის დანახვა და ამაზე მეტყველებს მათი რეაქციებიც:

> *„საკითხი, რაც შოუმ „პიგმალიონში“გამოკვეთა, ეს არის სოციალური უთანასწორობის პრობლემა, საზოგადოებაში ადამიანთა უთანასწორობის პრობლემა. ზედა კლასების განსხვავებას დაბალი კლასებისგან წარმოადგენს: ჩაცმულობა, საუბრის სტილი, მანერები, განათლება და ასე შემდეგ. ეს*

განსხვავებები შესაძლებელია გადალახულ და შეცვლილ იქნეს. ჰიგინსის ნიჭი და პიკერინგის კეთილშობილება ნამდვილად ქმნიან ჰერცოგინიას ყვავილების გოგონიდან და ეს შეიძლება გავიგოთ, როგორც მომავალი სოციალური პროგრესისა და ემანსიპაციის სიმბოლო. მთავარი პრობლემა, რომელსაც შოუ ოსტატურად წყვეტს პიგმალიონში, იყო კითხვა "ადამიანი ცვალებადი არსებაა?" ეს პოზიცია სპექტაკლში დაკონკრეტებულია იმით, რომ გოგონა ისტ ენდიდან, ბავშვის ყველა მახასიათებლით, მაღალი საზოგადოების ქალბატონის ხასიათის მქონე ქალად იქცევა. იმის საჩვენებლად, თუ რამდენად რადიკალურად შეიძლება შეიცვალოს ადამიანი, შოუმ არჩია ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა. ის გვეუბნება, რომ ადამიანში ნებისმიერი სხვა ცვლილებაც აუცილებლად შესაძლებელია. <u>სწორედ ეს ნაწარმოები მიჩენს განცდას,</u> რომ თავისუფლება და თანასწორობა ერთად უდრის მშვიდობას. იქ, სადაც თავისუფლება და თანასწორობა ერთგვარ კოლაბორაციაში არიან, პროგრესი გარდაუვალია. პროგრესი კი, მიმაჩნია, რომ მშვიდობისთვის აუცილებელი წინაპირობაა“ (ნათია, 21 წ).

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ თუკი პროგრესი მიღწევადია - შესაძლებელია არაძალადობისა და მშვიდობის მიღწევაც. ბერნარდ შოუს მშვიდობისმოყვარე პოზიცია ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის დროს და ამისათვის მან ბევრი კრიტიკული შეფასებაც დაიმსახურა. ომის პერიოდში პაციფისტური შეხედულებები საკმაოდ დიდი რისკის შემცველია. რესპონდენტთა პოზიციების მიხედვით, „ადამიანის ბუნების“ შესახებ წარმოდგენა ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდგომ, შედარებით უფრო ოპტიმისტურია, თუმცა პროფესორი ჰიგინსის საქციელი ელაიზას მიერ დაფიქრების საგანია:

„ადამიანის ბუნების რაობის მიხედვით რომ დავახასიათოთ ეს ნაწარმოები, არ დავეთანხმებოდი, რომ ადამიანის ბუნება არის ბოროტი. ელაიზას სახით მაგალითია იმის, რომ არის გამონაკლისი შემთხვევები როცა გარემოება არ გცვლის. რაც შეეხება ომს, ძალადობასა და ძალმომრეობას მისი მსხვერპლი ნებისმიერი დროს შეიძლება გახდეს ადამიანი. ჩავარდები ერთხელ მაინც ისეთ სიტუაციაში, როდესაც გამოუვალი იქნება და გახდები ან

ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობისა და ძალმომრეობის მსხვერპლი. ელიზას შემთხვევაში ფსიქოლოგიურ ძალადობას უფრო ხშირად ჰქონდა ადგილი. ხშირად ხვდებოდა პროფესორის დაუფიქრებელი და ყინულიანი სიტყვების მსხვერპლი, ბოლო კამათის შემდგომ როდესაც დგება და მიდის კვლავ ქუჩაში, თავს ყველაზე გამოყენებულ და არარაობა გოგოდ გრძნობს (ნანა, 19 წ).

„პიგმალიონმა“ დასახა გზა კაცობრიობის განვითარებისა სინათლისაკენ - ეს იყო გზა არისტოტელეს ტრაგედიის ტრანსფორმაციისა, რომელიც საბოლოო ჯამში „ეპიკურ დრამამდე“ მიგვიყვანს. ამან რესპონდენტებს შესაბამისი განწყობა შეუქმნა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, მათი გარკვეული ნაწილი პარალელებს მარქსიზმთან ავლებს;

„საზოგადოება ახალ იდეებს, ახალ მიზანს ყოვლად მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ხშირ შემთხვევაში ამას მებრძოლი საზოგადოების დაღუპვა ახლავს, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვან მიზანს მსხვერპლი თან ახლავს, დროთა განმავლობაში საზოგადოება იყოფოდა ორ კლასად ბურჟუაზიულ და პროლეტარულ კლასებად - ისინი გამოჩნდნენ, როგორც ორი დაპირისპირებული და დაყოფილი ბანაკი სადაც, საზოგადოების ეს ორი ნაწილი განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობდა“ (გოგა, 22 წ).

ცხადია, ბერნარდ შოუ თავისი პოლიტიკური მრწამსით ფაბიანური სოციალიზმის წარმომადგენელი იყო, თუმცა მას თავის ესსეებში ხშირად ჰყავდა გაკრიტიკებული თვით მარქსი. ერთ-ერთ თავის ესსეში მარქსის შესახებ ის ამბობს: „მარქსის „კაპიტალი“ არ არის სოციალიზმის ტრაქტატი; ეს არის გერიმანდი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ის უნდა დაწერილიყო მშრომელთა კლასისათვის, მაგრამ მშრომელი ადამიანი პატივს სცემს ბურჟუაზიას და უნდა რომ გახდეს ბურჟუა. მარქსმა ეს მომენტი ვერასდროს დაიჭირა. წითელი დროშა, ბურჟუაზიის წიაღში აჯანყებულმა შვილებმა - ჩემნაირმა ადამიანებმა შეღებეს. საზოგადოების რევოლუციური ელემენტი საშუალო და ზემო კლასებს შორისაა. პროლეტარიატი კონსერვატიული ელემენტია“ - ეს სიტყვები ნათლად მეტყველებს ჯორჯ ბერნარდ შოუს ფაბიანური სოციალიზმის განსხვავებაზე დოგმატური მარქსიზმისგან. 1928

წელს იგი წერს თავის ერთ-ერთ უკანასკნელ პროგრესულ ტრაქტატს: "სოციალიზმისა და კაპიტალიზმის გზამკვლევი განათლებული ქალბატონებისათვის". შეიძლება ითქვას, რომ ბერნარდ შოუს შემოქმედებაში ეს უკვე პროგრესის უკანასკნელი გაბრძოლებაა. ელაიზა დულიტლი დღემდე. მის მთავარი მიღწევად რჩება

„ელაიზამ კი სრული მეტამორფოზა განიცადა. მისი შრომა დაფასდა, მისი გზა განათდა და მან სიყვარულიც კი იპოვა, მისი პროფესორის, ჰიგინსის, სახით.

ყველაფერი განხილული, <u>მაძლევს იმედს</u> რომ ადამიანური ბუნება არაა ბოროტი. შესაძლოა კლასობრივი დაყოფა დისკრიმინაციის გამომწვევი იყოს, მაგრამ იმჟამინდელ მსგავს დაყოფას ბოროტებაზე მეტად უფრო განსხვავებული ფასეულობები და ბედ-იღბალზე დამოკიდებულება ედო საფუძვლად - ან იბადებოდი თავადიშვილად, ან არა. ძალმომრეობა, ამ შემთხვევაში, ვთვლი, რომ არაა გარდაუვალი, რადგანაც ძალის გამოყენება, ვინმეზე რაიმეთი მორევისა და გამარჯვების კუთხით, ნაწარმოებში წარმოდგენილ საზოგადოებაში, არ იკვეთება. ადამიანების შორის მშვიდობიანი ურთიერთობა, ვფიქრობ, რომ შესაძლებელია იმ თანასწორობით, რომელიც ყველა ადამიანს მისცემს საშუალებას, რომ იყვნენ ისინი, ვინც შეუძლიათ, რომ იყვნენ და არა მხოლოდ ისინი, ვისად ყოფნაც შთამომავლობით ერგოთ. ომი და ძალმომრეობა მშვიდობიან და თანასწორ საზოგადოებაში, ვფიქრობ, რომ არაა გარდაუვალი, რადგანაც როდესაც საზოგადოება გაწონასწორებულია ჯანსაღი დამოკიდებულებებით ერთმანეთისადმი და საკუთარისა, თუ სხვისი ცხოვრების პატივისცემით, ყველაფერი ნაკლებ-კონფლიქტურ სახეს იღებს. სწორედ ამიტომაც, ის თავისუფლება, რომელიც გვეძლევა და ერთმანეთთან თანასწორობა, რომელსაც ვიზიარებთ არის წინამორბედი იმ მშვიდობისა, რომელსაც საზოგადოებას, მისივე კეთილშობილებით, შეუძლია რომ მიაღწიოს" (ლიზიკო, 21 წ).

ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ბერნარდ შოუსა და მისი თანამოაზრე ჰუმანისტების ხელოვნება და "შემოქმედებითი განვითარების" მთელი კონცეფცია მაინც კვაზი-რელიგიური შეხედულებების კრებულია, სადაც "კეთილმა სძლია

ბოროტსა“ (ანა, 18 წ) მაინც მითო-პოეტური ენით არის ნათქვამი. თუმცა, ცხადია, ამ თეორიის ემპირიული დადასტურების პოვნა ძალიან რთული ამოცანაა, განსაკუთრებით, დღევანდელ ემპირიოცენტრისტულ დისკურსში.

10.10 ბერტოლტ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“

ცნობილი გერმანელი დრამატურგი ბერტოლტ ბრეხტი დრამატურგიის ისტორიაში შევიდა როგორც „ეპიკური დრამის“ მიმდინარეობის დამფუძნებელი, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა მეოცე საუკუნის თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. მისი პირველი დრამები ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში დაიდგა და ახალგაზრდა ავტორს დიდი წარმატება მოუტანა. ის ბავარიიდან ბერლინში გადადის 1924 წელს და კურტ ვაილთან და ჰანს აისლერთან თანამშრომლობის შედეგად წერს საყოველთაოდ სახელგანთქმულ ეპიკურ დრამას „სამგროშიან ოპერას“. ფრიად ახალგაზრდა ასაკში ბრეხტი ეპიკური თეატრის თეორეტიკოსიცა და პრაქტიკოსიცხდება .

„სამგროშიანი ოპერა“, ისევე როგორც „კავკასიური ცარცის წრე“, ყველა დროის ეპიკური დრამის ერთ-ერთ წამყვან ნაწარმოებს წარმოადგენს . აქ ნაწარმოების ფაბულა შეცვლილია მთლიანად - პროტაგონისტები, ანტაგონისტები და მასობრივი სცენის წარმომადგენლები ცხოვრებას იწყებენ და აწარმოებენ „ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში“, სადაც მათ არავითარი უსაფრთხოება არა აქვთ ბანკირებისა და მევახშეების ხელში - ანუ ისინი ისეთ ჯოჯოხეთურ სისტემაში ცხოვრობენ, სადაც მათ ამოსუნთქვის საშუალება არა აქვთ და ამ დროს, ისევე, როგორც ჯორჯ ბერნარდ შოუსთან, გამოჩნდება ადამიანური ღირსებების მქონე „სუპერმენი“ ან უბრალოდ „კეთილი ადამიანი“, რომელიც თავის მეზობლებს, ახლობლებს, მტრებსაც კი, ადამიანურად ექცევა და ეს საყოველთაოდ საკვირველი რამ არის გვერდზე მდგომთათვის. ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტები პირველ რიგში, სწორედ ამ საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას:

> *„პიესაში „სამგროშიანი ოპერა“, სადაც წარმოდგენილია დაუნდობელი სამყარო, მიმდინარეობს ბრძოლა გადარჩენისთვის. მძაფრად სოციალურ სივრცეში ვხედავთ რამხელა დროს ხარჯავენ ადამიანები ერთმანეთის*

განადგურებაზე და ამისათვის ყველა ხერხს მიმართავენ. მას შემდეგ, რაც სამი მსხვილი კლანი ქალაქს აკონტროლებს, მოდის ახალი თაობა „მეკი დანას“ სახით. ნაწარმოებში ორი სხვადასხვა ბოროტება უპირისპირდება ერთმანეთს. ორი ბოროტება სხვადასხვა ლოგიკით. მიმაჩნია რომ ავტორის ძირითადი სათქმელი არის ის, რომ ბოროტება არ არის მარადიული, რომ ბოროტება თავად განადგურებადი მოვლენაა. თუმცა როგორ უნდა ვებრძოლოთ მას და რა ხერხებით ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ზოგჯერ ბოროტებასთან ბრძოლის პროცესი ძალიან დამანგრეველია, როცა ის ძალიან ძლიერია ადამიანი მასთან ბძოლით ზიანდება, ამიტომ ვთვლი, რომ მასთან ბრძოლა ძალიან დიდ რაციონალურობას საჭიროებს“ (გურანდა, 19 წ).

ცნობილი ფაქტია, რომ ბრეხტი ახალგაზრდა ასაკიდან იყო ძალადობისა და ომის მოწინააღმდეგეც. 1915 წელს იგი კინაღამ სკოლიდან გარიცხეს იმისათვის, რომ დაწერა ომის საწინააღმდეგო წერილი. ის ამ პოზიციაზე დარჩა ცხოვრების ბოლომდე და მისი სხვა დრამები და მათს შორის „დედილო კურაჟი და მისი შვილები“ სწორედ ამ იდეას ემსახურებიან. რაც შეეხება კონკრეტულად „სამგროშიან ოპერას“, ეს მეოცე საუკუნის ფინანსურ-ეკონომიკური სისტემის ნიღბის ამხდელი ნაწარმოებია, რომელშიაც ბრეხტი კარგად აჩვენებს, თუ რამხელა ჯოჯოხეთია ასეთ „საბანკო“ სისტემაში ცხოვრება, სადაც ადამიანების უმრავლესობა სწორედაც რომ ჯოჯოხეთურ საკრედიტო პირობებშია ჩავარდნილი ფინანსური და ეკონომიკური ელიტის მიერ.

„სამგროშიანი ოპერა“ შემდეგი ავტორისეული მონოლოგით იწყება: „თქვენ ახლა მოისმენთ ოპერას მათხოვრებისათვის. რადგან ეს ოპერა ისეთი მშვენიერი უნდა ყოფილიყო, რომ მხოლოდ მათხოვრებს შეუძლიათ ამის წარმოდგენა და ამავე დროს ისეთი იაფი საყურებლად, რომ მათხოვრებმა შეძლონ მისი ნახვა და სწორედ ამიტომ ვუწოდე მას „სამგროშიანი ოპერა“. ამ საწყისი მონოლოგით ბრეხტი პრაქტიკულად თავდაყირა აყენებს ტრადიციული „მდიდრების ოპერის“ ჟანრსა და მიმდინარეობას და, უფრო მეტიც, იგი თავადყირა აყენებს თვით არისტოტელურ დრამასაც, ქმნის მის ალტერნატივას მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში.

რაშია საიდუმლო იმისა რომ მაყურებელი ასე თბილად იღებს ლონდონელი პოპერების ცნობილი ბანდიტის „მეკი დანას“ ამბავს? ამ საკითხთან დაკავშირებით, რესპონდენტები სხვადასხვა ფაქტორებს ასახელებენ“

„ჯინი ჯენი მღერის "სოლომონის სიმღერას" სცენის ბოლოს, რომელიც <u>მიჩენს</u> <u>განცდას,</u> რომ ადამიანებისთვის "უკეთესია" სავარაუდო კარგი თვისებების: სიბრძნის, გამბედაობისა და ემოციის გარეშე, რადგან ისინი საბოლოოდ იწვევს მათ დაცემას. გადარჩენისთვის ბრძოლაში მხოლოდ პირად ინტერესებს შეუძლია ჯილდოს მოტანა. პოლი პიჩუმი მიდის ციხის სხვენში, სადაც ლუსი ცხოვრობს მამასთან, ტაიგერ ბრაუნთან ერთად. პოლი ბოდიშს იხდის წინა დღის საქციელის გამო. მათი საუბარი ცივილურია, მაგრამ ორი ქალი მაინც ისე ეპყრობიან ერთმანეთს, როგორც მეტოქეებს“ (მანანა, 21 წ).

ანუ ლონდონელი პოპერების სამყაროშიც მეტოქეობასა და კონკურენციას დიდი ადგილი უჭირავს მაინც. ზოგიერთი რესპონდენტი ამ დროს პარალელებს ავლებს დღევანდელ დღესთანაც. ისინი თვლიან, რომ „მდიდრების სისტემაში“ ყველანაირი კორუფცია დაშვებულია „მდიდრების წრისთვის, ხოლო ღატაკებისათვის კანონიც არ არსებობს. აქ ფიგურირებს მეტად მნიშვნელოვანი „მეკი დანას“ მიერ წარმოთქმული სიტყვა-ზონგი, სადაც ის ლონდონის გეტოს „სამართალს“ აყენებს.

„ადამიანებს შორის თანასწორი და მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეა არ არის ბრეხტის მიერ წარმოდგენილი, ის თვლის რომ ამის მიღწევა შესაძლებელია, მაშინ, თუ სისტემა შეწყვეტს ხალხისგან მოპარვას. ის მიიჩნევს არაძალადობრივ გზებს სწორად, მაგრამ რადიკალურ სიტუაციაში მისთვის ომი და ძალადობაც განხილვადი გამოსავალია. ის თვლის, რომ თავისუფლება და თანასწორობა მოჩვენებითია, მომხვეჭელი მევახშეების არსებობისას და ის საზოგაოდებისათვის მშვიდობის მომტანი ვერ იქნება. მას პირიქით არავისთვის არ მოაქვს მშვიდობა, მხოლოდ ბანკირებისათვის, რომელიც მათ ავტორიტეტს ამოფარებულნი დაუძლეველ ძალად ევლინებიან საზოგადოების „მოწყვლად რიგებს“. თავად საზოგადოება და მეკი-დანა კი შეგვიძლია გავაიგივოთ არამარქსისტულ რადიკალურ აზროვნებასთან, რომლის მიხედვითაც ადამიანი არც კეთილია და არც ბოროტი, მისი ბუნება დამოკიდებულია ონტოლოგიურ

მოთხოვნილებებზე. მეკი-დანას და სხვებს იმაზე ბევრად მეტი სულიერი სიღრმე ჰქონდათ, ვიდრე ბანკირებს, ამიტომაც მათი მოთხოვნილებები მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე არ გადიოდა" (თეო, 22 წ).

„მეკი დანას" უკანასკნელი მიმართვა ხალხისადმი ასეთია: „რას ნიშნავს ვინმესთვის სახლის კლიტეს მოპარვა აქციების ყიდვასთან შედარებით? რითია ბანკის გაქურდვა მის დაფუძნებაზე უარესი? რითია ადამიანის მოკვლა მის მსახურად ქცევაზე უარესი?" ეს ზონგი დღესაც დიდი აქტუალობით სარგებლობს, განსაკუთრებით, იპოთეკური სესხების გამო, ადამიანების დიდი რაოდენობის ფინანსურ მონობაში ჩავარდნის პირობებში. ეს არის დღევანდელი რეალობაც.

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ბრეხტი არასდროს ყოფილა ორთოდოქსი მარქსისტი. მისი „ოპტიმისტური" ეპიკური დრამა, რომელიც თავდაყირა აყენებს არისტოტელური ტრაგედიის ფაბულას, არის უბრალოდ „მართალი კაცის ამოძახილი" იმ საშინელი სისტემის წინააღმდეგ, რომელშიაც კაცობრიობა ცხოვრობს მილიტანტური პატრიარქატისა და „კერძო საკუთრების" კულტის დამკვიდრების შემდეგ ჯერ კიდევ „ოქრომრავალი მიკენის" პერიოდიდან. ისინი აღნიშნავენ რომ:

„შესაძლებელია სისტემის პოზიტიური და არაძალადობრივი ცვლილება და რომ ძალმომრეობა არ არის ერთადერთი და ყველაზე სწორი გამოსავალი" (გოგა, 21 წ).

ბრეხტის დაბრუნება კლასიკური დრამატურგიის Deus ex Machina-სთან ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია მეტაფიზიკური ძალების გამოყენებით ადამიანებმა კრეატიულად გარდაქმნან სისტემა.

10.11 ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე"

ბერტოლტ ბრეხტმა თავისი კიდევ ერთი ცნობილი ეპიკური დრამა „კავკასიური ცარცის წრე" 1944 წელს დაწერა, როდესაც ის ემიგრაციაში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც თვითონ აღნიშნავდა, ამ დრამის შინაარსი მან ისესხა მე-14 საუკუნის ჩინელი მწერალი ლინ ქსინგდაოსაგან, რომელსაც ეკუთვნოდა პიესა სახელად „ცარცის წრე". ბრეხტის ეს ნაწარმოები გერმანულ ენაზე დაიწერა და ინგლისურად თარგმნა ერიკ ბენტლიმ. მისი პრემიერა სტუდენტების კარლტონის

კოლეჯში 1948 წელსშედგა. დრამა მომღერალ მოდერატორს მიჰყავს. რობერტ სტურუას მიერ 1975 წელს დადგმულ რუსთაველის თეატრის ინსცენირებაში ამ წამყვანის, გალის როზა ლუქსემბურგის კოლმეურნეობის მთავარ პოეტ-ეკონომისტს, არკადი ჩხეიძეს თამაშობს მსახიობი ჟანრი ლოლაშვილი. თავიდან მუსიკალური გაფორმება ეკუთვნოდა ამერიკელ კომპოზიტორ მარკ ნიკოლსს, რომელმაც სცადა რომ ჩაერთო ქართული პოლიფონიური მუსიკის ელემენტებიც. შემდგომში კი გია ყანჩელის მუსიკა, რობერტ სტურუას სპექტაკლისათვის უკვე უკვდავად შევიდა ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო. რესპონდენტებისათვის მეტად საინტერესო იყო, რომ ეს პიესა ბერტოლტ ბრეხტმა ჩინეთიდან საქართველოში გადმოიტანა და პრაქტიკულად ყველა გმირის სახელი ქართული იყო. რაც მთავარია, მთავარი გმირი ქალი, გრუშე ვაჩნაძე, აგრეთვე ქართველად წარმოაჩინა. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა. რომ მსოფლიო დრამატურგიის ისტორიაში ქართველი ქალების პროტაგონისტობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ევრიპიდეს მედეადან დაწყებული, ბერტოლტ ბრეხტის გრუშე ვაჩნაძით დამთავრებული, უკვე მეოცე საუკუნეში და მეორე მსოფლიო ომის დროს. გაურკვეველია, რატომ გამოიყვანა მთავარი კეთილი გმირი ბრეხტმა ქართველ ქალად. მისი დღემდე შემორჩენილი ბიოგრაფიიდან თითქოს არ ჩანს, რომ ბრეხტი საქართველოში ხანგრძლივი პერიოდით ერთხელ მაინც ნამყოფი იყო. რესპონდენტები, ფაქტობრივად, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დღესაც, „სტრუქტურული ძალადობა“ მთელს მსოფლიოში, ისევე, როგორც მოსამართლე აზდაკის საქართველოში, არის იმ ძალების მონოპოლია, რომლებიც მაშინაც ელიტას წარმოადგენდნენ და ახლაც იგივე მდგომარეობის მოწმეები ვართ:

> *„როგორც ვიცით, აღნიშნული ნაწარმოები უამრავჯერ დაიდგა თეატრებში და მათ შორის, საქართველოს თეატრებში, ალბათ იმიტომ, რომ ამ სპექტაკლის მთავარი სათქმელია ის, რომ სიკეთემ და სიყვარულმა ყოველთვის შეიძლება გაიმარჯვოს, თუ ადამიანი ეცდება (მარინა, 20 წ).*

როგორც ფოკუსირებული დისკუსიისას გამოიკვეთა, დრამაში „ქოროს“ ჩართვით, ამ პიესაშიაც ბრეხტი განიცდის კლასიკური ბერძნული დრამის გავლენას. „ზონგების“ ტექსტები ასახავს პიესის შინაარსაც, ისევე, როგორც ბერძნული

ტრაგედიების ქორო და ეს შინაარსის საკმაოდ პესიმისტურია. გრუშე გარბის ბავშვთან ერთად და ის დიდი საშიშროების ქვეშ იგდებს თავს.

„კავკასიური ცარცის წრე რამდენიმე განსხვავებულ თემას ეხება:

- *კომუნიზმი და კაპიტალიზმი*
- *საკუთრება და კუთვნილება. (ვის ეკუთვნის მიწა? მას, ვინც იქ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს, თუ ის, ვინც კარგად და ეფექტურად გამოიყენებს მას? ანალოგიურად ისმება კითხვა - ვის ეკუთვნის ბავშვი? ის, ვინც გააჩინა შვილი, თუ ის, ვინც მასზე იზრუნდა და აღზარდა?)*
- *მსხვერპლშეწირვა;*
- *სამართლიანობის ცნება;*
- *ბრძოლა მაღალ კლასსა და ქვედა კლასს შორის“ (ეთერი, 19 წ).*

რა თქმა უნდა, იმ დროისათვის ბევრი წამყვანი ინტელექტუალის მსგავსად, ბრეხტს ჰქონდა სიმპათიები მარქსისტული იდეებისა და კომუნიზმის მიმართაც. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში დასავლური ინტელიგენციის დიდი ნაწილი ცდილობდა ეპოვა გამოსავალი იმ სოციო-ეკონომიკური სიტუაციიდან, რომელიც ჯერ პირველ მსოფლიო ომამდე და შემდეგ კი „დიდი დეპრესიის“ დროს შეიქმნა. ბუნებრივია, ქონებრივი უთანასწორობა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სოციალური დაუცველობა ძალმომრეობის შანსებს ზრდიდა და ეს ბრეხტის ამ პიესაშიაც კარგად ჩანს. „საკუთრების საკითხი“ აქ კარგად არის წარმოჩენილი და სწორედ ისე, როგორც ეს სინამდვილეში იყო და ამდროს დგება ბავშვზე „საკუთრების“ საკითხი.

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, 1975 წელს რობერტ სტურუას მიერ დადგმულ ამ სპექტაკლს უამრავი მაყურებელი ჰყავდა საქართველოში და ნაწილობრივ ამას განაპირობებდა აზდაკის სამართლიანობა. ის, რაც ქართველ (ანუ იბერიელ) ხალხს დიდი ხანია არ უნახავს - მას თითქოს დაუბრუნდა. ამასობაში, ხელისუფლება კიდევ ერთხელ იცვლება: მსუქან თავადს თავს მოჭრიან და ხელისუფებაში ბრუნდება „დიდი თავადი“, ანუ მთავარმართებელი. აბჯროსანი ჯარისკაცები მზად არიან აზდაკს უკვე თავი მოჰკვეთონ, მაგრამ აქ კიდევ ერთი სასწაული ხდება. დიდი თავადი გაიხსენებს იმ ფაქტს, რომ თავის დროზე აზდაკმა ის

სიკვდილს გადაარჩინა სპარსეთში გაქცევამდე და მოსამართლე აზდაკს ისევ მოსამართლე აზდაკად დატოვებს. ეს ფაქტი, ცხადია, არ მოსწონს ნათელა აბაშვილს, თუმცა ის გადაწყვეტს მაინც სასამართლო გზით დაიბრუნოს პატარა მიშიკო და მასთან ერთად გუბერნატორის ქონება. შეშინებული აზდაკი ნათელა აბაშვილოს დაჰპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის რომ მისმა ბრწყინვალებამ თავი კარგად იგრძნოს და ის თავს მოაჭრის გრუშეს, თუმცა, ეს მხოლოდ დროებითი ჟესტია. აზდაკი ხომ პრაქტიკულად არასდროს მოქმედებს ღატაკებისა და ჩაგრულების წინააღმდეგ. აქ უკვე რესპონდენტები იხსენებენ ჯორჯო აგამბენის წიგნს „Homo Sacer"-ს, სადაც კარგად ჩანს გუშინ და დღეს - და მთლიანად უკანასკნელი ოთხი-ხუთი ათასწლეულის მანძილზე, ქონების არმქონე და აბჯროსანი ჯარისკაცების არმყოლი ადამიანების ბედს. ისინი უკეთეს შემთხვევაში მონები და ყმების არიან და უარეს შემთხვევაში უბრალოდ „ჰომო საკერები" - ანუ ცოცხალი პირუტყვები, რომელთა მოკვლაც კი არანაირ პასიხისმგებლობას არ აკისრებს მკვლელს. აი, ეს არის გრუშე ვაჩნაძისა და სიმონ ჩაჩავას მდგომარეობა - ისინი ახლა უკვე დიდი თავადის უზენაესი მოსამართლის, აზდაკის წინაშე უნდა წარსდგნენ, როგორც სრულიად უქონელნი და ნათელა აბაშვილს კი აბსლუტურად ყველა გარემოება ხელს უწყობს იმისათვის რომ ბავშვიც, და რაც მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ქონებაც დაიბრუნოს, რომელიც მის განსვენებულ ქმარს, გიორგი აბაშვილს ეკუთვნოდა. არის თუ არა ადამიანის ბუნება ბოროტი ამ მდგომარეობიდან გამომდინარე? და არის თუ არა მასობრივი ძალმომრეობა ადამიანთა ქცევის აუცილებელი წესი?

> *„ვფიქრობ, რომ ძალმომრეობა, ისეთ საზოგადოებაში, სადაც სიმართლის მარცვალი არსებობს, შესაძლოა დაძლეული იქნას უფრო დიადი გზით - სამართლიანობით. სამართლიანობა, ერთი შეხედვით ძალის მქონე, მაღალი ფენის ადამიანებს ართმევს მათ ძალაუფლებას რომ გაიმარჯვონ მართალ, დაბალი ფენის ადამიანებზე, რომლებსაც არ ჰყავთ ისეთი დამცველები, როგორიც მათ. ვწუხვარ, რომ ყოველთვის შესაძლებელი არაა თანასწორი და სამართლიანი ურთიერთობა ადამიანებს შორის, მაგრამ როდესაც ეს ხდება ყველაფერი ისეთივე კარგ სახეს იღებს, როგორიც ეს „კავკასიური ცარცის წრის" ფინალში არის. ვფიქრობ, რომ სამართლიანობით ძალადობაზე მაღლა დადგომა შეუძლია ადამიანს, რადგან ის სიტყვით*

აგვარებს იმას, რაც სისხლით უნდა გადაწყვეტილიყო, ან ვერც გადაწყვეტილიყო, რადგან სისხლისღვრა ხშირად მიზანსმოკლებული ძალადობრივი ქმედებაა. თავისუფლება და თანასწორობა ადამიანებს აძლევს იმის საშუალებას, რომ იცხოვრონ მშვიდობიანად, მაგრამ გამოერევიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც ამ მშვიდობის წინააღმდეგ გაილაშქრებენ ხოლმე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი გაიმარჯვებენ, რადგან საზოგადოებაში, რომელშიც სამართლიანობა კეთილშობილების მხარესაა მშვიდობა დაკარგული არასდროს არ არის" (ნუნუკა, 23 წ).

რესპონდენტთა ნაწილის აზრით,

„ბრეხტის გენიალურობა იმაშია, რომ თავისი „ეპიკური დრამის" საშუალებით ის დღევანდელ დღესაც კი, როდესაც საზაგადოებას ჰოლოკოსტები, გენოციდები და სხვა ბრუტალური დანაშაულებები თითქმის ყოველდღიურობად ექცა და ადამიანი პრაქტიკულად ჯოჯოხეთში იბადება, სადაც „ოქროს სალოცავი" და „ძალმომრეობის კულტი" პრაქტიკულად უალტერნატივო ცხოვრების წესს წარმოადგენს - მაინც შესაძლებელია რომ სამართლიანობამ იზეიმოს და ამის გაკეთება ერთი შეხედვით უბრალო ადამიანებს შეუძლიათ (გიორგი, 18 წ)

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის ჰოლივუდის ან საბჭოთა ფილმების შაბლონური Happy End-ი - ეს არის მწარე რეალობის უალტერატივობიდან ამოსვლის რეალური საშუალება. ბრეხტიანული ეპიკური დრამა ბევრად უფრო პოზიტიურ და ოპტიმისტურ განწყობებს აყალიბებს, ვიდრე - ტრადიციული არისტოტელური ტრაგედიები. რაც მთავარია, რესპონდენტების აზრით, ბრეხტის შემთხვევაში, განსაკუთრებით, „კავკასიურ ცარცის წრეში" ***„არის რეალური განცდა კათარზისისა" (თეა, 22 წ)*** და ეს პროტაგონისტების დაღუპვისა და წამების შედეგად კი არ მოდის, არამედ მათი წამებით სავსე ცხოვრებიდან რეალურად ამოსვლის შედეგად.

პიესის უკანასკნელი ნაწილი სასამართლოა. ნათელა აბაშვილი სასამართლოზე გამოცხადდება ორი ძვირადღირებული იურისტის თანხლებით, რომელთაც აზდაკისთვის მისაცემი ქრთამის თანხაც მომარაგებული აქვთ ყოველი

შემთხვევისათვის. აქ ხომ ყოფილი გუბერნატორის ქონების ბედი წყდება. აბჯროსანი ჯარისკაცების მიერ ჯერ ნაცემი და მერე მთავარმართებლის მიერ ისევ თავის თანამდებობაზე აღდგენილი აზდაკი იწყებს სასამართლოს წარმართვას, ისე როგორც მას ეს შეშვენის. მას ორი საქმე აქვს განსასჯელი - ერთის მხრივ გრუშე ვაჩნაძესა და ნათელა აბაშვილს შორის და, მეორეს მხრივ, ორი მოხუცის განქორწინების საქმე. გრუშე ვაჩნაძეს მხოლოდ ორი მოწმე ჰყავს მის სასარგებლოდ: გუბერნატორის ყოფილი მზარეული და მისი ერთგული ჯარისკაცი სიმონ ჩაჩავა. მათ, ცხადია ფული არ გააჩნიათ. აზდაკი დაბნეულია. სწორედ აქ რესპონდენტები მიიჩნევენ რომ ადამიანში იღვიძებს მისი ქვეცნოებიერი სწრაფვა თანასწორობისა და სამართლიანობისაკენ - მიუხედავად იმისა, რომ სუპერ ეგოს დონეზე დამკვიდრებული სისტემა მას უსამართლობის მონად აქცევს, გულის სიღრმეში ყველა ჩაგრული ადამიანის უდიდესი ონტოლოგიური მოთხოვნილება არის თანასწორობა და სამართლიანობა - ეს ადამიანური ღირსების მსგავსი ფენომენია. ამაზე ბევრი საინტერესო სოციოლოგიური თუ ფსიქოლოგიური ნამეშევარი არსებობს და მათს შორის კი გამოირჩევა თედ რობერტ გურის „რატომ ჯანყდება ადამიანი“. ადამიანის უღრმესი მოლოდნიები მაინც სამართლიანობასა და თანასწორობას უკავშირდება.

საბოლოოდ აზდაკი, რაღა თქმა უნდა, სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. ის ცარცის წრეში დააყენებს ბავშვს და ორივე დედას უბრძანებს გადაქაჩონ პატარა მიხეილ აბაშვილი თავისკენ. გრუშე ვერ შეძლებს ბავშვის ძლიერად გამოქაჩვას თავისკენ, რადგანაც მას არ უნდა რომ მას ატკინოს. აზდაკი სწორედ ამის მიხედვით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ნამდვილი დედა ის არის, ვისაც არ უნდა საკუთარ შვილს ატკინოს. გრუშე არის ბავშვის ნამდვილი დედა, რომელსაც ის უფრო უყვარს და მისგან ქონებას არ ელის. ნათელა აბაშვილის მეუღლის სასახლე და მთელი მიწის ნაკვეთი გადაეცემა მუნიციპალიტეტს, რომ იქ გაკეთდეს პარკი ბავშვებისათვის, რომელსაც „აზდაკის ბაღი“ ეწოდება. ნათელა აბაშვილი და მისი იურისტები გაბრაზებულნი გადიან დარბაზიდან. აზდაკი მოხუცების განქორწინების ნაცვლად გრუშეს განაქორწინებს თავის ფიქტიურ ქმართან და ყველა ბედნიერი ცეკვავს სასამართლო დარბაზში. აზდაკი კი გაქრება, ის გადადგება.

პიესას ისევ გალის როზა ლუქსემბურგის კოლმეურნეობის ეკონომისტი მგოსანი, არკადი ჩხაიძე ამთავრებს მისი სიმღერით:

„გაუჩინარდა ამ საღამოს შემდეგ აზდაკი, მეტი არავის აღარ უნახავს,
მაგრამ ქართველ ხალხს დავიწყებისთვის არ მიუცია მისი სახელი
და კიდევ დიდხანს იგონებდა იმ ოქროს ხანას,
როდესაც ჩვენში მოსამართლედ იყო აზდაკი,
ხანას ხანმოკლეს, სამართლიანს ასე თუ ისე“.

რესპონდენტთა აზრით, ეს დასასრული, რომელიც მთლიანად მოგონილი უნდა იყოს ბერტოლტ ბრეხტის მიერ კალიფორნიაში ყოფნის დროს 1944 წელს, მანამდეც და დღემდეც,

„სრულიად მართალია ქართველი ერისათვის, რომელსაც აზდაკის მაგვარი მოსამართლე მართლაც არასდროს ჰყოლია“ (ნათია, 21 წ).

ბარტონის სკალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადამიანის ონტოლოგიური მოთხოვნილება სამართლიანობისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე უსაფრთხოებისა თუ პატივისცემის, ანდაც - ღირსების. ქართულ რეალობაში, აზდაკის როლს ნამდვილად უზადო ოსტატობით ასრულებდა დიდი მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე, რომელმაც პრაქტიკულად სამუდამოდ დაამახსოვრა თავი ქართველ ხალხს და როგორც გერმანელი დრამატურგისა და ვალტერ ბენიამინის დიდი მეგობრის, ბერტოლტ ბრეხტის პიესის ბოლოშია, ქართველ ხალხს მართლაც არ უნახავს ასეთი სამართლიანი თემიდა.

ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვებით,

„ბრეხტმა ამ შემთხვევაში მილიტარისტი და სექსისტი ზევსი შეცვალა ნაზარეველი იესო ქრისტეს იდეალებით გამსჭვალული ღმერთით“ (მანანა. 20 წ).

10.12 სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“

სახელგანთქმული ირლანდიელი მწერალი, რეჟისორი, მთარგმნელი და დრამატურგი სამუელ ბეკეტი (1906-1989) ცნობილია როგორც პოსტ-ეგზისტენციალისტი ექსპერიმენტატორი და „აბსურდის თეატრის“ ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი იუჯინ იონესკოსთან, მარტინ ესლინთან, ალბერ კამიუსთან და სხვებთან ერთად. იგი პარიზში ცხოვრობდა და თავის ნაწარმოებებს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე წერდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ბეკეტი

„ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის“ წევრი გახლდათ და 1969 წელს დაჯილდოებულ იქნა ნობელის პრემიით ლიტერატურაში.

ბეკეტის ნაწარმოებთაგან უდავოდ ყველაზე ცნობილია პიესა „გოდოს მოლოდინში“, რომელიც 1948-1949 წლებში დაიწერა და რომელმაც დღევანდელი დაბნეული დასავლელი ინდივიდუალის განუმეორებელი პორტრეტი დახატა. მას ეს პიესა დახასიათებული აქვს როგორც „ტრაგიკომიკური პიესა ორ მოქმედებაში“. ფრანგულენოვანი პრემიერა შედგა როჟე ბლინის რეჟისორობით პარიზის „ბაბილონის თეატრში“ 1953 წლის 5 იანვარს. ინგლისურენოვანი პრემიერა კი უკვე ლონდონში გაიმართა 1955 წელს. ბრიტანული „სამეფო ნაციონალური თეატრის“ გამოკითხვით, ეს პიესა აღიარებულ იქნა მე-20 საუკუნის ყველაზე გავლენიან ინგლისურენოვან ნაწარმოებად.

როგორც რესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ, ბეკეტის ამ პიესის აბსურდული პერსონაჟები სწორედაც რომ დღევანდელი დღის პოსტ-ინდუსტრიულ ცივილიზაციაში გაჭედილი დაბნეული ადამიანები არიან, რომელთაც მდგრადი ღირებულებათა სისტემა არ გააჩნიათ და, აქედან გამომდინარე, მთლიანად აბსურდულად ცხოვრობენ. მათი აზრით, ვლადიმირისა და ესტრაგონის ქმედებები დღევანდელ სამომხმარებლო და მოძალადე მსოფლიოში სრულიად ესადაგება იმ ცხოვრების წესს, რომელიც პლანეტის საშუალო კლასის წარმომადგენელთა უმრავლესობას აქვს არჩეული. ისინი ყოველთვის „გოდოს მოლოდინში„ არიან, იღებენ ახალ ნიუსებს და ამ ნიუსებისა თუ დროებითი ტრენდების მიხედვით აწყობენ საკუთარ ცხოვრებას. თუკი ტრენდი ომის მომხრეა, ისინიც განწყობის დონეზე ადვილად ემორჩილებიან მას - და თუ დროებითი „ცეცხლის შეწყვეტაა“ - ვლადიმირი და ესტრაგონიც გაყინულები არიან შემდეგი ცეცხლის გახსნის მოლოდინში. ბევრი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ „გოდო“, რომლის მუდმივ მოლოდინშიაც ვლადიმირი და ესტრაგონი არიან, ერთის მხრივ, ღმერთის მიმანიშნებელი სახელიც არის, რომელიც ავტორმა შეგნებულად შეარჩია, მეორეს მხრივ კი, ის აბსურდული ნიშანია იმ მუდმივი მოლოდინის სისტემის, რომელშიაც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს, რათა „უკეთეს კონიუნქტურას“ დაელოდოს.

და რა განაპირობებს იმ აბსურდს, რომელშიაც კაცობრიობა დღეს ცხოვრობს? ფოკუსირებული დისკუსიისას გამოიკვეთა აზრი, რომ ეს არის ძალმომრეობა -

სტრუქტრული თუ კულტურული უთანასწორობა, ჩაგვრა, ადამიანის საკუთარი სულიერებისაგან გაუცხოება, სიღატაკე, მონობა და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი უძველესი ტრაგედიებიდან კარგად ჩანს. ჯერ კიდევ ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“ გვიჩვენებს ამ აბსურდულ მდგომარეობას - ბერძნულ მითო-პოეტურ წარმოდგენაში ეს ნათლად და კარგად არის ასახული. ალბერ კამიუს „სიზიფეს მითი“ ამას ზუსტად აღწერს. ადამიანის ცხოვრება, რომელსაც მას შემოქმედი ანიჭებს, იქცა აბსურდის თეატრად, სადაც ცოცხალი არსებები იბრძვიან ერთმანეთზე ბატონობისა და დამონაციისათვის და ამ ბრძოლაში უმრავლესობა იღუპება ფიზიკურად, ხოლო გამარჯვებული უმცირესობა იღუპება სულიერად. ამის შემხედვარე სპექტ-აქტორი - ერთდოულად მაყურებელიცა და მონაწილეც ამ სამყაროსეული სპექტაკლისა - არის გამუდუმებულ მოლოდინში, რომ ღმერთის მიერ წარმოგზავნილი არსება და თვითონ ღმერთი მოვა მასთან და მისცემს ხსნას. მისთვის სიცოცხლე ჯოჯოხეთად არის ქცეული - ისეთ ჯოჯოხეთად, როდესაც ვლადიმირისა და ესტრაგონის მსგავსად არც კი იცის, გადადგას თუ არა ნაბიჯი წინ ან უკან და ჯამში ამ მოლოდინისას ის ადგილზე იყინება:

„თითქოს არაფერი არ ხდება - ფაქტიურად მექანიკურად მეორდება ერთიდაიგივე და ისე გგონია, რომ არც მომავალში მოხდება არაფერი.“ (ნინო, 21 წ).

მეორე მოქმედებაში ვლადიმირი და ესტრაგონი კვლავ ელოდებიან ღმერთ-კაცი „გოდოს“ მოსვლას ხის ძირში. ამ დროს ისინი არც კი ინძრევიან - იგივე ადგილას დგანან, სადაც პირველ მოქმედებაში იდგნენ. ლაკი და პოცო ისევ გამოჩნდებიან. პოცო მთლიანად დაბრმავდება, ხოლო ლაკი მთლიანად დამუნჯდება. პოცოს არც კი ახსენდება, რომ ვლადიმირი და ესტრაგონი უკვე ნანახი ჰყავს და მათ იცნობს. თვით ვლაიდმირსა და ესტრაგონს შორის დიდი კამათია იმაზე, როდის ნახეს ბოლოს მათ პოცო. ბოლოს და ბოლოს ლაკი და პოცო მათ ტოვებენ ისევ და ისევ იგივე ადგილას. ეს აბსურდული ქცევების კასკადი დიდად არ განსხვავდება თანამედროვე ადამიანთა უმრავლესობის ქცევისაგან - სადაც მათი ცნობიერება თითქოს ერთ ადგილას, ხის ძირშია გაყინული. ისინი წინ ვერ მიდიან, რადგან არანაირი იდეალი არა აქვთ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იდეალები შეცვალა ან დროებითმა ტრენდმა და მოდაში შემოსულმა „ცხოვრების წესმა“ ან ფანატიურმა ფსევდო-რელიგიურმა სწავლებამ, რომელიც მხოლოდ ტერორისტების იარაღადღა იქცა, როგორც ეს

დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დაპირისპირებაშია - ერთის მხრივ მატერიალისტი ტექნოკრატები, რომელთაც არანაირი იდეალი არ გააჩნიათ და, მეორეს მხრივ კი, პრაქტიკულად ინკვიზიტორი ფუნდამენტალისტები, რომლებიც უდანაშაულო მოსახლეობას უმოწყალოდ ჟლეტენ. ვლადიმირი და ესტრაგონი უყურებენ ამ აბსურდულ დიხოტომიას და ადგილიდან არ იძვრიან.

რესპონდენტთა აზრით,

> *„განა ეს არ არის ადამიანთა უდიდესი უმრავლესობის ცხოვრება თუნდა სოციალური თვალსაზრისით უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში? აბსურდულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების დიდი რაოდენობა ვერ ახერხებს რომ ამ აბსურდს თავი დააღწიოს, რადგანაც ეს აბსურდი არის მათი ერთადერთი კომფორტის ზონა“ (ელენე, 22 წ).*

როდესაც ბეკეტი ამ დრამას წერდა, მას არ ჰყავდა წარმოდგენილი ვლადიმირი და ესტრაგონი როგორც მაწანწალები - ესენი არ იყვნენ უსახლკარო ადამიანები - უფრო მეტიც, მისი პიესის ორი მთავარი გმირი დღევანდელი „ცივილიზებული სამყაროს“ საშუალო კლასის წარმომადგენლები არიან - სწორედ საშუალო კლასის „კარიერისტ“ წარმომადგენლებს ახასიათებთ „გადაუწყვეტელობა“ და „კონიუნქტურის ლოდინი“ და დღევანდელი ბიურგერისათვის „გოდო“ სწორედ ეს დროებითი კონიუნქტურაა, რომლის საშუალებითაც ის მოხერხებულ „კომფორტის ზონას“ დაიმკვიდრებს - დროებით სამსახურსა და თბილ ბინას მაინც იშოვის. ბეკეტის მიერ მოცემული მეტაფორა „ხის ძირში დგომა“ სწორედ ასეთ კომფორტის ზონაში ყოფნაა. და აქ უკვე რესპონდენტები კითხულობენ: ნუთუ შეიძლება, ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი „კომფორტულად“ იყოს ასეთი გლობალური ძალმომრეობისა და უსამართლობის სისტემის პირობებში ცხოვრებისას? და თუ ვლადიმირი და ესტრაგონი ამ მდგომარეობაში კომფორტულად არიან - ზუსტად ეს არის ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის აბსურდი:

> *„გოდოს მოლოდინში“ არის პიესა ცხოვრების აზრზე. ადამიანის არსებობა აბსურდულად არის ნაჩვენები და ვლადიმერი და ესტრაგონი თავიანთი ქმედებებით ამ აბსურდს ვერ აღწევენ თავს. ისინი აზრს პოულობენ გოდოს მოლოდინში და როდესაც გაიგებენ, რომ ის არ მოვა, კარგავენ ერთადერთ მიზანს, რაც ჰქონდათ.*

ორი კაცი ამბობს, რომ წავლენ, მაგრამ არასდროს აკეთებენ ამას. სპექტაკლი მთავრდება იმით, რომ ისინი ზუსტად იქ არიან დარჩენილები, სადაც იყვნენ დასაწყისში. ეს წარმოაჩენს ბეკეტის შეხედულებას, რომ ადამიანის არსებობას აზრი არ აქვს, თუ ადამიანები არ შექმნიან საკუთარ მიზანს. ვლადიმერისა და ესტრაგონის პრობლემა ის არის, რომ ახალი მიზნის პოვნის ნაცვლად, ისინი კვლავ და კვლავ ერთიდაიმავე აბსურდულ მოდელში ვარდებიან, <u>რაც მიუღებელია - იმის მაგალითია, როგორ არ უნდა მოვიქცეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენმა ცხოვრებამ უაზროდ არ ჩაიაროს</u>" (გვანცა, 20 წ).

ესტრაგონი ვლადიმირს ეუბნება რომ ის წესით პოეტი უნდა ყოფილიყო და ეს არ გამოვიდა. ის საკუთარ თავს შეუმდგარ პოეტად სახავს. ვლადიმირი ეკითხება მას, ახსოვს თუ არა, გოსპელები, საღვთო სიმღერები, რომლებსაც ისინი ბავშვობაში უსმენდნენ? ესტრაგონი კი პასუხობს რომ ბავშვობაში მას უნდოდა, თაფლობის თვე გაეტარებინა მკვდარ ზღვასთან, ახლო აღმოსავლეთში.

თვით ბეკეტი ერიდებოდა იმის ახსნას, საიდან მოდის სახელი „გოდო". ერთხელ მან სინანულიც კი გამოთქვა იმის თაობაზე რომ მისი ამ უჩინარი გმირის სახელი ასე ახლოს დგას ღმერთის აღმნიშვნელ სიტყვა God-თან.

მაშ, რომელ სააზროვნო პარადიგმასთან იდგა ახლოს სამეულ ბეკეტი, როდესაც ის მის ეპოქალურ ნაწარმოებს ქმნიდა? საით იხრებოდა მისი ადამიანური სიმპათიები ამ პერიოდში?

„ვლადიმირი, ესტრაგონი, ლაკი და პოცო შეგვიძლია არამარქსისტულ რადიკალურ აზროვნებასთან დავაკავშიროთ, რომლის მიხედვითაც ადამიანი არც კეთილია და არც ბოროტი, ისინი ონტოლოგიურ მოთხოვნილებებზე არიან დამოკიდებულნი. ისინი ელოდნენ იმას, რომ ამ მოთხოვნილებებს გოდო შეუსრულებდა და ამ მოლოდინში გალიეს ცხოვრების დღეები, იმის ნაცვლად რომ ამოქმედებულიყვნენ და მათში, თუ მათ გარშემო არსებული არაფრისმომცემი გარემოსათვის ის ელფერი შეეძინათ, რაც მათ არსებობაში ღმერთმა თავიდანვე ჩადო.

დაბოლოს, ვფიქრობ, ადამიანური ბუნება არ არის ბოროტი. ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან ძალმომრეობა გარდაუვალი არაა, რადგან შეგვიძლია ჩვენი

სიძლიერეები და სისუსტეები გავიაზროთ და ამის გააზრებით სხვების სიძლიერეებისა და სისუსტეების მიმართაც მეტად გამგებნი გავხდეთ, რომ ერთმანეთის ძალმომრეობით დამარცხების სურვილი აღარ გაგვიჩნდეს. ვფიქრობ, რომ ადამიანებს შორის მშვიდობიანი და თანასწორი ურთიერთობა ყოველთვის შესაძლებელი შეიძლება გახდეს, თუ ადამიანები მშვიდობისა და თანასწორობის ფასეულობას ბოლომდე გაიაზრებენ. ვფიქრობ, რომ ომი და ძალადობა არ არის გარდაუვალი, რადგან ჰარმონიაში მყოფ ცივილიზებულ ადამიანებს, კონფლიქტებისას ყოველთვის შეუძლიათ გამონახონ საერთო ენა და სიტყვით შეძლონ მოლაპარაკება, ყოველგვარი სისხლისგვრის გარეშე" (მარიამი, 19 წ).

ესტრაგონს თითქოს ლეთარგიული მდგომარეობა აქვს და მას ბევრი რამ ავიწყდება. სწორედ ეს არის კაცობრიობის მდგომარეობა დღეს. **„კაცობრიობას თითქოს დაავიწყდა რომ მას შეუძლია მშვიდობასა და თანასწორობაში ცხოვრება"** (გიგა, 20 წ).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კრონოსის პერიოდი ჩაანაცვლა ზევსის ხანგრძლივმა ბატონობამ - და ეს „მეომრის კულტი" დღემდე ბატონობს. ამაზე მეტყველებს ის მუდმივი ძალმომრეობით შემთხვევები თუ იერარქიული პატრიარქატი, რომელიც გამეფებულია პრომეთეს დატყვევების შემდეგ. თუმცა, მსოფლიო დრამატურგიისა და ლიტერატურის ისტორია ნამდვილად აღგვიწერს ბევრ სხვადასხვა შემთხვევას, როდესაც ინდივიდი ცდილობს დაუპირისპირდეს უსამართლო ურთიერთობათა იერარქიულ სისტემას და ცდილობენ არ ჩაიდინონ თითქოს გარადაუვალი ბოროტება. „აბსურდის თეატრმა" ამ მოვლენას საკუთარი სახელი დაარქვა - ძალმომრეობაზე და იერარქიაზე დამყარებული ნებისმიერი ეს სისტემა განწირულია დაღუპვისათვის. უფრო მეტიც, ვლადიმირისა და ესტრაგონის მსგავსად, „უმოქმედობის მოქმედებაში" ჩაბმული მთელი საკაცობრიო საშუალო კლასი დღეს უკვე აპოკალიფსურ დრამას ამზადებს საკუთარი სურვილის-და მიუხედავად, რადგანაც მას არ აქვს მომარჯვებული სტრუქტურული და კულტურული ძალადობის ქმედითი ალტერნატივები.

დასკვნა

როგორც თეორიული წყაროების კრიტიკული ანალიზის, ისე - ამ ანალიზის საფუძველზე კონსტრუირებული კვლევის ემპირიული ნაწილის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მშვიდობის მეცნიერება (რომლის არსებობა ჯერ საუკუნესაც არ ითვლის), მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად, ფლობს დიდ სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს, რომელიც ემპირიული მეთოდებით გაფართოებისა და შედეგების პრაქტიკაში გამოყენების უაღრესად ეფექტურ ფუნდამენტს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დადასტურდა კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინის ფარგლებში შემუშავებული ჰიპოთეზა: შერჩეული დრამატული ნაწარმოებები ზეგავლენას ახდენს მშვიდობიანი თანაარსებობა vs მასობრივი ძალმომრეობა - დილემისა და ადამიანის ბუნების მიმართ ექსპერიმენტის მონაწილეთა/ჯგუფის განწყობაზე. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი ტალღის ვარიაცის კოეფიციენტი (43.0%) საკმაოდ მაღალია და ის მნიშვნელოვნად დაბლდება ინტერვენციის შედეგად, როგორც ცალკეული ნაწარმოებების, ისე - საერთო მაჩვენებლის (25.45%) მიხედვით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ინტერვენციის შედეგად ხდება არა მხოლოდ მშვიდობიანი განწყობის ამაღლება, არამედ, მისი გამყარებაც - მშვიდობიანი თანაარსებობის „მხარეზე ყოფნა“ ხდება უფრო სტაბილური - ნაკლებად ვარირებს, რაც შეიძლება ინტეპრეტირდეს, როგორც განწყობაზე ზემოქმედების ეფექტი, რომელიც, შესაბამის პერსპექტივაში, სოციუმის ერთგვაროვნების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

არისტოტელეს „პოეტიკის“, შემდგომ კი, უკვე ბერტოლტ ბრეხტისა და აუგუსტო ბოალის თეორიული წყაროების შესაბამისად, „დრამის კარდიოგრამა“ - მშვიდობიანი განწყობის ინდექსის ვარიაცია - ძირითადად ჯგუფში გამოკვეთილი იმ ტენდენციის კონსისტენტურია, რომელიც ეპოსიდან და კლასიკური არისტოტელური ტრაგედიიდან მიდის თანამედროვე დრამამდე.

ის უმნიშვნელოვანესი შედეგი, რომ მშვიდობიანი განწყობის ინდექსის მაჩვენებლის ცვლილება თითოეული ნაწარმოების შემთხვევაში პოზიტიურია,

მნიშვნელოვანწილად არისტოტელეს ტრაგედიის „ფორმულით“ შეიძლება აიხსნას: ძველი ბერძნული ტრაგედიის მიზანი კათარზისია, რომელიც კატასტროფას მოჰყვება. კატასტროფისა და მის წინამდებარე ნაწილთა დანიშნულება სწორედაც რომ არის განცდა, რომელიც პიესის მკითხველსა თუ მაყურებელს აგრძნობინებს რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, „ასეთი დაბოლოება არაფრად ვარგა“ და ამ განცდის შედეგად გამოწვეული „განწმენდის“, „გაკეთილშობილების“ გრძნობა, რომელიც ახასიათებს კათარზისს. სწორედ ამიტომაც, „მშვიდობიანი განწყობის ინდექსის“ ზრდას ადგილი აქვს არა მხოლოდ „დიდაქტიკურ დრამაში“', „ეპიკურ დრამასა“ და „აბსურდის თეატრში“ - არამედ ის ტრადიციული არისტოტელური ტრაგედიის დროსაც აღინიშნება, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში ინდექსის ზრდის მაჩვენებელი ნაკლებია, ვიდრე ეპიკურ ნაწარმოებებში და, განსაკუთრებით, ეპიკურ დრამაში. არის გამონაკლისებიც - მაგრამ ჩვენ ვხედავთ კონსისტენტურ სურათს - გამოკვეთილი პოზიტიური და მზარდი ტენდენცია გვაჩვენებს აღმასვლას როგორც ტრაგედიის ჟანრში ასევე მის მემკვიდრე დრამატულ ჟანრებში, რის საფუძველზეც, შეიძლება ითქვას, რომ მოდელი კლასიკური ტრაგედიიდან ეპიკურ დრამამდე კარგად მუშაობს.

თვისებრივი კვლევის შედეგები, ძირითადად, ექსპერიმენტის შედეგების ჰიპოთეტურ ახსნებს ადასტურებს - თითოეული საკვლევი ნაწარმოები აღიქმება და გაიაზრება კომპლექსურად, როგორც ჟანრობრივ, ისე სოციო-კულტურულ ღირებულებათა თუ ავტორის მსოფლმხედველობრივ და ინდივიდუალურ მახასიათებელთა კონტექსტში: ფოკუსირებული დისკუსიისას რესპონდენტთა მსჯელობაში ფიგურირებს ნაწარმოების ლიტერატურული ღირებულება, თემატური თუ სიუჟეტური მრავალფეროვნება, მოქმედ პირთა ფართო სპექტრი (და არა მხოლოდ მთავარი გმირები), მხატვრული სახეებისა და სხვა ლიტერატურული ხერხების დიდი დიაპაზონი, ავტორთა მსოფლმხედველობრივი პოზიცია თუ ინდივიდუალური თავისებურებები რესპონდენტთა სოციო-კულტურული და პიროვნული მახასიათებლები, რაც შემდგომი კვლევების პერსპექტივებს გამოკვეთს.

საკვლევ ნაწარმოებთა განსხვავებული აღქმისა და შეფასებების მიუხედავად, ადამიანის ბუნების შესახებ ანტიმაკიაველისტური და მშვიდობიანი-თანაარსებობისაკენ მიმართული განწყობა გამოიკვეთა, რაც მხარს უჭერს ჰიპოთეზას,

რომ დრამატული ნაწარმოები აძლიერებს პოზიტიურ რწმენას ადამიანის ბუნებისა და კეთილი ნების, როგორც სწორი გზისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ორიენტირის მიმართ.

იმის მიუხედავად, რომ კვლევა ფოკუსირებული იყო ოთხი ძირითადი პარადიგმის (რეალ-პოლიტიკა, იდეალ-პოლიტიკა, მარქსიზმი და არამარქსისტული რადიკალური აზროვნება) რელევანტურ დებულებებზე, რაც თითოეული საკვლევი ნაწარმოების სპეციფიკის (ავტორი, დრო, ეპოქა, სიუჟეტი, გმირები, მხატვრული ხერხები და ა. შ.) საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო, რესპონდენტთა მსჯელობაში მხატვრულ-კრიტიკული, ანალიტიკური და ფაქტობრივი არგუმენტაციის პარალელურად, გამოიკვეთა თვითონ რესპონდენტთა განცდები, გრძნობები, ემოციები, როგორც დებულებათა შეფასების - პარადიგმათა მიმართ განწყობის მაფორმირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. შესაბამისად, თვისებრივი კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს იმ ემოციების, განცდების, გრძნობების დეტალიზებული და სიღრმისეული კვლევის მიზანშეწონილობა, რასაც მხატვრული ნაწარმოები ადამიანში იწვევს.

მიღებული შედეგები გამოკვეთს შესაბამისი მიმართულებით კვლევების შემდგომი განვითარებისა და შედეგების იმპლემენტაციის მიზანშეწონილობას.

ბიბლიოგრაფია

გამსახურდია, ზ. 1990. *საქართველოს სულიერი მისია.* გამომცემლობა განათლება.

გორდეზიანი, რ. 2019. *ბერძნული ცივილიზაცია გმირთა ეპოქიდან არქაიკამდე.* სულაკაურის გამომცემლობა.

გორდეზიანი, რ. 2002. *ბერძნული ლიტერატურა, წიგნი I.* ლოგოსი.

გორდეზიანი, რ. 2005. *მითების სიბრძნე.* ლოგოსი

გორდეზიანი, რ. 2013. *არგონავტები.* ლოგოსი

გორდეზიანი, რ. & კობახიძე, ე. 2022. *ეტრუსკები, ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები.* პალიტრა L.

ესქილე. (1978). *ტრაგედიები.* მერანი. თბილისი.

ვაჟა-ფშაველა. (1966). *ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული* (რედ. რ. კიკნაძე). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მირცხულავა რ. (2010). *ხელოვნების ფსიქოლოგია* (მე-2 გამოცემა).

ნიჟარაძე, ქ. 2009. *ტროას მითოპოეტური და ისტორიული აღქმა ჰომეროსთან.* ლოგოსი.

უზნაძე, დ. (1940). *ზოგადი ფსიქოლოგია.* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Alessandri, G., Zuffianò, A., & Perinelli, E. (2017). Evaluating intervention programs with a pretest-posttest design: A structural equation modeling approach. *Frontiers in Psychology, 8,* Article 223.

Aristotle. (n.d.). *Poetics* (S. H. Butcher, Trans.). Project Gutenberg. Retrieved from https://www.gutenberg.org/files/1974/1974-h/1974-h.htm

Aristotle. (1993). *Politics* (B. Jowett, Trans.). Random House. (Original work published ca. 4th century BCE)

Armstrong, J. I. (1958). The arming motif in the *Iliad*. *American Journal of Philology, 79*(4), 337–354.

Artaud, A. (1958). *The theater and its double* (M. C. Richards, Trans.). Grove Press. (Original work published 1938)

Avruch, K. (1998). *Culture & conflict resolution*. United States Institute of Peace Press.

Badiou, A. (2013). *Rhapsody for the theatre* (A. Goldhammer, Trans.). Verso. https://www.amazon.com/Rhapsody-Theatre-Alain-Badiou/dp/1781681252

Barry, B. B. (1996). *Homer and the origins of the Greek alphabet.* Cambridge University Press.

Bernecker, K., & Job, V. (2019). Mindset theory. In K. Sassenberg & M. L. W. Vliek (Eds.), *Social psychology in action: Evidence-based interventions from theory to practice*. Springer Nature Switzerland

Bevir, M. (2011). *The making of British socialism.* Princeton University Press.

Bierl, A. (2015). New trends in Homeric scholarship. In A. Bierl & J. Latacz (Eds.), *Homer's Iliad: The Basel commentary*. *Prolegomena* (pp. 177–203). De Gruyter.

Boal, A. (1993). *Theatre of the oppressed* (C. A. McBride & M.-O. L. McBride, Trans.). Theatre Communications Group. (Original work published 1974)

Boal, A. (2008). *Theatre of the oppressed* (C. A. McBride, Trans.). Pluto Press.

Brecht, B. (1932). *The Threepenny Opera.* Die Dreigroschenoper

Brecht, B. (1949). *A short organum for the theatre* ("Kleines Organon für das Theater," written 1948). In J. Willett (Ed. & Trans.), *Brecht on theatre: The development of an aesthetic* (pp. 179–205). Methuen.

Brecht, B. (1951). *Short description of a new technique of acting which produces an alienation effect.* In M. Huxley & N. Witts (Eds.), The Twentieth-Century Performance Reader

Brecht, B. (1958). *From The Popular and the Realistic*. Routledge (Written in 1938)

Brecht, B. (1964). *Brecht on theatre: The development of an aesthetic* (J. Willett, Ed. & Trans.). Hill and Wang.

Brecht, B. (2014). *Brecht on Theatre: The Development of an Aesthetic* (J. Willett, Ed. & Trans.). Bloomsbury.

Bremer, J. M. (1969). *Hamartia: Tragic error in the Poetics of Aristotle and Greek tragedy.* Amsterdam.

Burgess, J. S. (2003). *The tradition of the Trojan War in Homer and the epic cycle.* Johns Hopkins University Press.

Burton, J. W. (1988). *Conflict resolution as a political system* (Working Paper No. 1). George Mason University, Center for Conflict Analysis and Resolution.

Burton, J. (Ed.). (1990). *Conflict: Human needs theory*. Palgrave Macmillan.

Burton, J. (1991). Conflict resolution as a political philosophy. *Interdisciplinary Peace Research*, *3*(1), 62–72. https://doi.org/10.1080/14781159108412733

Burton, J. W. (1996). *Conflict resolution: Its language and processes.* Scarecrow Press.

Butler, J. (2004). *Precarious life: The powers of mourning and violence*. Verso.

Campbell, D. T., & Fiske, D. W. (1959). Convergent and discriminant validation by the multitrait-multimethod matrix. *Psychological Bulletin*, *56*(2), 81–105. https://doi.org/10.1037/h0046016

Carabatea, M. (2007). *Greek mythology*. Pergamos.

Darwin, C. (2003). *The origin of species.* Bantam Classics. (Original work published 1859)

Dervin, D. (1975). *Bernard Shaw: A psychological study.* Bucknell University Press.

Deleuze, G., & Guattari, F. (1983). *Anti-Oedipus: Capitalism and schizophrenia* (R. Hurley, M. Seem, & H. R. Lane, Trans.). University of Minnesota Press. (Original work published 1972)

Dodgson, J. E. (2021). Critical analysis: The often-missing step in conducting literature review research. *Journal of Human Lactation, 37*(1), 27–32.

Dweck, C. S. (2012). Mindsets and human nature: Promoting change in the Middle East, the schoolyard, the racial divide, and willpower. *American Psychologist, 67*(8), 614–622. https://doi.org/10.1037/a0029783

Echtner, C. M., & Ritchie, J. R. B. (1991). The meaning and measurement of destination image. *The Journal of Tourism Studies, 2*(2), 2–12.

Eisler, R. (1987). *The chalice and the blade: Our history, our future*. Harper & Row.

Euripides. (2008). *Medea* (D. A. Svarlien, Trans.; R. Mitchell-Boyask, Ed.). Hackett Publishing Company.

Ervine, S. (Ed.). (1911). *Bernard Shaw: His life and works*. Archibald Constable & Co.

Evangelista, M. (2002). *Unarmed forces: The transnational movement to end the Cold War*. Cornell University Press.

Evans, J. (2003). *The politics and plays of Bernard Shaw*. McFarland.

Finley, M. I. (1991). *The world of Odysseus* (Revised ed.). Penguin Books.

Foucault, M. (1977). *Discipline and punish: The birth of the prison* (A. Sheridan, Trans.). Pantheon Books.

Fowler, R. L. (Ed.). (2004). *The Cambridge companion to Homer*. Cambridge University Press.

Gandhi, M. K. (1940). *An autobiography: The story of my experiments with truth* (M. Desai, Trans.). Navajivan Publishing House. (Original work published 1927)

Galtung, J. (1996). *Peace by peaceful means: Peace and conflict, development and civilization*. SAGE Publications.

Galtung, J. (2010). *A theory of conflict: Overcoming direct violence*. Transcend University Press.

George, D., & Mallery, P. (2022). *IBM SPSS statistics 27 step by step: A simple guide and reference* (17th ed.). Routledge.

Gregory, J. (2005). Euripidean tragedy. In J. Gregory (Ed.), *A companion to Greek tragedy* (pp. 251–267). Blackwell Publishing Ltd.

Hall, J. M. (2002). *Hellenicity: Between ethnicity and culture.* University of Chicago Press.

Hardt, M., & Negri, A. (2009). *Commonwealth*. Harvard University Press.

Herman, E. S., & Chomsky, N. (1998). A propaganda model. In *Manufacturing consent: The political economy of the mass media* (pp. [insert page numbers]). Pantheon Books.

Hermiz, O. (2024). *The end of Pax Minoica: Historical investigation on the decline of the Minoan civilisation*. Academia.edu.

Homer. (1998). *The Iliad* (R. Fagles, Trans.). Penguin Classics. (Original work composed ca. 8th century BCE)

Homer. (2006). *The Odyssey* (R. Fagles, Trans.). Penguin Classics. (Original work composed ca. 8th century BCE)

Ibsen, H. (1999). *An enemy of the people* (J. W. McFarlane, Trans.). Dover Publications. (Original work published 1882)

Irigaray, L. (2021). *A new culture of energy: Beyond East and West*. Columbia University Press.

Knox, B. M. W. (1985). Euripides. In P. E. Easterling & B. M. W. Knox (Eds.), *The Cambridge history of classical literature: Volume 1, Greek literature* (pp. 316–339). Cambridge University Press.

Kristeva, J. (1982). *Powers of horror: An essay on abjection* (L. S. Roudiez, Trans.). Columbia University Press.

Kuhn, T. S. (1962). *The structure of scientific revolutions.* University of Chicago PressSandole

Kullmann, W. (1985). Gods and men in the *Iliad* and the *Odyssey*. *Harvard Studies in Classical Philology*, *89*, 1–23. https://doi.org/10.2307/311265

Lederer, K. (1980). *Human needs: A contribution to the current debate.* Oelgeschiager, Gunn and Hain.

Madriz, E. (2000). "Focus groups in feminist research," in *Handbook of Qualitative Research.* 2nd Edn, eds N. K. Denzin and Y. S. Lincoln (Thousand Oaks: Sage). 835–850.

Malthus, T. R. (2015). *An essay on the principle of population and other writings.* Penguin Classics. (Original work published 1798)

Marx, K. (1867). *Capital. Volume I: A critique of political economy. The process of production of capital* (S. Moore & E. Aveling, Trans.). Verlag von Otto Meissner.

Mertens, D. M., & Hesse-Biber, S. (2012). Triangulation and mixed methods research: Provocative positions. *Journal of Mixed Methods Research, 6*(2), 75–79.

McKellen, I. (Director). (2001). *Waiting for Godot* [Film]. Beckett on Film. Retrieved from https://archive.org/details/waiting-for-godot-2001

Mitchell, C. R. (1981). *The structure of international conflict*. Macmillan.

Mitchell, C., & Banks, M. (1996). *Handbook of conflict resolution: The analytical problem-solving approach*. Cassell.

Morgan, D. L. (1998). Practical strategies for combining qualitative and quantitative methods: Application to health research. *Qualitative Health Research, 8*(3), 362–376. https://doi.org/10.1177/104973239800800307

Murray, M. (2005, April 18). Newly readable Oxyrhynchus papyri reveal works by Sophocles, Lucian, and others. *TheaterMania*.

Myrland, R. (2018). *Untying Aristotle's poetics for storytellers*. Storyknot

Neer, R. T. (2012). *Greek art and archaeology*. Thames & Hudson.

Nietzsche, F. (2003). *The birth of tragedy* (S. Whiteside, Trans.; M. Tanner, Ed.). Penguin Books. (Original work published 1872)

Onwuegbuzie, A. J., Dickinson, W. B., Leech, N. L., & Zoran, A. G. (2009). A qualitative framework for collecting and analyzing data in focus group research. *International Journal of Qualitative Methods, 8*(3), 1–21. https://doi.org/10.1177/160940690900800301

Rapoport, A. (1989). *The origins of violence: Approaches to the study of conflict*. Paragon House.

Rubenstein, R. E. (2017). *Resolving structural conflicts: How violent systems can be transformed*. Routledge.

Rubin, J. Z., Pruitt, D. G., & Kim, S. H. (1994). *Social conflict: Escalation, stalemate, and settlement* (2nd ed.). McGraw-Hill.

Pruitt, D. G., & Rubin, J. Z. (1986). *Social conflict: Escalation, stalemate, and settlement* (1st ed.). Random House.

Saïd, S. (2011). *Homer and the Odyssey.* OUP Oxford.

Sandole, D. J. D., & van der Merwe, H. (Eds.). (1993). *Conflict resolution theory and practice: Integration and application*. Manchester University Press.

Sandole, D. J. D. (1999). *Capturing the complexity of conflict: Dealing with violent ethnic conflicts of the post-Cold War era*. Pinter.

Sandole, D. J. D., Byrne, S., Sandole-Staroste, I., & Senehi, J. (Eds.). (2009). *Handbook of conflict analysis and resolution*. Routledge.

Shaw, G. B. (1994). *The quintessence of Ibsenism.* Dover Publications. (Original work published 1891)

Shaw, G. B. (2002). *George Bernard Shaw: A critical study* (S. Byrne, Ed.; Critical edition). W. W. Norton & Company.

Snodgrass, M. E. (1998). *CliffsNotes on Greek classics*. Wiley Publishing Inc.

Sophocles. (1994). *Works* (Translator/Editor Name, Trans./Ed.). Macmillan.

Schwarzenberger, G. (1941). *Power politics: A study of world society.* The University of Michigan

Spencer, H. (1981). *The man versus the state.* Liberty Classics. (Original work published 1884)

Stratton, S. J. (2019). Quasi-experimental design (pre-test and post-test studies) in prehospital and disaster research. *Prehospital and Disaster Medicine*, *34*(6), 573–574.

Jones, J. (1971). *On Aristotle and Greek tragedy.* London

Torraco, R. J. (2005). Writing integrative literature reviews: Guidelines and examples. *Human Resource Development Review*, *4*(3), 356–367. https://doi.org/10.1177/1534484305278283

Toronto, C. E., & Remington, R. (2020). *A step-by-step guide to conducting an integrative review* (1st ed.). Springer International Publishing. https://doi.org/10.1007/978-3-030-37504-1

Tsitsiridis, S. (2005). Mimesis and understanding: An interpretation of Aristotle's *Poetics* 4.1448b4–19. *The Classical Quarterly*, *55*(2), 435–446. https://doi.org/10.1093/cq/bmi041

van Wees, H. (Ed.). (2000). *War and violence in ancient Greece*. Duckworth and the Classical Press of Wales.

West, M. L. (2012). Date of Homer. In *The Homer Encyclopedia*. Wiley-Blackwell. https://doi.org/10.1002/9781444350302.wbhe0330

Wilkinson, D. (2004). Focus group research. In D. Silverman (Ed.), *Qualitative research: Theory, method and practice* (2nd ed.). SAGE Publications.

დანართი

ფოკუს ჯგუფის დეტალური აღწერა

შესავალი (3-5 წუთი)

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ მეტად მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ საკითხებზე, რომლებიც თქვენ უკვე შეაფასეთ იმ განწყობის მიხედვით, რომელიც გქონდათ/დაგეუფლათ ---- (დაუსახელეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური) ნახვის შემდეგ: ადამიანის ბუნება უფრო კეთილია თუ უფრო ბოროტი? ადამიანთა შორის ძალმომრეობა გარდაუვალია თუ, პირიქით, მშვიდობიანი თანაარსებობა სავსებით შესაძლებელია? და ა. შ.

- გვსურს გავიგოთ თქვენი გულწრფელი მოსაზრებები; აქ არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხები.
- ჩვენ ვიწერთ ამ საუბარს, რათა გვახსოვდეს, თუ რა ითქვა, თუმცა, საუბარი კონფიდენციალურია: თქვენი ნათქვამი ან სახელი არ გასაჯაროვდება.
- გთხოვთ, ხმამაღლა ილაპარაკოთ, რათა კარგად გავიგოთ თქვენი ხმა **(ხაზგასმით).**
- გთხოვთ, ვისაუბროთ რიგრიგობით (არ ვისაუბროთ ერთდროულად) - შეეცადეთ, თქვენი პასუხები იყოს საუბრის თემასთან დაკავშირებული **(ხაზგასმით).**
- სასაუბრო ბევრია, ამიტომ შეიძლება, ხანდახან შეგაწყვეტინოთ, რათა ყველასგან მივიღოთ პასუხი - გთხოვთ, ეს არ მიიღოთ საწყენად.
- **(მნიშვნელოვანია):** გთხოვთ, გამორთოთ მობილური ტელეფონები. კომფორტულად იგრძენით თავი - იმედია, ეს შეხვედრა თქვენთვის საინტერესო და სასიამოვნო იქნება.
- გთხოვთ, რიგრიგობით გვითხრათ თქვენი სახელი - მხოლოდ სახელი **(და არა გვარი),** სად ცხოვრობთ, რას საქმიანობთ და რა არის თქვენი ჰობი **(მოკლედ - არ ჩაუღრმავდეთ).**

ნაწილი 1

ადამიანის ბუნება არის ბოროტი [20 წუთი; შეკითხვების მიცემამდე, გადაეცით ბარათი N1].

ახლა მინდა გაიხსენოთ, ხუთქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო 5 - „სავსებით ვეთანხმები“, როგორ შეაფასეთ დებულება: **„ადამიანის ბუნება არის ბოროტი“**? თუ არ გახსოვთ, გთხოვთ, ხელახლა შეაფასოთ ეს დებულება იმ განწყობის მიხედვით, რომელიც გქონდათ/დაგეუფლათ ---- (გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური) ნახვის შემდეგ, გთხოვთ, შეფასებასთან ერთად, ბარათზე დაწეროთ თქვენი სახელი და გადმომცეთ (2-3 წთ).

1. როდესაც --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** უყურებდით, რა განწყობა გქონდათ, რა განცდა გეუფლებოდათ ყველაზე მეტად - ადამიანის ბუნება არის უფრო ბოროტი, თუ უფრო კეთილი? რატომ? **(ჩაუღრმავდით).**
2. შეგიძლიათ მითხრათ ფრაზები, სიუჟეტის ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად განაპირობეს თქვენი ეს განწყობა/თქვენი შეფასება? კიდევ? კიდევ? კიდევ? (ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია) რატომ? **(ჩაუღრმავდით).**
3. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ინფორმაცია --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** ავტორის, რეჟისორის, ლიტერატურული ნაწარმოების გმირების ან მსახიობების შესახებ და ა. შ. რაც გავლენას ახდენს თქვენს შეფასებაზე, გთხოვთ, გაგვიზიაროთ. კიდევ? კიდევ? კიდევ? **(ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია)** რატომ ახდენს ეს ინფორმაცია თქვენზე ასეთ გავლენას? **(ჩაუღრმავდით).**
4. როგორ წარმოგიდგენიათ, რა განწყობა ექნებათ სხვა ადამიანებს ამ ნაწარმოების წაკითხვის ან ნახვის შემდეგ - საით გადაიხრებიან: ადამიანის ბუნება არის ბოროტი თუ ადამიანის ბუნება არის კეთილი? რატომ? **(ჩაუღრმავდით).** თქვენ როგორ გინდათ რომ მოხდეს? ეცადეთ ერთი-ორი წინადადებით გამოთქვათ თქვენი მოსაზრება.

ნაწილი 2

<u>ადრე თუ გვიან ძალმომრეობა არის გარდაუვალი [**20 წუთი; შეკითხვების მიცემამდე, გადაეცით ბარათი N2**].</u>

ახლა მინდა გაიხსენოთ, ხუთქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო 5 - „სავსებით ვეთანხმები“, როგორ შეაფასეთ დებულება: **„ადრე თუ გვიან ძალმომრეობა არის გარდაუვალი“?** თუ არ გახსოვთ, გთხოვთ, ხელახლა შეაფასოთ ეს დებულება იმ განწყობის მიხედვით, რომელიც გქონდათ/დაგეუფლათ --- (გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური) ნახვის შემდეგ, გთხოვთ, შეფასებასთან ერთად, ბარათზე დაწეროთ თქვენი სახელი და გადმომცეთ (2-3 წთ).

1. როდესაც --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** უყურებდით, რა განწყობა გქონდათ, რა განცდა გეუფლებოდათ ყველაზე მეტად - ადრე თუ გვიან ძალმომრეობა არის გარდაუვალი თუ ძალმომრეობა გარდაუვალი არ არის - მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია? რატომ? **(ჩაუღრმავდით).**
2. შეგიძლიათ მითხრათ ფრაზები, სიუჟეტის ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად განაპირობეს თქვენი ეს განწყობა/თქვენი შეფასება? კიდევ? კიდევ? კიდევ? (ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია) რატომ? **(ჩაუღრმავდით).**
3. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ინფორმაცია --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** ავტორის, რეჟისორის, ლიტერატურული ნაწარმოების გმირების ან მსახიობების შესახებ და ა. შ. რაც გავლენას ახდენს თქვენს შეფასებაზე, გთხოვთ, გაგვიზიაროთ. კიდევ? კიდევ? კიდევ? (ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია) რატომ ახდენს ეს ინფორმაცია თქვენზე ასეთ გავლენას? **(ჩაუღრმავდით).**
4. როგორ წარმოგიდგენიათ, რა განწყობა ექნებათ სხვა ადამიანებს ამ ნაწარმოების წაკითხვის ან ნახვის შემდეგ - საით გადაიხრებიან: ადრე თუ გვიან ძალმომრეობა არის გარდაუვალი თუ მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია? რატომ? **(ჩაუღრმავდით).** თქვენ როგორ გინდათ რომ მოხდეს? ეცადეთ ერთი-ორი წინადადებით გამოთქვათ თქვენი მოსაზრება.

ნაწილი 3

ადამიანებს შორის მშვიდობიანი, თანასწორი ურთიერთობა ყოველთვის შესაძლებელია [**20 წუთი; შეკითხვების მიცემამდე, გადაეცით ბარათი N3**].

ახლა მინდა გაიხსენოთ, ხუთქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო 5 - „სავსებით ვეთანხმები“, როგორ შეაფასეთ დებულება: **„ადამიანებს შორის მშვიდობიანი, თანასწორი ურთიერთობა ყოველთვის შესაძლებელია“**. თუ არ გახსოვთ, გთხოვთ, ხელახლა შეაფასოთ ეს დებულება იმ განწყობის მიხედვით, რომელიც გქონდათ/დაგეუფლათ ---- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** ნახვის შემდეგ, გთხოვთ, შეფასებასთან ერთად, ბარათზე დაწეროთ თქვენი სახელი და გადმომცეთ (2-3 წთ).

1. როდესაც --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** უყურებდით, რა განწყობა გქონდათ, რა განცდა გეუფლებოდათ ყველაზე მეტად - ადამიანებს შორის მშვიდობიანი, თანასწორი ურთიერთობა ყოველთვის შესაძლებელია თუ არა - ზოგჯერ ძალადობა გარდაუვალია? რატომ? **(ჩაუღრმავდით).**
2. შეგიძლიათ მითხრათ ფრაზები, სიუჟეტის ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად განაპირობეს თქვენი ეს განწყობა/თქვენი შეფასება? კიდევ? კიდევ? კიდევ? (ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია) რატომ? **(ჩაუღრმავდით).**
3. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ინფორმაცია --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** ავტორის, რეჟისორის, ლიტერატურული ნაწარმოების გმირების ან მსახიობების შესახებ და ა. შ. რაც გავლენას ახდენს თქვენს შეფასებაზე, გთხოვთ, გაგვიზიაროთ. კიდევ? კიდევ? კიდევ? (ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია) რატომ ახდენს ეს ინფორმაცია თქვენზე ასეთ გავლენას? **(ჩაუღრმავდით).**
4. როგორ წარმოგიდგენიათ, რა განწყობა ექნებათ სხვა ადამიანებს ამ ნაწარმოების წაკითხვის ან ნახვის შემდეგ - საით გადაიხრებიან: ადამიანებს შორის მშვიდობიანი, თანასწორი ურთიერთობა ყოველთვის შესაძლებელია თუ არა - ზოგჯერ ძალადობა გარდაუვალია? რატომ? **(ჩაუღრმავდით).** თქვენ როგორ გინდათ რომ მოხდეს? ეცადეთ ერთი-ორი წინადადებით გამოთქვათ თქვენი მოსაზრება.

ნაწილი 4

<u>ომი და ორგანიზებული ძალადობა არ არის გარდაუვალი [20 **წუთი; შეკითხვის მიცემამდე, გადაეცით ბარათი N4**].</u>

ახლა მინდა გაიხსენოთ, ხუთქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო 5 - „სავსებით ვეთანხმები“, როგორ შეაფასეთ დებულება: **“ომი და ორგანიზებული ძალადობა არ არის გარდაუვალი“.** თუ არ გახსოვთ, გთხოვთ, ხელახლა შეაფასოთ ეს დებულება იმ განწყობის მიხედვით, რომელიც გქონდათ/დაგეუფლათ ---- (გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური) ნახვის შემდეგ, გთხოვთ, შეფასებასთან ერთად, ბარათზე დაწეროთ თქვენი სახელი და გადმომცეთ (2-3 წთ).

1. როდესაც --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** უყურებდით, რა განწყობა გქონდათ, რა განცდა გეუფლებოდათ ყველაზე მეტად - ომი და ორგანიზებული ძალადობა არ არის გარდაუვალი, თუ ის გარდაუვალია? რატომ? **(ჩაუღრმავდით)**.
2. შეგიძლიათ მითხრათ ფრაზები, სიუჟეტის ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად განაპირობეს თქვენი ეს განწყობა/თქვენი შეფასება? კიდევ? კიდევ? კიდევ? (ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია) რატომ? **(ჩაუღრმავდით).**
3. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ინფორმაცია --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** ავტორის, რეჟისორის, ლიტერატურული ნაწარმოების გმირების ან მსახიობების შესახებ და ა. შ. რაც გავლენას ახდენს თქვენს შეფასებაზე, გთხოვთ, გაგვიზიაროთ. კიდევ? კიდევ? კიდევ? (ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია) რატომ ახდენს ეს ინფორმაცია თქვენზე ასეთ გავლენას? **(ჩაუღრმავდით).**
4. როგორ წარმოგიდგენიათ, რა განწყობა ექნებათ სხვა ადამიანებს ამ ნაწარმოების წაკითხვის ან ნახვის შემდეგ - საით გადაიხრებიან: ომი და ორგანიზებული ძალადობა არ არის გარდაუვალი თუ ის გარდაუვალია? რატომ? **(ჩაუღრმავდით).** თქვენ როგორ გინდათ რომ მოხდეს? ეცადეთ ერთი-ორი წინადადებით გამოთქვათ თქვენი მოსაზრება.

ნაწილი 5

<u>თავისუფლება და თანასწორობა ერთად უდრის მშვიდობას [20 **წუთი; შეკითხვის მიცემამდე, გადაეცით ბარათი N5**].</u>

ახლა მინდა გაიხსენოთ, ხუთქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები, ხოლო 5 - „სავსებით ვეთანხმები“, როგორ შეაფასეთ დებულება: **„თავისუფლება და თანასწორობა ერთად უდრის მშვიდობას“.** თუ არ გახსოვთ, გთხოვთ, ხელახლა შეაფასოთ ეს დებულება იმ განწყობის მიხედვით, რომელიც გქონდათ/დაგეუფლათ ---- (გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური) ნახვის შემდეგ, გთხოვთ, შეფასებასთან ერთად, ბარათზე დაწეროთ თქვენი სახელი და გადმომცეთ (2-3 წთ).

1. როდესაც --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** უყურებდით, რა განწყობა გქონდათ, რა განცდა გეუფლებოდათ ყველაზე მეტად - თავისუფლება და თანასწორობა ერთად უდრის მშვიდობას თუ თავისუფლება და თანასწორობა მშვიდობას ვერ უზრუნველყოფს, მშვიდობის გარანტია ვერ იქნება? რატომ? **(ჩაუღრმავდით)**.
2. შეგიძლიათ მითხრათ ფრაზები, სიუჟეტის ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად განაპირობეს თქვენი ეს განწყობა/თქვენი შეფასება? კიდევ? კიდევ? კიდევ? (ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია) რატომ? **(ჩაუღრმავდით).**
3. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ინფორმაცია --- **(გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური)** ავტორის, რეჟისორის, ლიტერატურული ნაწარმოების გმირების ან მსახიობების შესახებ და ა. შ. რაც გავლენას ახდენს თქვენს შეფასებაზე, გთხოვთ, გაგვიზიაროთ. კიდევ? კიდევ? კიდევ? (ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია) რატომ ახდენს ეს ინფორმაცია თქვენზე ასეთ გავლენას? **(ჩაუღრმავდით).**
4. როგორ წარმოგიდგენიათ, რა განწყობა ექნებათ სხვა ადამიანებს ამ ნაწარმოების წაკითხვის ან ნახვის შემდეგ - საით გადაიხრებიან: თავისუფლება და თანასწორობა ერთად უდრის მშვიდობას თუ თავისუფლება და თანასწორობა მშვიდობას ვერ უზრუნველყოფს, მშვიდობის გარანჯტია ვერ იქნება? რატომ?

(ჩაუღრმავდით). თქვენ როგორ გინდათ რომ მოხდეს? ეცადეთ ერთი-ორი წინადადებით გამოთქვათ თქვენი მოსაზრება.

დასკვნა [20 წთ]

5. მას შემდეგ, რაც ---- (გაუმეორეთ კონკრეტული ნაწარმოების სათაური) ნახეთ შეგეცვალათ თუ არა პოზიცია ადამიანის ბუნების, ძალმომრეობისა თუ მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ? რატომ? **(ჩაუღრმავდით).**

- თუ გაიხსენებთ იმას, რაც დღეს განვიხილეთ, თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რამ მოახდინა?
- **(ის, რაზეც არ გვისაუბრია):** არის რამე ისეთი, მნიშვნელოვანი დღევანდელი სადისკუსიო საკითხების ირგვლივ, რასაც ფიქრობთ, რომ არ შევხებივართ? თუ არის, გთხოვთ, განვიხილოთ.
- ბოლოს, მინდა გთხოვოთ, რომ დაწეროთ ფურცელზე მოკლე მესიჯი იმის შესახებ, თუ რას ეტყოდით ადამიანებს:
  - ადამიანის ბუნების შესახებ;
  - ძალმომრეობის შესახებ;
  - მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ.

  დიდი მადლობა დისკუსიაში მონაწილეობისთვის.